


განტანბ ითონიუვილი

241 197
3

სანდოს სევი



F75840
3

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ვანტანგ ითონიშვილი

სანდოს სეკი

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)



გეორგიანული
საბჭო 2002

თბილისი — 2003

წერილობითი წყაროების, ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების, ტოპონიმიკური, ონომასტიკური და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში შესწავლილია ქართლის არაგვის ანუ საარაგვოს ერთი კუთხე. ნარკვევი გვაცნობს ხანდოს ხევის გეოგრაფიულ მდებარეობას, განსახლების სტრუქტურას, მოსახლეობის ეთნიკურ და სოციალურ შემადგენლობას, სამეურნეო პირობებს და მიწათსარგებელობის ფორმებს. ნარკვევს ერთვის ავტორის მიერ ხანდოში შეკრებული ეთნოგრაფიული მასალები. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაცნობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა

კანდიდატები: გურამ გეგეჭკორი და

გულნარა ცეცხლაძე

მხატვარი: გიორგი ავსაჯანიშვილი

Handwritten signature: K. G. G. G.

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“.

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ანა რუაძე, მარიამ ბუტიკაშვილი

© ვახტანგ ითონიშვილი

ი 77
2003

ს ა ქ ა რ თ ჯ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა გ ე ნ ტ ი ს
ე ტ ო მ ო ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო ტ ი კ ა

რედაქტორისაგან

ვახტანგ ითონიშვილის გამოკვლევა – ხანდოს ხევი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) მისი სადიპლომო ნაშრომია (1980 წ.). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე წარდგენამდე, მისმა ავტორმა სტუდენტობის პერიოდში, რამდენიმე სხვა ნაშრომთან ერთად, რომლებიც წაკითხული იყო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, დაწერა სტატია – „მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა მთიულეთ-გუდამაყარში გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით (III კურსზე). ამის შემდეგ ვ. ითონიშვილი ინტენსიურ კვლევა-ძიებას შეუდგა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის მიმართულე-ბით. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა არაგვის ხეობის კუთხეები – მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი. აქედან მან პირველ რიგში გამოყო ხანდოს ხევი, რომლის შესწავლას მიეძღვნა წინამდებარე ნაშრომი „ხანდოს ხევი“. გამოკვლევას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები (1979 წ.), არსებული საისტორიო წყაროები და სპეციალური ლიტერატურის მონაცემები.

საქართველოს ისტორიის კათედრაზე წარდგენილმა სადიპლომო ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დარეჯან მეგრელაძემ რეცენზიის დასკვნით ნაწილში აღნიშნა: „როგორც დავინახეთ, ავტორმა ფრიად რთულ თემას მოჰკიდა ხელი და თამამად შეეჭიდა მას. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ ადვილად გაართვა თავი მთელი რიგი საკითხების შესწავლას და საინტერესო ნაშრომი წარმოადგინა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ესაა პირველი ნაშრომი ხანდოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ავტორისეული წყაროთა ინტერპრეტაცია, ახალი, უცნობი მასალების

მოპოვება და შემოტანა ნაშრომში, ავტორის მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე, სცილდება სტუდენტისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს".

მონოგრაფიული კვლევის დონეზე შესრულებული ნაშრომის ღირსებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მასში შესწავლილი საკითხების ნაწილი გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ სამეცნიერო კრებულებში (მინათმფლობელობის ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ხანდოს ხევის მონაცემების მიხედვით, „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, თბ., 1983; ხანდოს ხევი – ლოკალიზაცია, ეთნონიმიკა, განსახლება, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, II, თბ., 1985).

დაწყებული კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოების შედეგად მივიღეთ ავტორის მიერ 1984 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია, რაც ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2001), ხოლო მის გამოცემამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას მიეძღვნა სამი მონოგრაფია (არაგვის ხეობა, 1986; არაგვი და არაგველები, 1989; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1992) და სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში დაბეჭდილი მრავალი გამოკვლევა (მათ აქ აღარ ჩამოვთვლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხანდოს ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, რომლის ამ სახით მოპოვება, დღეისათვის თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან განვლილ პერიოდში ბევრი რამ დავინყებას მიეცა და ეთნოგრაფიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაც საგრძნობლად შესუსტდა ყოფითი რეალიების მახსოვარ მთხრობელთა დიდი ნაწილის გარდაცვალებისა და

ცხოვრებაში მომხდარ არსებით ცვლილებათა გამო. მაგალითისათვის იკმარებდა თუნდაც ის, ფაქტი, რომ ხანდოს ხევში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საერთოდ, არსებითად შეიცვალა სამეურნეო ყოფა განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩრდილო კავკასიისა და ყიზლარის საზამთრო საძოვრების გამოუყენებლობის შედეგად ფაქტიურად მოისპო მეცხვარეობა – ძირითადი სამეურნეო დარგი, რაც მასალების ჩანერის პერიოდისათვის მთიელთა უმთავრეს საარსებო საშუალებას წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, ვ. ითონიშვილის მიერ ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა ასახავს მისი ჩანერისა და ნაშრომის შექმნის დროისათვის დამახასიათებელ რეალობას, რისთვისაც მას ეთნოგრაფიული პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. გამომდინარე აქედან, ამ მასალის გამოქვეყნებაც მიზანშეწონილად მივიჩნიე.

ვალერიან ითონიშვილი



წინასიტყვაობა

თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს საქართველოს მთიანეთის შესწავლა ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. მთიანეთის ისტორიული წარსულისა და მთიელთა კულტურისა და ყოფის შესწავლა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის სუსტად შესწავლილი საკითხების შევსებას. ამის მიღწევა შესაძლებელია ცალკეულ კუთხეებში წარმოებული ინტენსიური კვლევა-ძიების საფუძველზე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სხვადასხვა დროს ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა, გამოქვეყნდა ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების შრომები, ჟინვალჭესის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენ მიზნად დავისახეთ მთიანეთიდან გამოგვეყო მხოლოდ ერთი ხევი – ხანდო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით გაგვერკვია ზოგიერთი საკითხი. ამისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ არსებული ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლასთან ერთად შეგვეგროვებინა ეთნოგრაფიული მასალებიც. მასალები ჩავიწერეთ ხანდოს ყველა სოფელში 1979 წლის ივლისში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ნაშრომში ვეხებით ხანდოს მდებარეობას, მის საზღვრებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, განსახლების სტრუქტურას და მოსახლეობის შემადგენლობას, სამეურნეო პირობებს და მინათსარგებლობის ფორმებს. ეს საკითხები განხილულია ცალკეულ თავებში.



შესავალი

(წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა)

ხანდოს ხევის შესახებ სპეციალური ნაშრომი არ არსებობს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეს ნაწილი საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა. მკვლევარნი მას ეხებიან მთიანეთის სხვა ხევებთან ერთად. ხანდოს ხევის რატომღაც მთიულეთის ნაწილად მიიჩნევდნენ და მთიულეთზე მსჯელობისას ამ ხევისაც ეხებოდნენ. იმის შესახებ თუ რამდენად გამართლებულია მთიულეთისადმი ხანდოს მიკუთვნება, ნათქვამი გვაქვს ამ ნაშრომის პირველ თავში. ამიტომ ამაზე აქ წინაწარ აღარაფერს ვიტყვით და აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურაში, რომელიც მიექვანა მთიანეთის შესწავლას, ცნობები და დაკვირვებები გვხვდება ხანდოს შესახებაც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხანდო შედიოდა არაგვის საერისთავოში, რაც შემდეგ გარდაიქმნა საუფლისწულოდ. ამდენად, ვინც არაგვის საერისთავოს შესწავლით დაინტერესდა, ნაწილობრივად ის ხანდოსაც შეეხო.

ხანდოს ხევის მდებარეობის, მისი საკომუნიკაციო საშუალებების, განსახლების სტრუქტურის, მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, სამეურნეო პირობებისა და მიწათსარგებლობის ფორმების შესწავლისათვის მეტნაკლები ღირებულების მონაცემები გვხვდება წყაროებსა და ლიტერატურაში. ჩვენთვის საინტერესო საკითხების გარკვევისათვის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა სამართლის წიგნები და მოსახლეობის აღწერის დავთრები. წყაროების შევსება-განმარტებასა და ხანდოს მოსახლეობის ყოფის შესწავლაში სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ადგილზე ჩანერილ მასალებს, ხოლო რიგი საკითხის გარკვევაში დახმარებას გვინევს არსებული ლიტერატურა.

გამოყენებული წერილობითი წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გიორგი ბრწყინვალის სამართალი („ძეგლის დადება“). ჩვენ ვისარგებლეთ ი. დოლიძის გამოცემით¹, რომელშიც, ძეგლის პუბლიკაციასთან ერთად, გაკეთებულია მისი ვრცელი სამეცნიერო მიმოხილვაც. სხვა საკითხებთან ერთად ი. დოლიძე აქ შეეხო ძეგლის მოქმედების ტერიტორიას. მან არ გაიზიარა ადრე გამოთქმული შეხედულება, რომ ძეგლის სამოქმედო ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად დარიალი უნდა მივიჩნიოთ². თვით „ძეგლის დადების“ შესავალში ნაჩვენები საზღვრების მიხედვით ი. დოლიძემ ძეგლის მოქმედების ჩრდილოეთ საზღვრად დაასახელა ჯვრის უღელტეხილი. ამის მიხედვით დაზუსტდა, რომ ძეგლის მოქმედების ტერიტორიას შეადგენდა მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ქართალი³.

ძეგლის გავრცელების ტერიტორიაზე იგივე აქვს ნათქვამი ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში ე. ხოშტარია (ბროსეს)⁴. ამ სტატიაში ავტორი დიდ ადგილს უთმობს იმ საკითხების კვლევას, რაც განხილული გვაქვს სადიპლომო ნაშრომში. ეს შეეხება მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას, ადგილობრივ მოხელეებს და მათ უფლებრივ მდგომარეობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. ხოშტარია (ბროსე) არსებითად იმ დასკვნამდე მივიდა, რაც ჩვენ აღნიშნული გვექონდა 1978 წელს სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე და რამაც ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ სადიპლომო ნაშრომშიც. ზოგიერთი დეტალის გამოკლებით, რაც შეხედულებათა განსხვავებას გვიჩვენებს, ჩვენი დასკვნები

¹ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 99-100.

³ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-28.

⁴ ე. ხოშტარია (ბროსე), არაგვის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV-XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მონაცემებით, „მრავალთავი“, VIII, თბ., 1980, გვ. 75.

ერთიმეორეს ემთხვევა. მკვლევარი სამართლიანად ფიქრობს, რომ XIV-XV სს-ში მთის საზოგადოება იყო „შინაგანად სუსტად დიფერენცირებული, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურთიერთობის საფუძველზე საკმაო სიძლიერით დამოკიდებული, ე. ი. ფეოდალურ ურთიერთობათა ფერხულში ორგანულად ჩართული (ფეოდალიზირებული) ორგანიზმი“⁵.

მეორე მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით, არის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, რაც სათანადო გამოკვლევის თანხლებით გამოსცა ი. ფუტყარაძემ⁶. ეს წყარო გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ხანდოს ხევისა და მისი მეზობელი კუთხეების მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე XVIII საუკუნეში და იქ არსებულ საადგილმამულო ურთიერთობაზე.

მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის შესწავლისათვის ასევე საყურადღებო წყაროს წარმოადგენს 1774 წლის სტატისტიკური აღწერის მასალები, რომელიც გვაცნობს ხანდოს თემის სოფლების მონაცემებს.

პირდაპირი ან შესადარებელი ხასიათის მონაცემები გამოყენებული გვაქვს სხვა წყაროდანაც (ბექასა და ალბუდას სამართალი⁷, 1781 წლის აღწერის დავთრები⁸, 1860 წლის კამერალური აღწერის მასალები)⁹.

წყაროებთან ერთად ვსარგებლობთ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურით. ვახუშტის ცნობებზე დაყრდნობით შევეცადეთ ხანდოს ლოკალიზაციას, ხოლო ნაშრომში განხი-

⁵ ე. ხოშტარია (ბროსე), დასახ. ნაშრ. გვ. 88.

⁶ ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963 (ი. დოლიძის გამოცემა).

⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.

⁹ Камеральные описание горского округа Мтиулетского участка, ч. I, 1860 г.; ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. 2, Арх. № 250.

ლული საკითხებისათვის მივმართეთ როგორც XIX საუკუნის ავტორთა (ნ. ჭილაშვილი, ნ. ხიზანაშვილი, ნ. ნიკიფოროვი) ცნობებსა და დაკვივრებებს, ისე XX საუკუნის ავტორთა შრომებს (ვ. ბარდაველიძე, ნ. ბერძენიშვილი, ბ. გამყრელიძე, ჯ. გვასალია, დ. გვრიტიშვილი, ი. დოლიძე, ვალ. ითონიშვილი, ს. კაკაბაძე, მ. კედელაძე, ს. მაკალათია, გ. მელიქიშვილი, ალ. რობაქიძე, თ. სანიკიძე, ი. ფუტყარაძე, რ. ხარაძე, ივ. ჯავახიშვილი).

ჩამოთვლილ ავტორთა ერთი ნაწილი უშუალოდ ეხება ხანდოს ხევისა და მის მომიჯნავე ხეებს, ზოგიც გვეხმარება შრომაში აღძრული საკითხების გარკვევის საქმეში. ეს შრომები გამოყენებული და შეფასებულია ჩვენ მიერ გამოყოფილი საკითხების განხილვისას, რისთვისაც მათ ცალ-ცალკე შეფასებას აქ საჭიროდ აღარ ვთვლით. სრული სახით წყაროებისა და ლიტერატურის სია ნაშრომს ბოლოში ერთვის.



ხანდოს მდებარეობა და საზღვრები

ხანდოს ხევი (ხანდო ან სახანდოო, როგორც ადგილობრივნი უწოდებენ) წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც ლოკალიზებულია მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადის **ხანდოსწყლის** პატარა ხეობის ფარგლებში. ხანდოს ხევის შესახებ ცნობა მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც არაგვის ხეობის თანმიმდევრული აღწერისას და მისი გვერდითი ხეების ჩამოთვლისას ხანდოს ხეესაც ეხება: „ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლიდამ **ჭართალის-ჯევი**, მის ჩრდილოდ არს **მთიულთ-კარი**, სიმაგრე მტკიცე; მის ზეით ნასასახლევი მეფეთა და **ხანდოს-ჯევი**, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგუს დასავლეთიდამ“¹.

ამრიგად, ვახუშტი მოიხსენიებს ხანდოს ხევს, რომლის სათავედ იგი მართებულად თვლის **ლომისის მთას**. ამავე მთის კალთებზე იღებს სათავეს **სოდევე-მეჯილაურთის წყალი**, რომელიც ასევე შედის ხანდოს ფარგლებში და სოფ. **წინამხართან** უერთდება ხანდოსწყალს. ამდენად, ხანდო შედგება ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი მომცრო ხევისაგან, რომელნიც ურთიერთისაგან განიყოფიან **ბოჩეთისა და კვირიას** ქედებით.

ისტორიული წყაროების ანალიზის და მათთან ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერების საფუძველზე ხანდოს ხევის საზღვრები ასეთნაირად წარმოგვიდგება. ჩრდილოეთიდან ხანდოს მთიულეთი ესაზღვრება, დასავლეთიდან ქსნის

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), IV, თბ., 1973, გვ. 354.

ხეობა, სამხრეთით ხანდოს მეზობლად მდებარეობს ქართლის ხევი, ხოლო აღმოსავლეთით ხანდოს ხევის საზღვარი აღწევს გვრდიმის მთის მისადგომებამდე და ცხვედიეთის ხევამდე. აღნიშნული კუთხეებისაგან ხანდო გამიჯნულია მთებით, რომლებიც წარმოადგენენ მის ბუნებრივ საზღვრებს აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით. მთიულეთისა და ქსნისაგან ხანდო გამოყოფილია შესაბამისად ხანდოსწყლისა და მდ. ჩაბარუხის, აგრეთვე მდ. არაგვისა და მდ. ქსნის წყალგამყოფი ქედებით, ხოლო ქართლის ხევისაგან ხანდოს განჰყოფს სოდევე-მეჯილაურთის წყლის მარჯვენა მხარეს, ამ წყლის პარალელურად აღმართული ქედი (ნარუანას, ასხრეპილის, ჩირდილის, ტირიფას, ლომის მთებით). ხანდოს უკიდურეს სამხრეთ მიჯნას წარმოადგენს ხამუშას ქალა.

მეზობლად მდებარე ხეობებთან ხანდო დაკავშირებულია გზა-ბილიკებითა და გადასასვლელებით, რომელთა სიმრავლე ძველთაგანვე ხელს უწყობდა ხანდოს სამეურნეო ცხოვრების განვითარებას, მთის სხვა რაიონებთან ყველა სახის კონტაქტების გაფართოებას. ამასთან, ხანდოს ხევი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზის, არაგვის ხეობაზე გამავალი ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული დანიშნულების არტერიის პირად. ამდენად, სახანდოსოს მოსახლეობას ძველთაგანვე შეეძლო ესარგებლა ამ გზით და მუდმივ კონტაქტში ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთის თუ ბარის რაიონებთან. მაგალითად, მთიულეთთან ხანდოს ხევი სწორედ სამხედრო გზით იყო დაკავშირებული. ასევე სამხედრო გზის მეშვეობით ხორციელდებოდა ხანდოს ურთიერთობა ქართლის ხევთან, თუმცაღა ამავე ხევთან ხანდო დაკავშირებულია სხვა გზითაც, რომელიც იწყება ხანდოს სოფელ სოდევედან, გადის ელიისქედის, ასხრეპილის, ხამუშას და ფშას მთებზე და ჩადის ქართლის სოფელ მუგუდაში.

ხანდოს ხევისა და ქსნის ხეობას ერთმანეთთან აკავშირებს **ქსნის ყელი** (ქსნელები მას ხანდოს ყელს უწოდებენ). ეს გასასვლელი მდებარეობს ხანდოს დასავლეთით, ქსან-არაგვის წყალგამყოფ ქედზე, **მზორეთსერსა** და **ხატიმთას** შორის. ქსნის ყელზე გადის ხანდოს ხევიდან ქსნის ხეობისაკენ მიმავალი ყველა გზა. ასე, მაგალითად, ხანდოს სოფლებიდან სოდევედან და მეჯილაურებიდან ქსნის სოფელ **მახიარეთში** ჩასასვლელად საჭიროა შემდეგი მარშრუტების გავლა: I მარშრუტი: სოფ. სოდევე → გლუვის მთა → უკანაგლუვი (მთა) → ქსნის ყელი → კვერიათი (ადგილი ქსნის ხეობაში) → სოფ. მახიარეთი (ქსნის სოფელი), II მარშრუტი: სოფ. მეჯილაურები → ტირიფას მთა → ქსნის ყელი → სოფ. მახიარეთი. ასევე ქსნის ყელით უნდა ისარგებლოს მგზავრმა, რომ ხანდოს სოფელ უკანამხრიდან ქსნის სოფელ უკანუბანში მივიდეს (სოფ. უკანამხარი → მზორეთსერი → ქსნის ყელი → სოფ. უკანუბანი), ან კიდევ ხანდოს სოფელ **ვეშაგურებიდან** სოფ. მახიარეთში ჩავიდეს (სოფ. ვეშაგურები → კუდეთის მთა → ქსნის ყელი → სოფ. მახიარეთი). ასე, რომ ქსანსა და ხანდოს შორის ურთიერთობაში ქსნის ყელს უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დღესაც ამ გადასასვლელს კიდევ არ დაუკარგვას თავისი მნიშვნელობა და ამდენად გასაგებია, თუ რაოდენ დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქსნის ყელს უწინ.

ამრიგად, ხანდო თავის მეზობელ კუთხეებთან (ქსანი, ჭართალი და სხვ.) კონტაქტებისათვის იყენებდა როგორც არაგვის ხეობაზე გამავალ სამხედრო გზას, ისე ცალკეულ გადასასვლელებს, რომლებზედაც გადიოდა ხეობათა ურთიერთდამაკავშირებელი გზები. მაგრამ ასეთი მნიშვნელობის გზა-გადასასვლელების გარდა, საკუთრივ ხანდოს ხევის ტერიტორია მრავალი გზა-ბილიკით იყო დასერილი; ეს უკანასკნელნი ერთმანეთთან აკავშირებდნენ როგორც სახანდოს სოფლებს, ისე ამ სოფლების კუთვნილ სამეურნეო ობიექტებს (სა-

ხნავ-სათიბებს, საძოვრებს, ტყეებს, წყლებს), სალოცავებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს და ა. შ. ყველა ამ შარას, გზას თუ ბილიკს თავ-თავისი სახელი ერქვა, მაგალითად: ხუ-რშლის გზა, გლუვის გზა, ბოჩეთის გზა, ასხრეპილის გზა, ნაჭრის გზა, ზღურთლთ გზა, ლომთგზა, კუდეთგზა, ჩირ-დილის გზა და ა. შ.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხანდო წარმოადგენს დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულს და შედის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, სახელდობრ, არაგვის ხეობის შემადგენლობაში, როგორც ერთ-ერთი ხევი ან თემი. მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში² ხანდო რატომღაც მიჩნეულია მთიულეთის შემადგენელ ნაწილად. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ „მთიანეთთან“ „მთიულეთის“ გაიგივება ან თვით მთიულეთის ლოკალიზაციის უზუსტობა. ხანდოსთან ერთად მთიულეთის შემადგენლობაში აქცევენ აგრეთვე ჭართალს და გუდამაყარს, მაშინ როდესაც ორივე ეს კუთხე დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ.

მთიულეთისა და გუდამაყარის, აგრეთვე ხანდოს ხევისა და ჭართლის ხევის შესახებ ცნობები მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს. ამასთან, ხანდოსა და ჭართლის ხევების შესახებ მისი ცნობები ერთობ მწირია, ხოლო რაც შეეხება გუდამაყარსა და მთიულეთს, ამ ტერიტორიული ერთეულების აღწერა ვახუშტის მოცემული აქვს სპეციალურ პარაგრაფებში, რომელთაც ავტორმა შესაბამისად უწოდა „აღწერა გუდამაყარისა“ და „აღწერა მთიულეთისა“.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიული ერთეულებიდან ვახუშტი ბაგრატიონი თავდაპირველად მოიხსენიებს ჭარ-

² ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965 და სხვ.

თლის და ხანდოს ხევეს, როცა წერს, რომ „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლიდამ ქართლის ჴევი. მის ჩდილოდ არს მთიულთ-კარი, სიმაგრე მტკიცე; მის ზეით ნასასახლევი მეფეთა და ხანდოს ჴევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგუს დასავლეთიდამ“³. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ხანდოს და ქართლის ხევეები წარმოადგენენ მდ. არაგვის გვერდით ხევეებს და მდებარეობენ ერთმანეთის მეზობლად, თითქმის პარალელურად. მათი მოხსენიების შემდეგ ვახუშტი გუდამაყრის ხეობის აღწერაზე გადადის და შემდეგ ცნობებს გვანჯდის: „მის ზეით (ხანდოს ჴევის ზევით – ვ. ი.) ერთვის ჴევი გუდამაყრისა არაგუს ჩდილოდამ; გამოსდის კავკასს გუდამაყარსა, ჴევსა და ძურძუკს შორისს და არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ჴელოსანნი, მშკლდთ-მოქმედნი...“⁴. ამ ცნობებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ გუდამაყარი ვახუშტის დროს (XVIII ს.) წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც თითქმის ისეთივე ბუნებრივი თუ სამეურნეო პირობებით ხასიათდებოდა, „ვითარცა სხუა მთის ალაგნი“, ხოლო მისი მკვიდრნი, როგორც ჩანს, ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით მთიულების „მგზავსნი“ იყვნენ, თუმცაღა მთიულებთან მათი მსგავსების ეს ფაქტორი სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გუდამაყრის მოსახლეობა (ე. ი. გუდამაყრელები) მთიულებად ვაღიაროთ.

ვახუშტის თხზულებაში გუდამაყრის აღწერას მოსდევს „აღწერა მთიულეთისა“, რომელშიც ავტორი საინტერესო ცნობებს გვანჯდის მთიულეთის საზღვრების, ბუნებრივი თუ სამეურნეო პირობების, აგრეთვე ამ კუთხის მოსახლეობის და

³ ვახუშტი, აღწერა... გვ. 354.

⁴ იქვე, გვ. 354.

მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ვახუშტის ის ცნობები, რომლებიც მთიულეთის საზღვრებსა და მის მომიჯნავე ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს ეხება. მათი საფუძვლიანი განხილვის შემდეგ თითქმის ამომწურავი წარმოდგენა გვექნება მთიულეთის საზღვრების შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ კუთხის საზღვრების ვახუშტისეულ გაგებას მხარს უჭერენ ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ვახუშტის თანახმად მთიულეთის საზღვრები ასეთნაირად წარმოგვიდგება:

მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენს ის ადგილი, სადაც მთიულეთის არაგვს (ან თეთრ არაგვს) უერთდება გუდამაყრის არაგვი, სხვანაირად შავი არაგვი („ხოლო გუდამაყრის – ჴევის შესართავს ზეით, დასავლთ-ჩდილოს შუა არს მთიულეთი“⁵. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მთიულეთს საზღვრავს კავკასიონის ქედი, რომელიც ამ კუთხეს გამოჰყოფს გუდამაყრისა და ხევისაგან („ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჴევისაგან“)⁶, ხოლო დასავლეთით მთიულეთს ესაზღვრება ცხრაზმის და ლომისის მთა, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ქსნის ხეობას და მთიულეთს („მთიულეთსა და კსნის ჴევს განჰყოფს ცხრაზმასა და ჴანდოს ლომისის მთა“)⁷.

ამდენად, „მთიულეთი ვახუშტი ბაგრატიონისათვის მტკიცედ ლოკალიზებული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულია“⁸, რომელიც თავის მეზობლად მდებარე მთის კუთხეებისაგან (ხევი, გუდამაყარი, ქსანი) მთებით გამოიყოფა. მაგრამ ვახუშტის ამ ცნობების ყოველმხრივი ანალიზი არამც და არამც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ გუდამაყარი, ხანდო

⁵ იქვე, გვ. 355.

⁶ იქვე, გვ. 355.

⁷ იქვე, გვ. 355.

⁸ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

და ქართალი მთიულეთის შემადგენელ ნაწილებად მივიჩნი-
ოთ. პირიქით, ვახუშტის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ გუ-
დამაყარი და მთიულეთი XVIII ს-ში წარმოადგენდნენ ერთმა-
ნეთის მეზობლად მდებარე სხვადასხვა ტერიტორიულ ერთე-
ულებს, რომელთა მკვიდრნი (მთიულები და გუდამაყრელები)
ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნებით ძალიან ემსგავსებო-
დნენ ურთიერთს. ამ ფაქტს ხაზს უსვამს ვახუშტი, როცა
წერს, რომ გუდამაყრის „კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულ-
თაო“⁹. ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით ბევრი
საერთო უნდა ჰქონოდა აგრეთვე მთიულეთის და მის სამხრე-
თით მდებარე ხანდოს და ქართლის ხევებსაც, რომელნიც ისე-
ვე როგორც გუდამაყარი, ვახუშტის თხზულებაში მთიულეთი-
საგან დამოუკიდებლად მოიხსენიებიან. ეს გარემოება სწო-
რედ აქვთ შენიშნული რ. ხარაძეს და ალ. რობაქიძეს, რომლე-
ბიც თავიანთ ნაშრომში „მთიულეთის სოფელი ძველად“ წერ-
დნენ, რომ „ხანდო.. წყაროებში მთიულეთისაგან დამოუკიდე-
ბლად მოიხსენიება“¹⁰. მაგრამ პატივცემული ავტორები იქვე
აღნიშნავენ, რომ ხანდო „ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნე-
ბის მიხედვით მთიულეთს განეკუთვნება, ისევე როგორც გუ-
დამაყარი“¹¹.

როგორც ვხედავთ, ვახუშტისეულ ცნობაში მთიულეთი-
საგან დამოუკიდებლად მოხსენიებული ტერიტორიული ერ-
თეულები – ხანდო და გუდამაყარი რ. ხარაძემ და ა. რობაქი-
ძემ მთიულეთის შემადგენელ ნაწილებად ჩათვალეს „ძირითა-
დი ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით“. ამდენად, მარტო-
დენ ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით მსგავსება მათ საკ-
მარისად მიიჩნიეს იმ თვალსაზრისის გასატარებლად, რომ
ხანდოც და გუდამაყარიც „მთიულეთს განეკუთვნება“. სა-

⁹ ვახუშტი, აღწერა... გვ. 354.

¹⁰ ი. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 10.

¹¹ იქვე, გვ. 10.



კითხის ამგვარად დაყენება მართებულად არ მიგვაჩნია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალაუნებურად გამოგვივიდოდა ისტორიული წყაროების ერთგვარი იგნორირება. მეორეც, ეთნოგრაფიული ნიშნებით მსგავსებას არ უნდა ენიჭებოდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენადაც ასეთი მსგავსება შეინიშნება არამც თუ მთიულეთს, გუდამაყარსა და ხანდოს შორის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საერთოდ.

ამდენად, მარტოოდენ ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით" მთიულეთის და მის მეზობლად მდებარე მთის კუთხეების საზღვრების შესახებ კონკრეტული დასკვნების გამოტანა არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ აღნიშნული კუთხეების (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) საზღვრების საკითხის გადაჭრაში უფრო მეტად ისტორიული წყაროების მონაცემებს ვეყრდნობით.

ზემოთდასახელებულ ავტორთა, უფრო ადრე კი ს. მაკალათიას მიერ მთიულეთის ლოკალიზაციის საკითხში დაშვებული უზუსტობანი მნიშვნელოვანწილად გამონვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ ისინი მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვრად მიიჩნევდნენ მთიულთ-კარს და ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ვახუშტის ცნობებს იმონმებდნენ. მაგ. ს. მაკალათია, ავითარებდა რა იმ თვალსაზრისს, რომ ისტორიულად მთიულეთის „სამხრეთი საზღვარი მთიულთ-კარს არ სცილდებოდა"¹², ვახუშტის შემდეგ ცნობას ეყრდნობოდა: „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლეთიდან **ჭართალის – ჭევი**. მის ჩდილოდ არს **მთიულთ-კარი**, სიმაგრე მტკიცე, მის ზეით ნასასახლევი მეფეთა და **ხანდოს-ჭევი...**"¹³. მაგრამ ვახუშტი ამ ცნობით მხოლოდ მოიხსენიებს „მთიულთკარს", როგორც „ანანურს ზეით" მდებარე ერთ-ერთ პუნქტს, კონკრეტულად კი არაფერს ამბობს მთიულეთის სამხრეთი საზღვრის

¹² ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 5.

¹³ ვახუშტი, აღწერა... გვ. 354.

შესახებ, რომლის დადგენაში უპირველესი როლი ენიჭება ვახუშტის სხვა ცნობას, სადაც ავტორი სრულიად გარკვევით აღნიშნავს, რომ „გუდამაყრის-ჯევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდილოს შუა არს მთიულეთი“¹⁴. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ვახუშტი მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვრად ასახელებს მთიულეთის (თეთრი) და გუდამაყრის (შავი) არაგვის შესაყარ ადგილს (სადაც დღეს დაბა ფასანაური მდებარეობს), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას მთიულეთად თვლის.

ვახუშტის ცნობას ემთხვევა ხალხში გამოკითხვით ჩვენ მიერ დადგენილი მონაცემებიც. ხანდოს ხევის სოფელ ქვემო წინამხარში 1979 წლის 13 ივლისს შევხვდით სოფ. სოდევედან ფასანაურში ჩასახლებულ გიგო შიოს ძე ქავთარაძეს (დაბად. 1908 წ.), რომელმაც ასეთი განმარტება მოგვცა: „ამ ჯევის ეწოდება ჯანდოს ჯევი ან უბრალოდ ჯანდო. ეს არის ჯანდოს თემი, მთიულეთს არ ეკუთვნის. მთიულეთი იწყება სოფ. ქავთარაანიდან (ქავთარაანი მდებარეობს ფასანაურის ახლოს), ფასანაურის ზემოთ ერთი კილომეტრის დაცილებით, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს და გრძელდება სოფ. გუდაურამდე (ჯვრის გადასასვლელამდე). უწინაც ეგრე იყო და ჩემი მოსწრებითაც“¹⁵. როგორც ვხედავთ, ისტორიული მთიულეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა სოფ. ქავთარაანი. ამიტომ ამბობენ, რომ „მთიულეთს ეკუთვნის ფასანაურის ზეითობა“. რაც შეეხება მთიულთ-კარს, იგი მდებარეობდა ფასანაურის სამხრეთით, მთიულეთ-გუდამაყრის არაგვთა შესაყარიდან ქვემოთ, დაახლოებით მესამე კილომეტრზე, ვახუშტის ცნობით რომ წარმოვიდგინოთ, ქართლის „ჩრდილოთ“ და არა „გუდამაყრის ჯევის ზეით“, როგორც ეს ითქვა ერთ-ერთ

¹⁴ ვახუშტი, აღწერა... გვ. 355.

¹⁵ ვახტანგ ითონიშვილი, ხანდოს ხევი (ეთნოგრაფიული მასალები), I, 1979, გვ. 4.

ნაშრომში¹⁶. ვახუშტის დაკვირვებით, მთიულთ-კარი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სიმაგრეს მთიულეთის მისადგომებთან, მაგრამ ისტორიკოსი არ ამბობს, რომ ის იყო მთიულეთის სასაზღვრო პუნქტი. მკვლევარნი¹⁷, როგორც ჩანს, ამ პუნქტის სახელწოდების გამო მიიჩნევენ მას მთიულეთის კარად, მის საზღვრად. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის, რომ მთიულთ-კარი შეიძლება ნიშნავდეს მთიულებით დასახლებულ სოფელსაც. ამის საფუძველს გვიქმნის 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერის დავთარი, სადაც სოფ. მთიულთ-კარი იხსენიება 7 კომლით. ყურადღებას აქ ის იქცევს, რომ ამ 7 ოჯახიდან ერთია **ბოგანო გუდამაყრელი** (ე. ი. გუდამაყრიდან ჩამოსახლებული ბოგანო), ერთიც ბოგანო ხანდოელი (ხანდოდან ჩამოსახლებული), ხოლო დანარჩენი ხუთი ოჯახი ვინაობით (გვარებით) მთიულები არიან და ამდენად მთიულეთიდან ჩამოსახლებულებად უნდა ვიგულოთ¹⁸.

ეს ფაქტი თავისთავად გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ მთიულთ-კარი ნიშნავდა მთიულთა სოფელს, მთიულებით დასახლებულ სოფელს. საამისო მტკიცების საფუძველს ქმნის სიტყვა **კარი-ც**, რაც სოფლის, უბნის და საერთოდ დასახლებული პუნქტის მნიშვნელობითაც იხმარებოდა¹⁹. ყოველივე ეს თუ გავითვალისწინეთ, მაშინ მთიულთ-კარი უფრო მეტად მთიულთ სოფლის აღმნიშვნელი გამოდის, ვიდრე მთიულეთის კარებისა, მისი საზღვრისა. ამის მტკიცების საჭიროება არც ჩანს, რამდენადაც მთიულეთის საზღვრად მისი მიჩ-

¹⁶ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 5.

¹⁷ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 5; ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971, გვ. 207-208.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 133.

¹⁹ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 12.

ნების ცდისას ემყარებიან ვახუშტის ცნობას. ვახუშტი კი გარკვევით ამბობს, რომ მთიულთ-კარი არის სიმაგრე და არა მთიულეთის კარები. ამდენად, მთიულეთის სამხრეთ საზღვრად წარმოგვიდგება თვით ვახუშტის მიერ დასახელებული მთიულეთ-გუდამაყრის არაგვთა შესაყარი ადგილი (დაბა ფასანაურის ტერიტორია), ანდა მისგან ჩრდილოეთით ერთ კილომეტრზე დაცილებული სოფელი ქავთარაანი. ორივე შემთხვევაში მთიულთკარი მთიულეთის გარეთ, მისგან სამხრეთით რჩება. მთიულეთის უკიდურესი სამხრეთი საზღვრიდან ასევე დაშორებულია ხანდო, რომელიც მთიულეთს ემიჯნება, მაგრამ მის ფარგლებში არ შედის. ამდენად ხანდოსხევი მთიულეთის მეზობლად მდებარე ერთ-ერთ ტერიტორიულ ერთეულად წარმოგვიდგება, ისევე როგორც ჭართალი და გუდამაყარი.



განსახლების სტრუქტურა და მოსახლეობა

ნებისმიერი რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლების მდებარეობა-განლაგებას, მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას და სოციალურ შემადგენლობას, მის რიცხოვნობას ცვალებადობას დროის სხვადასხვა მონაკვეთში და ამ ცვალებადობის მიზეზებს. ამ საკითხებზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევენ როგორც ისტორიული წყაროები, ისე ადგილზე დაკვირვება და ხალხში ჩანერილი მასალები. ამგვარი მონაცემების გამოყენების საფუძველზე ქვემოთ ცალ-ცალკე შეიძლება გავეცნოთ ჯერ ხანდოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას და განსახლების სტრუქტურას, ხოლო შემდეგ მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას.

§1. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და განსახლება

ამ საკითხზე მსჯელობისას წერილობითი წყაროებიდან შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერა¹. თანაც ეს აღწერა სრულფასოვან ცნობებს არ შეიცავს. მასში ნაჩვენებია მარტოოდენ სრულწლოვან მამაკაცთა (ოჯახის თავთა) რაოდენობა მათი სახელებისა და გვარების ჩვენებით. არაგვის ხეობის მთისა და ბარის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1781 წელსაც², მაგრამ მასში, ზოგიერთ სხვა

¹ მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის რედ. ტფ., 1907.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.

ხევთან თუ სოფელთან ერთად, არც ხანდოს ხევი არის შეტანილი. ამიტომ ერთადერთ ისტორიულ წყაროდ გვრჩება 1774 წლის აღწერა, რომელსაც შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ადგილზე ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალები ყოველ სოფელში მცხოვრები გვარებისა და მათი ვინაობის შესახებ. 1774 წლის აღწერის მონაცემები და ჩვენ მიერ ჩანერილი მასალები ერთიმეორეს ავსებენ და ურთიერთშედარების შესაძლებლობასაც გვიქმნიან. შედარება გვიჩვენებს, რომ XVIII საუკუნეში აქ უმთავრესად ის გვარები მოსახლეობდნენ, რომლებსაც ხანდოს სოფლებში დღესაც ვხვდებით. ამასთან ერთად, შეინიშნება განსხვავებაც, რაც გამონვეულია ესოდენ ხანგრძლივ პერიოდში მოსახლეობის მოძრაობის მიზეზით. დროთა განმავლობაში ზოგი სხვაგან მიდიოდა საცხოვრებლად, ზოგიც სხვაგანიდან მოდიოდა და აქ ესახლებოდა. მოსახლეობაში ცვლილებებს ინვევდა არაერთი ოჯახის ამონყვეტაც, რაც ხდებოდა ომიანობის ან ხშირი ეპიდემიების შედეგად. მოსახლეობის სტაბილურობის თუ ადგილმონაცვლეობის შესახებ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია XVIII საუკუნის სტატისტიკურ მონაცემებსა და ადგილზე მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს გავეცნოთ ხანდოს ცალკეული სოფლების მაგალითზე ისეთი თანმიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია 1774 წლის აღწერაში.

სოფ. უკანამხარი

ეს სოფელი მდებარეობს ხანდოს ხევის სათავეში. ის ძველად გაშენებული იყო მთა მართალქედისა და ჯუხნარათ მთის კალთაზე. ნასოფლარი მოფენილია ნანგრევებით. შემორჩენილია როგორც ქვის მშრალი წყობით, ისე ქვიტკირით ნაგები საცხოვრებელი ნაგებობების (მათ შორის ციხე-სახლების), კოშკების, საკულტო ძეგლებისა და სოფლის გალავნის ნაშთები. მთელი სოფელი მოქცეული ყოფილა გალავნის შიგ-

ნით, გალავნის ოთხსავე კუთხეში კომკები მდგარა. სოფელი უზრუნველყოფილი ყოფილა თიხის მიღებით გამოყვანილი ორი წყაროთი. ადგილობრივთა ვარაუდით, თითოეული წყალ-გაყვანილობის სიგრძე დაახლოებით 1,5 კმ-ს აღწევდა. მტერს რომ ერთი წყაროსთვის მიეგნო, მეორეთი მაინც ისარგებლებდნენ. ერთ მათგანს ეწოდება **სხალთუკნის წყარო** (მოედინებოდა მთა **სახლთუკნიდან**), ხოლო მეორე – **პატარა წყალთწყარო** (გამოყვანილი ყოფილა **ჩუხურიანთ ტყიდან**). სოფელს გვერდზე ჰქონია კალოც, რაც დღესაც შეიმჩნევა პატარა დავაკების სახით და კვლავ კალოდ იწოდება.

ვანო დარჩიას ძე მნათობიშვილის (დაბ. 1891 წ.) ცნობით (17. VII. 1979 წ. სოფ. უკანამხარი), აქედან ხალხი დაბლა ჩამოსახლებულა მისი პაპის მამუკას დროს. მთხრობლის მამა დარჩია ახალ სამოსახლოში დაბადებულა. მთხრობელმა ისიც აღნიშნა, რომ ახლანდელი უკანამხარი დგას „ნამზღვევზე“ (ოდესლაც ჩამოსულ მენყერზე). მისივე ცნობით, მცირე ზომის ბაზილიკა, რაც დგას ნასოფლარის ცენტრში, აუშენებიათ ძველი სოფლის მიტოვების შემდეგ. ხალხის ხსოვნით, ეს იყო ერთადერთი ეკლესია მთელ ხანდოში, სადაც ჯვარს იწერდნენ და რომელსაც მღვდელი ემსახურებოდა. ამ მხრივ ამ ეკლესიას სახევეო ანუ სათემო მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ მის წილდებულად ითვლებოდნენ მხოლოდ უკანამხრის მცხოვრებნი, როგორც წმინდა გიორგის ხატის (ეკლესიის) ყმანი.

1774 წლის აღწერაში ხანდოს ხევიდან პირველ რიგში დასახელებულია სოფ. უკანამხარი. აღწერაში ჩამოთვლილია 21-მამაკაციანი ოჯახი, რომელთაგან 15 ოჯახია გვარად **ნათობიძე**, ხოლო 6 ოჯახი – **ლაზუაძე**³.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა დღევანდელი მონაცემებიც. როგორც ზემოხსენებულმა მთხრობელმა გვითხრა, დღეს უკანამხარში მოსახლეობს სამი გვარი: **მნათობი-**

³ მასალანი... გვ. 473-475.

შვილი, ლაზვიაშვილი და ქურციკაშვილი. თითოეული მათგანი დაყოფილია პატარ-პატარა ნათესაურ ჯგუფებად, რასაც ეწოდება ან **მამიშვილობანი** ან **კომები**. ორივე ეს სახელწოდება და თითოეული ასეთი დანაყოფის წევრთა ახლობლობა იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი იქმნებოდნენ ოჯახების გაყრის შედეგად, ყოველი ასეთი წარმონაქმნი ლეზულობდა უახლოესი წინაპრის (ეპონიმის) სახელს და პატრონიმიულ ერთეულად ყალიბდებოდა: მნათობიშვილების გვარში ასეთებად დასახელებულია: **ჭიჭკაანი, დათუკაანი, თათარიანი, პოვჩაანი, ჩუხურიანი, პაპუჩაანი, ბერიკაანი**. ლაზვიაშვილების დანაყოფებია: **ბაჭკაანი, ოთარაანი, მუსტარაანი, პეტრიანი, ფაცხვერიანი**, ქურციკაშვილების მამიშვილობანია: **ქურციკაანი, სახლიანი, გივიანი**.

ხალხში შემორჩენილია ზოგიერთი ცნობა ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის შესახებ. მთხრობელმა აღნიშნა, რომ მნათობიშვილების წინაპარი ხევსური ყოფილა, რომელსაც თავის სამშობლოში კაცი შემოჰკვდომია, მოსისხლეებს გამოჰქცევია, აქ მოსულა, ადგილი უთხოვია და დაუსახლებიათ. ამავე მთხრობლის ცნობით, უკანამხარში მნათობიშვილებზე უფრო ადრე დასახლებულან ლაზვიაშვილები და ქურციკაშვილები, რომელთაგან ქურციკაშვილების სადაურობაზე მთხრობელმა ვერაფერი თქვა, ხოლო ლაზვიაშვილები ფშავიდან მოსულებად წარმოგვიდგინა.

შედარებით განსხვავებული ცნობები მოგვანოდეს სხვა მთხრობლებმა. ვანო პავლეს ძე მნათობიშვილმა (დაბად. 1911 წ.) გადმოგვცა, რომ მნათობიშვილი სხვაგნიდან მოსული კი არა, არამედ უკანამხრის მკვიდრი გვარია. მისი ცნობით, პირიქით, ამ სოფლიდან მნათობიშვილების რამდენიმე ოჯახი საცხოვრებლად წასულა წილკანში, წეროვანში, ბოდორნაში, ციხისძირში და ზემოქედში (16. VII. 1979 წ. სოფ. ნითლიანთკარი).

მნათობიშვილების შესახებ ამ მთხრობლის ცნობას ავსებს შედარებით ახალგაზრდა მთხრობლის შალვა ივანეს ძე მნათობიშვილის (დაბად. 1938 წ.) ცნობაც, თითქოს ძველ უკანამხარში ლაზვიაშვილებისა და ქურციკაშვილების ნასახლარები შემორჩენილი არ არის და, ამდენად, ამ სოფლის ერთადერთი მკვიდრნი მნათობიშვილები ყოფილან (17. VII. 1979 წ. სოფ. უკანამხარი).

გადმოცემის ყველა ეს ვარიანტი საყურადღებოა, მაგრამ ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანია უფრო ზუსტი ცნობების შემცველი. თუ ამ გადმოცემებს შეუდარებთ 1774 წლის აღწერის მონაცემებს, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVIII საუკუნეში უკანამხრის მოსახლეობა ორი გვარით იყო დასახელებული, რომელთაგან ნათობიძე იგივე მნათობიშვილია, ხოლო ლაზუაძე – ლაზვიაშვილი. რაც შეეხება ქურციკაშვილებს, შესაძლებელია ეს უფრო გვიან მოსული და დასახლებული იყოს.

1774 წლის აღწერისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ისიც კარგად გამოჩნდა, რომ უკანამხრის მოსახლეობა ქართული წარმომავლობისაა. მართალია, გადმოცემა მათ მოსულობაზე მიგვითითებს, მაგრამ არა უცხო მხარიდან, არამედ ისევ საქართველოს კუთხეებიდან (ხევსურეთიდან, ფშავიდან). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი მომენტიც: ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივ გვარში შეერეოდა რაიმე მიზეზით შემოხიზნული სხვა ჯურის ოჯახიც. ასეთად დაგვისახელეს, მაგალითად, თათარიანი. გადმოცემის თანახმად, კაცნაკლავი თათარი მნათობიშვილებს მიჰყედლებია და მას, როგორც ამანათს, მფარველის გვარიც მიუღია. თვით სახელწოდება თათარიანიც აღნიშნულის დამადასტურებელია. ანალოგიური გადმოცემები საერთოდ ცნობილია ყველგან და მიგვითითებს ამანათობის ჩვეულებაზე, რომლის კონკრეტული მაგალითი გვაქვს უკანამხარშიც.

ჯუხარაანთკარი ანუ ჯუხარაანი

სოფ. უკანამხრის გვერდით მდებარე სერზე, რომელსაც იქ არსებული სალოცავის მიხედვით ეწოდება **წვერის ანგელოზი** და რომელსაც უკანამხრისაგან გამოყოფს მათ შუა ჩამომდინარე **ბაჭკაანთ ჳევი**, შემორჩენილია პატარა ნასოფლარი. თავის დროზე ეს იყო სოფელი ჯუხარაანი, სადაც უცხოვრიათ ჯუხარაშვილებს. მთხრობლები აქ სხვა რომელიმე გვარის ცხოვრებაზე არ მიგვითითებენ. უკანამხრელების ცნობით, აქ ხუთიოდე ოჯახი ცხოვრობდა, ისინი ნელ-ნელა წასულან და ამ ათიოდე წლის წინ სოფელი მთლიანად გაუკაცრიელებულია.

ეს სოფელი 1774 წლის აღწერაში იხსენიება ჯუხარაანთ კარად, სადაც ამ დროისათვის ნაჩვენებია ორი გვარი – **ჯუხარიძე** და **დავითური**. სოფელში მცხოვრები 7 მამაკაციანი ოჯახიდან ხუთია **ჯუხარიძე** და ორი **დავითური**⁴. როგორც ჩანს, დავითურების ორი ოჯახი აქ გადმოსახლებულა სოფ. დავითურთ კარიდან, რაც 1774 წლის აღწერაში გამორჩენილია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ სოფლის შესახებ მოვიშველიოთ ეთნოგრაფიული მასალები.

დავითურთკარი ანუ დავითურები

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სოფლის ორივე ეს სახელწოდება პარალელურად იხმარება და დავითურების გვარის სამოსახლოს ნიშნავს. სხვა გვარის ხალხს აქ არ უცხოვრია. 1931 წლიდან სოფ. უკანამხარში დავითურებიდან გადმოსახლებული გიგოლა მახარობლის ძე დავითურის (დაბად. 1900 წ.). ცნობით (17. VII. 1979 წ. სოფ. უკანამხარი), დავითურების წინაპარს რქმევია **დავითი**. დავითურების ერთი ნაწილი

⁴ მასალანი... გვ. 475.

ქსნის ხეობაშიც დამკვიდრებულა. მთხრობელმა დაგვისახელა სოფელი უკანუბანი ქსნის ხეობის სათავეში, რომელსაც ახლა ეწოდება **შიუკაანი**. იქ მცხოვრები შიუკაშვილები, რომლის გამო მიიღო სოფელმა ეს სახელწოდება, დავითურების მოდგმისანი ყოფილან და მათთან სახლიკაცობდნენ. მათ სისტემატურად უვლიათ დავითურების სალოცავში – ადგილის დედაში, როგორც წინაპართა ხატში, სადაც ძველი სტილით 10 ივლისს დღეობა „თორმონობა“ (მთავარმონამეობა) იმართებოდა. დავითურებს თავისი სახლიკაცები ეგულვებოდათ ქსნის ხეობის სოფელ ქურთაშიც.

სოფ. დავითურების თავში შემორჩენილია ძველი დასახლების ნანგრევები ციხისა და სახლების ნაშთებით. იქ ქვევრებიც მდგარა მტრის შემოსევის დროს წყლის შესანახად. ამ ძველ სამოსახლოს ეწოდება **ძველი ციხიქედი**. დავითურების ძველი ნაციხვარის სახელწოდებაა **საჯარე ქედი**, ხოლო სალოცავისა – **სამხთო მალალი**. სოფლის მარცხენა მხარეს მოედინება **მერისწყალი**, რომელიც გამოდის მთა **საყანოდან**. მარჯვენა მხარეს კი სოფელს ჩამოუდის **სალინოვევის წყალი**, რომელიც სათავეს იღებს მთა **სალინოვევიდან**.

დავითურების გვარის დანაყოფები (მამიშვილობანი) იყვნენ **ირემანი, სიხანი, ჭალარანი** (იგივე **ფილიპანი**), **ნინიკაანი, მოსიკაანი, შატიანი, ბატარკაციანი**. თვით მთხრობელი გიგოლა დავითური ბატარკაცაანთ ეკუთვნის, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გიგოლა უკანამხარში დასახლდა, მის ოჯახს შეარქვეს **ჩუხურიანი**, ვინაიდან მის სამოსახლო ადგილს ჰქვია **ჩუხურიანი**.

იმ დროს, როდესაც 1900 წელს დაბადებული გიგოლა 13-14 წლისა ყოფილა, დავითურებში 15 კომლს უცხოვრია. უკანამხარში მისი გადმოსახლების დროისათვის (1931 წ.) სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 9 კომლს, ხოლო ამჟამად იქ დარჩენილია ერთადერთი მოხუცი – იოსებ დავითური.

სოფ. ვეშაგურთკარი ანუ ვეშაგურები

1774 წლის აღწერაში ნაჩვენებია ვეშაგურების 8 ოჯახი⁵. არც მაშინ და დღემდე არც იმის შემდეგ აქ სხვა გვარის კაცს არ უცხოვრია. მეორე მსოფლიო ომის დროისათვის აქ სახლებულა 18 ოჯახი, ამაჟამად ცხოვრობს მხოლოდ 7 კომლი.

ვანო ზაქარიას ძე ვეშაგურისა (დაბად. 1908 წ.) და სტეფანე ივანეს ძე ვეშაგურის (დაბად. 1911 წ.) მონათხრობთა მიხედვით, ვეშაგურების წინაპარი ყოფილა ქისტის (ინგუში), რომელსაც თავის სამშობლოში კაცი შემოჰკვდომია და ხევსურეთში შემოხიზნულია, მაგრამ ხევსურეთშიაც კაცი მოუკლავს და ხანდოს ხევში გადმოსვენებულა. დასახლებულა **ბოჩეთს**, რომელსაც, შემორჩენილი ნასახლარების გამო, მეორენაირად ეწოდა **ნაყორი** (ყორე-კედლების ნაშთების მიხედვით). ამანათად მოსული ქისტის იქიდან საცხოვრებლად გადასულა დღევანდელი სოფ. ვეშაგურების თავში, სადაც ბოლო დრომდე უცხოვრიათ ვეშაგურების ერთ-ერთ მამიშვილობას (ბერიანთ). ამ ამანათს სახელად რქმევია **შაგური**, რის მიხედვითაც მისი შთამომავლობისათვის შეურქმევიათ ვეშაგური. ბოჩეთსა და სოფლის თავში ცხოვრებისას მას ჰყოლია ქისტეთიდან მოყოლილი ცოლიც და შვილებიც. ბოლოს მისი ჩამომავლობა განსახლებულა ქვემოთ. ვეშაგურები იყოფიან მამიშვილობებად, რომელთაგან ადრე გამოყოფლად მიჩნეული არიან **ბალაანი**⁶ (შემდეგში მათ შეარქვეს **მჭედლიანი**). ბალაანთ შემდგომ განშტოებად მთხრობლებმა დაასახელეს **ხიზანიანი**, რომლის შემადგენლობიდანაც გამოიყვენენ როგორც ვეშაგუ-

⁵ მასალანი... გვ. 476.

⁶ ამ პატრონიმიული სახელიდან წარმოსდგება ხანდოს წყლის იმ ნაწილის სახელწოდებაც (**ბალაანთქვევი**), რომელიც სოფ. ვეშაგურების ტერიტორიაზე მოდის და სოფელს მარჯვენა მხარეზე ჩამოედის. მარცხენა მხარეზე მოედინება **დობერნი** (**დობრისქვევი** ანუ **წყალთღელე**), რომელიც გამოდის მთა ჩანჩხიანიდან.

რებში მცხოვრები, ისე აქედან სოფ. ბანცურში და სოფ. ნითლიანთკარში განსახლებული მამიშვილობანი: **ანდრიანი, ბერიანი, სოსიანი, თანდილიანი, მჭედლიანი, პავლიანი, ფაცხვერიანი** (ფაცხვერიანთაგან გამოყოფილი **მიხაანი**). ვეშაგურთა გვარში შედიან **მახიტანიც**, რომლის დანაყოფებია **ნანაძიანი, გოგოლიანი, ბალიკიანი, გვიზაანი, გამახარიანი (ჭიჭოლიანი)**. გადმოცემის თანახმად, მახიტაანთ (მახიტაშვილების) წინაპარი ყოფილა **მახიტა**, რომელიც ქსნიდან გადმოსულა, ვეშაგურების გვარს ჩასიძებია და ეს გვარი მიუღია.

ინგუშეთიდან გადმოხვენილი ამანათის აქ დამკვიდრებას მთხრობლები იმ გარემოებით ხსნიან, რომ ეს ადგილი ითვლებოდა ხანდოს **საამანათოდ**, მოსულთათვის განკუთვნილ სახიზრად, **სათემოდ**. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ სწორედ სოფ. ვეშაგურების ბოლოში მდებარე ადგილს, რომელსაც **საფიცარნი** ეწოდება (აქ თურმე ხანდოს თემის კაცები იკრიბებოდნენ და დამნაშავეებს ასამართლებდნენ. ვისაც თავის გამართლების საფუძველი გააჩნდა, ფიცით დაამტკიცებდა. ვინც თავს ვერ იმართლებდა, სჯიდნენ. გადმოცემის მიხედვით, აქ სამი კაცი ყოფილა ჩაქვავებული), სათემო ბჭობა-განსჯის ადგილად მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, ვეშაგურებს სათემოდ იმიტომ თვლიდნენ, რომ ის ხანდოს თემის ცენტრალურ ადგილას მდებარეობს.

წინამხარი

ამ სოფლის სახელად 1774 წლის აღწერაში გვხვდება **წინციხე**, სადაც აღრიცხულია 10-მამაკაციანი ოჯახი. მათ შორის 2 ოჯახია გვარად **ზურაბაძე**, 7 ოჯახი – **სამხარაული** და ერთიც აქ ჩამოსახლებული ბოგანო ქავთურთ კახელი **ქავთარაძე**⁷.

⁷ მასალანი... გვ. 476-477.

სხენებული გვარებიდან დღევანდელ წინამხარში, რომელსაც XVIII საუკუნეში წინციხე რქმევია, იმყოფებიან მხოლოდ ზურაბაძეთა შთამომავალნი – **ზურაბაშვილები**. იოსებ სანდროს ძე მელიქიშვილის (დაბად. 1909 წ.) ცნობით (13. VII, 1979 წ. სოფ. წინამხარი), 1931 წლამდე სოფ. წინამხარში ცხოვრობდა 50 კომლი. აქედან 3 ოჯახი ყოფილა ზურაბაშვილებისა, რომელთაც ცალკე დანაყოფების უქონლად ზურაბაანთ უწოდებენ. წინამხარში ათამდე ოჯახი სახლებულა ოქრუაშვილების გვარიდან, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი უმრავლესობა მელიქიშვილები ყოფილან. ოქრუაშვილების სამოსახლო უბანს წარმოადგენდა **შვილდოეთი**. აქედან ზოგი დასახლებულა მეორე უბანში, რომელსაც ჰქვია **ლეგაანი**. 1930-იანი წლებიდან ოქრუაშვილებს მიუღიათ მელიქიშვილობა. ეს იმიტომ, რომ იოსებ ოქრუაშვილს ხევსურეთში კაცი მოუკლავს, ოქრუაშვილებს საფრთხე დაემუქრათ, ვინაიდან ხევსურებს შეეძლოთ შურისძიების მიზნით მოეკლათ ნებისმიერი ოქრუაშვილი და ამ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით არჩიეს გვარის გამოცვლა. თვით მელიქიშვილების გვარში გამოყოფილან შემდეგი მამიშვილობანი: **ბაბრიანი, თომაანი, გზირიანი, ნადირიანი, ჯამარიანი, ხულიანი, ობლიანი, ჩაჩქანაანი**.

1914 წლიდან მოსახლეობის ნაწილმა ჩამოსახლება დაიწყო ქვემოთ და წარმოიქმნა სოფ. ქვემო წინამხარი ორ ძირითად უბნად: ხანდოს წყლის მარჯვენა მხარეს ეწოდება **უნაგრისხევი** (მისი სხვა სახელწოდებებია ჩირდილა და ნიფლიანი), ხოლო მეორე – **ნადირაანი** (მზორე ან მუხნარი). ქვემო წინამხარში დღეისათვის ცხოვრობს მელიქიშვილების 11 კომლი, 2 კომლი გუდამაყრის ხეობის სოფ. დუმაცხოდან მოსული ნიკლაურებია და ერთი ოჯახიც სოფ. მეჯილაურებიდან ჩამოსახლებული მოთიაშვილი. ნიკლაური და მოთიაშვილი ზემო წინამხარში ზედსიძედ მისულან და შემდეგ იქიდან ქვემო წინამხარში

ნამხარში ჩამოსულან. ზემო წინამხარში დღეს ცხოვრობს მხოლოდ 6 ოჯახი.

ადგილზე დაკვირვებისა და გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სოფ. წინამხარი თავდაპირველად მდებარეობდა **მთავარნაგელოზის ქედზე**, სადაც შემორჩენილია მთავარნაგელოზის ეკლესია, ციხე, ნასახლარები და ნაკალოვრები. 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული წინციხე უსათუოდ ამ დასახლებას გულისხმობს. ამას გვაფიქრებინებს თვით ციხის არსებობაც, ხანდოს ხევის შესასვლელთან თვალსაჩინო ადგილას მისი მდებარეობა, როგორც სოფლის სახელწოდების საფუძველი. აღწერის მიხედვით, აქ უმრავლესობას სამხარაულები შეადგენდნენ. ხალხური გადმოცემის მიხედვით კი მელიქიშვილების უმრავლესობა ივარაუდება. როგორც ჩანს, მელიქიშვილები აქ 1774 წლის აღწერის შემდეგ უნდა იყვნენ დასახლებულნი, თუ არ ვივარაუდებთ, რომ სამხარაულის გვარი მელიქიშვილით შეცვლილიყო რაიმე მიზეზის გამო, ისევე, როგორც ახლო წარსულში ოქრუაშვილებმა მელიქიშვილობა მიიღეს.

სოდევე

ხანდოს თემის ზემოხსენებული სოფლები ხანდოს წყლის დაყოლებითაა განლაგებული, გარდა დავითურთ კარისა, რომელიც გვერდით ხევში მდებარეობს. ხანდოს თემში ასეთსავე გვერდითსა და შედარებით იზოლირებულ ხევს წარმოადგენს სოდევე-მეჯილაურების ხევი, რომელიც ხანდოს ხევისაგან გამიჯნულია **ბოჩეთისა და კვირიას ქედებით**. როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, ამ ხევში არის ორი სოფელი – სოდევე და მეჯილაურები.

სოდევს ჩამოუდის **სოდევის ჭევი**, რომელსაც ერთვის **სამაღლებო წყალი**. ამ ორ წყალს შუა მდებარე მთავარნაგელოზის ქედზე არის **ნაციხვარები** (სამი კოშკის ნანგრევი). მე-

ორე ალგილზე, სადაც გვხვდება აკლდამები და რომელსაც ეწოდება **ორბეგი**, ძველად გაშენებული ყოფილა სოფ. სოდე-
ვი.

1774 წლის აღწერაში დასახელებულია **სოდავე**, სადაც აღრიცხულია 14 ოჯახი, მათ შორის: **ჯანიაური** – 4 კომლი, **გვრიტიძე** – 4 კომლი, **მელიაური** – 3 კომლი, **ნაგტენაური** – 2 კომლი და **ახალაური** – 1 კომლი⁸.

ადგილზე გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სოდევე-ში ცხოვრობდნენ გვრიტიშვილები, ჯანიაშვილები, მოთიაშვილები, ნაქტენაშვილები და ქავთარაძეები. გიორგი ნასყიდას ძე ჯანიაშვილს (დაბად. 1920 წ.) ნაქტენაშვილის გვარი უნახავს საეკლესიო წიგნში, მაგრამ არავინ იცის ნაქტენაშვილები როდის წავიდნენ და სად დასახლდნენ. ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი 1774 წლის აღწერაში **ნაგტენაურის** გვარის შთამომავლები არიან. ქავთარაძე მოსულა ქავთარაანიდან (მთიულეთიდან) და ზედსიძედ დასახლებულა. იმავე მთხრობლის ცნობით, ჯანიაშვილები და მოთიაშვილები ბოდბედან (სიღნაღის მხარიდან) მოსული ერთი საერთო წინაპრის მოდგმისანი არიან და ორ ძმაზე – **ჯანასა** და **მოთიაზე** მოდიან. მოთიაშვილები ცხოვრობდნენ როგორც სოდევეში, ისე მეჯილაურებში. საბოლოოდ სოდეველი მოთიაშვილებიც მეჯილაურებში დასახლებულან, რომელთა დანაყოფებია: **ჟიჟანნი**, **ოქრუანი**, **ბერაანი**, **ფსიტინი**, **არსენანნი**. სოდევეში ერთ-ერთი ძირეული გვარია ჯანიაშვილი, რომლის ძირითად ნაწილებად ითვლებიან **ჩიკრიკიანი** (ჩიკრიკიანის დანაყოფებია: **მათიანი**, **ანდრიანი**, **აბრამაანი**, **ნასყიდაანი**) და საკუთრივ **ჯანიანი** (ჯანიანის დანაყოფებია: **მახაბაანი**, **ბეჟანაანი**, **ზარიძიანი**). ჩიკრიკიანი და ჯანიანი არიან **ჩამომავლობანი**, ხოლო მათში შემავალი დანაყოფები კი – **კომები**. 1774 წელს ეს გვარი ჯანიაურად იხსენიება. სოდევეში ასევე ერთ-

⁸ მასალანი... გვ. 477-478.

ერთი ძირძველი გვარია გვრიტიშვილი, 1774 წელს გვრიტიძედ ცნობილი. გიორგი ჯანიაშვილის გადმოცემით, გვრიტიშვილი სოდევეში მკვიდრი გვარია, აქედან გადასულან გვრიტიშვილები მეჯილაურებშიც, ქსნის ხეობაშიც და მანგლისშიც. ამის საბუთად მთხრობელმა მიიჩნია ის გარემოება, რომ ქსნის ხეობაში მცხოვრები გვრიტიშვილები და მანგლისელი გაბიდაურები (წარმოშობით გვრიტიშვილები) სოდევეში, **წვერის ანგელოზში** კურატით მოდიოდნენ სალოცავად, როგორც წინაპართა ხატში. ამ გადმოცემისაგან განსხვავებული ცნობა მოგვანოდა სოფ. მეჯილაურებში (18. VII. 1979 წ.წ.) ალექსი აბრამის ძე გვრიტიშვილმა (დაბად. 1894 წ.). როგორც მან თქვა, ქსნის ხეობაში სახნავ-სათესი ადგილების ნაკლებობის გამო გვრიტიშვილები იქიდან გადმოსახლებულან სოდევესა და მეჯილაურებში. ეს საკითხი დამატებითი მასალებით დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ ის მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვრიტიშვილები ორივე სოფელში ცხოვრობენ. სოდევეში მათი დანაყოფებია: **ბათირანი, ჯუხარიანი, ელიზბარანი** (ესენი დღესაც სოდევეში არიან), **ბეჟიანი, კოფიანი, ახალიანი** (ეს სამი მამიშვილობა სოდევედან წასულა). სოფ. მეჯილაურებში გვრიტიშვილების მამიშვილობანია: **კაციანი, სეხნიანი, ნადირანი, დეკანოზიანი, ბერიანი**. გვრიტიძედ ხსენებული 4 ოჯახი გვხვდება ჯირაურთ კარის (მეჯილაურების) 1774 წლის აღწერაშიც⁹, რაც ადასტურებს ეთნოგრაფიული მონაცემების სისწორეს ორივე სოფელში გვრიტიშვილების ხანგრძლივი ცხოვრების შესახებ.

სოდევეს მოსახლეობის 1774 წლის აღწერაში გვხვდება კიდევ ორი გვარი – **მელიაური** და **ახალაური**, მაგრამ ადგილზე მათ შესახებ რაიმე ცნობის დადასტურება ვერ მოხერხდა.

⁹ მასალანი... გვ. 478.

ჯირაურთკარი ანუ მეჯილაურები

სოფლის სახელწოდება **ჯირაურთ კარი** გვხვდება 1774 წლის აღწერაში. ს. მაკალათიას მიერ გამოცემულ რუკაზე აღნიშნულია **ჯალაურთკარი**, ხოლო მის მიერვე ფასანაურის თემის სოფლების აღწუსხვისას ჩანერილია **მეჯილაური**¹⁰. ეს სოფელი მდებარეობს სოდევეს მეზობლად, მის ქვემოთ, სოდევე-მეჯილაურის წყლის პირად. ამ წყალს ერთვის **ველრელის ჯევი**, რომელიც მეჯილაურს გვერდზე ჩამოუდის. სოფელი ძველად გაშენებული ყოფილა მაღლობზე, რომელსაც ეწოდება **ვერკეთილი**. აქ შემორჩენილია საცხოვრებლების, კოშკებისა და ეკლესიების ნანგრევები. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ სამი ეკლესია მდგარა, რომელთათვისაც ლეკიანობის შიშით სათოფეები გაუკეთებიათ.

როგორც ზემოთ ითქვა, მეჯილაურებში ცხოვრობენ მოთიაშვილები და გვრიტიშვილები. ალექსი გვრიტიშვილის (დაბად. 1894 წ.) ცნობით, ძირეული და ძველი გვარია მოთიაშვილი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1774 წლის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ჯირაურთ კარში ყოფილა 4 გვარი: **გივიძე** – 2 კომლი, **გვრიტიძე** – 4 კომლი, **გოთიაური** – 5 კომლი ან **ფსიტიძე** – 1 კომლი¹¹. აღნიშნულთაგან გივიძის ვინაობაზე ხალხში ცნობები არ შემონახულა. გვრიტიძე რომ იგივე გვრიტიშვილია, ამის შესახებ ზემოთ უკვე იქვა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ 1774 წლის აღწერაში ხსენებული ზოგი პიროვნება ეთნოგრაფიულ მასალებში გვხვდება რომელიმე დანაყოფის ეპონიმად (წინაპრად). მაგალითად, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გვრიტიშვილების ერთ-ერთ მამიშვილობას ერქვა ნადირაანი, მეორეს – სესხიანი, მესამეს – კაციანი და ა. შ. 1774 წლის აღწერაში კი დასახელებულნი

¹⁰ ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 66 და მთიულეთის რუკა.

¹¹ მასალანი... გვ. 478-479.

არიან გვრიტიძე ნადირა და მისი შვილები: აბრამ, დარჩია, კაცია, სეხნია და პატარკაცი. უნდა ვიფიქროთ, რომ გვრიტიძე ნადირას მოდგმას ეკუთვნიან ნადირაანი, ისევე როგორც კაციას შთამომავლები ჩანან კაციანი, ხოლო სეხნიასი – სეხნიაანი. ასეთნაირად უნდა წარმოვიდგინოთ იმიტომ, რომ ნათესაური გაერთიანება აქაც და სხვა კუთხეებშიც უახლოესი წინაპრის სახელს ატარებდა.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება მოთიაშვილების მიმართაც. 1774 წლის აღწერაში ხსენებული გოთიაური უნდა იყოს მოთიაშვილის (მოთიაურის) ძველი სახელწოდება. ამის საბუთად შეიძლება დავიმოწმოთ ის, რომ მოთიაშვილების ერთ-ერთ ნაწილს ჰქვია ოქრუანი. 1774 წლის აღწერაში კი დასახელებულია გოთიაური ოქრუა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მოთიაშვილების იმ ნაწილის პატრონიმიული სახელწოდება, რომელთაც ეწოდათ ოქრუანი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 1774 წლის აღწერაში შეტანილი ფსიტიძეც მოთიაშვილების (გოთიაურის) ნაწილი ჩანს, ვინაიდან მეჯილაურებში მოთიაშვილების ერთ მამიშვილობას ფსიტიანი ჰქვია.

დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება იმ მასალების მიხედვით, რაც განვიხილეთ ხანდოს სოფლების შესახებ. ირკვევა, რომ ყოველი სოფელი წარმოადგენდა ტიპიურ მთურ დასახლებას, სადაც ცხოვრობდნენ ოდითგანვე ძირეული ან მოსული გვარები. გვარების უმრავლესობა ქართულია, ხოლო ზოგიერთი მათგანის წარმომავლობას კავშირი აქვს არაქართულ ეთნიკურ გარემოსთანაც, მაგრამ ეს უკანასკნელნიც დიდი ხნის წინათ ეზიარნენ ქართველ მთიელთა ცხოვრებას და მხოლოდ გადმოცემაში ინახება ხსოვნა მათი წარმომავლობის შესახებ.

ხანდოს თემიდან მოსახლეობის ნაწილი დროთა განმავლობაში სხვაგანაც მიდიოდა. პირველ რიგში კი იქიდან გამოსულნი ახლო-მახლო სახლდებოდნენ. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია სოფელი **ბანცური**. ის მდებარეობს ხანდოს ხე-

ვის ფარგლებს გარეთ, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს, მთის ფერდობზე, რომელიც პირდაპირ უცქერის ხანდოს ხევს. ბარცურში სულ ვეშაგურები დასახლდნენ, რომელთა რაოდენობა 1911 წელს დაბადებული მთხრობლის ნიკალა ანდრიას ძე ვეშაგურის ახალგაზრდობისას 20-25 კომლს ითვლიდა. ამავე მთხრობლის ბავშვობის დროიდან ზოგიერთი ოჯახი ჩამოსახლებულა ქვემოთ, ბანცურის ქალაში არაგვის პირად, სადაც ამჟამად პატარა დასახლებაა. ბანცურში დასახლების შემდეგ ვეშაგურები გარკვეულ კავშირს ინარჩუნებდნენ სოფ. ვეშაგურთ კართან, განსაკუთრებით სულიერი კულტურის სფეროში, რაც გამოსატყულებას პოულობდა რელიგიურ დღესასწაულებზე მონაწილეობაში.

მეორე პუნქტი, სადაც ხანდოსხეველთა ახალი დასახლება გაჩნდა, არის წითლიანთკარი, საქართველოს სამხედრო გზის პირად გაშენებული სოფელი ხანდოს ხევის კარებთან. ეს დასახლება შეიქმნა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან. დღემდე აქ დასახლდნენ ხანდოს ყველა სოფლის წარმომადგენლები, ვინაიდან ეს ადგილი იყო სათემო ანუ სახანდოო.

ხანდოს თემს ეკუთვნოდა აგრეთვე ხამუშა – ზაფხულობით საქონლის სადგომი და სამეურნეო ბაზა იქ გაკეთებული სახლებით. ხამუშაში 7-8 კომლს უცხოვრია გვრიტიშვილების გვარიდან, სოფ. მეჯილაურებიდან. მის ქვემოთაც, ხამუშას ქალაზე ასევე ზოგიერთ ოჯახს დაუდია ბინა. ამ ნაბინავარნასახლარებს კომპის ნანგრევით ეწოდება **ნაყორვანი**, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ადრე ქვის ყორე-ნაგებობანი იყო.

აღნიშნული სამოსახლოები და სამეურნეო ბაზები რაკი ხანდოს ეკუთვნოდა, ამიტომ ერქვა მათ **სახანდოო**. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ხანდო, ანუ ხანდოს ხევი ერქვა გეოგრაფიულად შემოფარგლულ ხევს, ხოლო მის გარეთ მდებარე, მაგრამ ხანდოს მოსახლეობის კუთვნილ ტერიტორიას მისი პუნქტებით ერქვა სახანდოო.

§ 2. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა

ხანდოს ხევის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე წარმოდგენას გვიქმნიან სხვადასხვა დროის წერილობითი წყაროები, მონაცემები სპეციალური ლიტერატურიდან და ეთნოგრაფიული მასალები. ყოველივე ეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ხანდოს მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას გავეცნოთ დროის ყველა მონაკვეთის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ეპოქის სურათი კი მეტ-ნაკლები სისრულით შეიძლება დავინახოთ. ამ მხრივ წერილობითი წყაროებიდან პირველ რიგში საყურადღებოა გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი. სხვა უფრო ძველი წყარო აღნიშნულ საკითხზე არ გვეგულება. სამართლის ეს წიგნი კი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რამდენიმე ხეობასა და თემთან ერთად (მთიულეთი, გუდამაყარი, ჭართალი) ხანდოს ხევსაც შეეხება.

ცნობილია, რომ მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) საქართველოში არაერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა სახელმწიფო პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო საქმის სფეროში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, მისი რეფორმისტული და საკანონმდებლო მოღვაწეობაც, რითაც გიორგი V მიზნად ისახავდა როგორც საქართველოს ეკონომიკურ მომძლავრებას, ისე შერყეული სამეფო ხელისუფლებისა და კანონიერების განმტკიცებას მთელ სამეფოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, რადგან სამეფო ხელისუფლების შესუსტებისას „მთა ლამობდა ბარის მეურვეობისაგან განთავისუფლებას. მთიელთა თემები პირშეთქმით ხოცავ-

დნენ მეფის ადგილობრივ მოხელეებს, ერისთავებს, გამგებლებს"¹².

გიორგი ბრწყინვალემ საჭიროდ ცნო პირადად გასცნობოდა მთაში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და სათანადო ღონისძიებები განეხორციელებინა მისი გამოსწორების მიზნით. ამაღლის თანხლებით მეფე ავიდა მთიულეთში, თავისთან მოიხმო ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები (ხევისბერნი, ჰეროვანნი), მათი მეშვეობით შეიტყო რაც მას აინტერესებდა, მთიულეთიდან გადავიდა ხევში, მივიდა დარიალამდე – საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე, იქიდან მობრუნებული მეფე კვლავ მთიულეთში გადმოვიდა, შეჩერდა ლომისის ეკლესიაში, ილოცა, აქედან გადავიდა ქსნის ხეობაში, მისი ჩამოვლით შევიდა მუხრანში, ხოლო იქიდან ჩამოვიდა თბილისში.

მთიანეთში შექმნილი მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მეფე დარწმუნდა, რომ უნესრიგობა სუფევდა არა მთელ მთიანეთში, არამედ მის ზოგიერთ კუთხეში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი). ამიტომ, დედაქალაქში დაბრუნებისას გიორგი ბრწყინვალემ თან წამოიყვანა ადგილობრივი მოხელეები – ერისთავნი, ხევისთავ-ხევისბერნი და ჰეროვანნი და დარბაზის კრებაზე მათი მონაწილეობით გამართა ბჭობა იქ არსებული ვითარების შესახებ. ბჭობის შემდეგ მეფემ შექმნა სამართლის წიგნი, რომელსაც უწოდა „ძეგლის დადება“. ეს ძეგლი შექმნილი უნდა იყოს 1335 წელს¹³. „ძეგლის დადების“ შედგენის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს გავლენის დამკვიდრება და განმტკიცება მთიულეთში¹⁴. ასეთი ღონისძიების საჭიროების მიზეზად მეფეს მიაჩნდა შინააშლილობა მთიანე-

¹² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 131.

¹³ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 15.

¹⁴ იქვე, გვ. 12.

თში, რის შესახებაც თვით „ძეგლის დადების“ შესავალში გარკვევით აღნიშნა: „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის ნაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყო-ღა“¹⁵.

მდგომარეობის ასეთმა გართულებამ აფიქრებინა სჯულმდებელ მეფეს საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება. „ძეგლის დადების“ შესავალში იმის თქმაც, რომ მთიანეთში არაერთი სახის დანაშაული ხდებოდა „სისხლის მსუბუქობისათვის“, იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ძეგლის დადებამდე“ არსებული შედარებით ლმობიერი სჯულმდებლობა („სისხლის მსუბუქობა“) ვერ უზრუნველყოფდა მშვიდობიან ცხოვრებას. როგორც ჩანს, მთის მოსახლეობაში ძირითადად სჯულმდებლობის ისეთივე ნორმები უნდა ყოფილიყო მოქმედებაში, როგორიც საქართველოს სხვა კუთხეებში. მთიელთათვის საგანგებოდ შედგენილი სამართლის წიგნი მანამდე არ არსებულა, რასაც თვით გიორგი ბრწყინვალე გვატყობინებს: „ღმრთივ გვრგვონსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უნესოთა მომძლავრებულთა საქმეთა“¹⁶. ამიტომ მეფემ საჭიროდ დაინახა „ძეგლის დადების“ შექმნა და არსებული მდგომარეობისათვის შესაფერისი სამართლებრივი ნორმების დანესება. სამართლის წიგნის შედგენისას მეფემ გაითვალისწინა ძეგლის მოქმედების ტერიტორიაზე მცხოვრებთა სოციალური განვითარების დონე და ყოფის თავისებურება. ამდენად, „ძეგლის დადების“ შესავალში მო-

¹⁵ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103-104 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

¹⁶ იქვე, გვ. 103 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

ცემული განმარტებიდან ნათლად ჩანს მისი შედგენის მიზეზიც და მიზანიც.

„ძეგლის დადება“ რომ მხოლოდ მთის ზოგიერთი კუთხის მოსახლეობისთვის იყო შედგენილი, ეს კარგად ჩანს სჯულმდებლის მიერ სამართლის წიგნის შესავალში მოცემული განმარტებიდან: „ჯუართა ყელს აქეთ, ჳადა – ცხაოტს, ზანდუკის ჳევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით“¹⁷. ამ სასაზღვრო პუნქტებით შემოიფარგლება ძეგლის მოქმედების ტერიტორია – მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი.

„ძეგლის დადება“ უმნიშვნელოვანესი წყაროა მთიანეთის შესწავლისათვის. ეს ძეგლი საინტერესო ცნობებს შეიცავს ზემოხსენებული კუთხეების საზღვრებისა და დასახლებული პუნქტების, ეკონომიური მდგომარეობის, სამართალწარმოების, საოჯახო ყოფის, საქორწინო ურთიერთობის, სამხედრო ვალდებულებისა და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ. მართალია, გიორგი ბრწყინვალის უშუალო მიზანს არ შეადგენდა მოსახლეობის წოდებრივი მდგომარეობის ჩვენება, მაგრამ სამართლის წიგნის ცალკეული მუხლები ამ საკითხებზედაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. როდესაც მეფე მთიანეთში განწესებულ მოხელეებს ასახელებს, ვეცნობით თითოეული მათგანის გვარ-ჩამომავალობასაც. ზოგიერთ შემთხვევაში კი ძეგლში პირდაპირაა ხსენებული ესა თუ ის სოციალური კატეგორია.

რამდენადაც „ძეგლის დადება“ საკანონმდებლო დოკუმენტია, მასში განსაზღვრულია სასჯელთა ნომრები ამა თუ იმ სახის დანაშაულისათვის, ეს ნორმები დადგენილია სოციალურ-იერარქიული ნიშნის მიხედვით; სამართალში ამ ნორმების ამსახველი მუხლები დალაგებულია დაღმავალი ხაზით – უმაღლესი ფენებიდან უმდაბლესისაკენ. ამის შესაბამისად ნა-

¹⁷ იქვე, გვ. 15, გვ. 104. („ძეგლის დადების“ ტექსტი).

ჩვენებია პირველ რიგში მთიანეთში მყოფი უმაღლესი მოხელის - ერისთავის მოკვლისათვის დაწესებული სასჯელები. ამის შემდეგ თანმიმდევრობითაა განსაზღვრული სასჯელები და მათი აღსრულების პირობები ერისთავზე უფრო დაბალი მდგომარეობის პირთა შესახებ. ამასთან ერთად ვგებულობთ თითოეული მათგანის სოციალურ კუთვნილებასაც, ვინაიდან სასჯელის დაწესების საფუძვლად მეფეს მიაჩნდა არა მარტო პიროვნების თანამდებობა, არამედ მისი გვარიშვილობაც.

„ძეგლის დადებაში“ დაცული თანმიმდევრობის მიხედვით პირველ რიგში შესაძლებელია ვიმსჯელოთ უმაღლესი მოხელის - ერისთავის სოციალური კუთვნილების შესახებ. ამის შესაძლებლობას გვიქმნის სამართლის პირველივე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების. და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრევე დამეტებული დიდი პატიჟი და გარდაჯდევინება დარბაზით ეკითხოს; გარდახვენა, მამულის წაღება და სისხლი მის გუარსა ზედა დაიურვოს და გარდაიხუენოს“.

დამონმებული მუხლიდან ვგებულობთ, რომ ერისთავს, როგორც მოხელეს, ამ კუთხეში სახელმწიფო სამართალი იცნობდა „ძეგლის დადების“ შედგენამდეც. წარსულში ასეთი მაღალი უფლებების მქონე მოხელის არსებობაზე მიგვითითებს მეფის განაცხადი, რომ „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების“-ო. მეფე მის ხელშეუხებლობას აკანონებს ახალ ღონისძიებათა მიღების მომენტშიც. იგი უსაზომო შეცოდებად თვლის ერისთავის მოკვლას და მკვლელის მიმართ მძიმე სასჯელს აწესებს. განაჩენის გამომტან ორგანოს წარმოადგენდა დარბაზი, (სამეფო საბჭო), რომელმაც შეიძლება მკვლელს მიუსაჯოს „გარდახუენა“ (სამშობლოდან გაძევება), „მამულის წაღება“ (მამულის ჩამორთმევა) და სისხლის დაურვება „მის გუარსა ზედა“

(მკვლევლობის საზღაურის გადახდა მოკლულის გვარის ღირსების მიხედვით).

თვით მეფისა და დარბაზის მიერ კუთხის უმაღლეს ხელისუფლად – ერისთავად დანიშნული მოხელის წოდებრივი კუთვნილების შესახებ „ძეგლის დადებაში“ პირდაპირი ჩვენება არ არის. სჯულმდებელს არც მისი სისხლის ფასი აღუნიშნავს. სამაგიეროდ მეფე მას პირველ კაცად ასახელებს და მის მოკვლას უმძიმეს დანაშაულად თვლის. ამიტომ, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ერისთავად დანიშნული პირი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. ამის შესაბამისად უნდა ეზლო მკვლელს მისი სისხლი, მაგრამ ერისთავის სისხლის ფასის შესახებაც „ძეგლის დადებაში“ პირდაპირი ცნობა არ გვხვდება. თუმცა ამისი დადგენა ხერხდება 30-ე მუხლის მიხედვით, სადაც განმარტებულია: „ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა¹⁸ – სამასი თეთრი არის.

აზნაურთა, ჯევისბერთა – ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა; ჰეროვანთა – ოცდაათი თეთრი”.

ვინაიდან აქ უმაღლესი რანგის მოხელედ და წარჩინებული გვარის წარმომადგენლად მიჩნეული იყო ერისთავი, სისხლის ყველაზე უფრო დიდი საურავი – 12000 თეთრი სწორედ ერისთავის სისხლის ფასი ჩანს.

¹⁸ უარზანგობის შესახებ განმარტება მოცემულია ი. დოლიძის ზემოხსენებულ გამოკვლევაში, რაც „ძეგლის დადებას“ მიეძღვნა. „**არზანგი** ანუ **არძანგი** სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ფასს, პატივს, ღირსებას (გვ. 72)... „ამ ტერმინიდან წარმოიშვა უარზანგობა, რომელიც მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართლის ნიგნში იხსენიება. **უარზანგობა** ქართულ სამართალში ნიშნავს განსაკუთრებულ გადასახადს – **უპატიობის საზღაურს**, ანუ **საუპატიოს**, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვისათვის... **უარზანგობა სისხლის 1/40 ნაწილს შეადგენს**“ (გვ. 76-77).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ბექა მან-დატურთუხუცესის სამართლის წიგნში, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დამდეგს (1295-1304 წ.წ.)¹⁹, 12000 თეთრად შეფასებულია დამცრობილი აზნაურის სისხლი, ე. ი. ისეთი აზნაურისა, რომელსაც „ანუ ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს“ (სამართალი ბექასი, მუხლი 3)²⁰. ეს მაშინ, როდესაც ბექას სამართლის მეორე მუხლის თანახმად, საპატიო, ტაძრეული, ციხოსან-მონასტროსანი და დიდი მამულის მქონეები აზნაურის სისხლი ფასობდა 20 000 თეთრად, ხოლო იმავე სამართლის პირველი მუხლის მიხედვით, დიდებულის სისხლი ღირდა 40 000 თეთრი.

„ძეგლის დადების“ მიხედვით, ერისთავის შემდეგ ყველაზე მეტი უფლების მქონე პირი ჩანს გამგებელი. ამ კუთხის მართვა-გამგეობის საქმეში ის ერისთავს ემორჩილებოდა. ეს რაც შეეხება მის სამსახურებრივ მდგმოარეობას, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ თუ გამგებელი რომელი სოციალური წრის წარმომადგენელი იყო. ამაზე გარკვეულ პასუხს ამოვიკითხავთ „ძეგლის დადების“ მე-2 და მე-4 მუხლებიდან, მე-2 მუხლში ნათქვამია:

„განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ჴევმან, მსახური იყოს გამგებლად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასად და თვთო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა თავადი, და რაზდონიცა კაცი იყოს თავადი, თვთო გაიპარსოს“.

¹⁹ ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექას და ალბულას ვინაობა, ტფ., 1912; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928, გვ. 107-109; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 39-40.

²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 427 (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ).

აქვე შეიძლება გავეცნოთ მე-4 მუხლს, სადაც წერია: „და თუ აზნაური იყოს გამგებლად და მოკლან, მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი“.

მე-2 და მე-4 მუხლებიდან ჩანს, რომ გამგებლად შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მსახური, ისე აზნაური: მსახური წარჩინებულთა ფენას არ ეკუთვნოდა. თავისი სოციალური მდგომარეობით ის უნდა წარმოვიდგინოთ რიგით მეთემედ, რომელიც თავისი უნარის წყალობით გამგებლად იქნა დანიშნული. ამიტომ, გამგებლად მყოფი მსახურის სისხლი შეფასებული იყო არა მისი გვარის ღირსების, არამედ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში სჯულმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ აღენიშნა, რომ „მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი“. სამაგიეროდ ასეთი ფორმულირებაა მოცემული მე-4 მუხლში, ვინაიდან საქმე ეხება გამგებლის თანამდებობაზე მყოფ აზნაურს. გამგებლის თანამდებობაზე მყოფი მსახურის ან აზნაურის სისხლი 6000 თეთრად იყო შეფასებული. ერთ შემთხვევაში მეფეს გათვალისწინებული ჰქონდა საპატიო თანამდებობა, რის გამო გამგებლად მყოფი მსახურის სისხლი 6000 თეთრი ღირდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, თანამდებობასთან ერთად, წოდებრივი მდგომარეობაც. მაშასადამე, გამგებლის თანამდებობაზე შეიძლება დაენიშნათ როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლი. პიროვნების გვარჩამომავლობა ამ შემთხვევაში უცილობელი პირობა არ ჩანს, მაგრამ გამგებლად ყოფნა იმდენად საპატიო მდგომარეობას უქმნიდა მსახურს, რომ სისხლით ის აზნაურს უთანაბრდებოდა.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ერისთავისა და გამგებლის შემდეგ მოდიოდა ხევისბერი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა არა იმდენად გვარიშვილობა, რამდენადაც სამსახურებრივი მდგომარეობა. „ძეგლის დადების“ სათანადო მუხლების (6,7,8,9,10) მიხედვით ჩანს, რომ ხევისბერი არ იყო მაღალი წოდების წარმომადგე-

ნელი. თუ ძეგლში აღნიშნულია, რომ გამგებლად შეიძლება დაენიშნათ მსახური ან აზნაური, ხევისბერის შესახებ ასეთი განმარტება მოცემული არ არის. ხევისბერად აზნაურის დანიშვნის თაობაზე „ძეგლის დადებაში“ არაფერია ნათქვამი, რაც იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევას არც ჰქონია ადგილი. ამ მოვალეობის შემსრულებელი პირები წოდებრივად აზნაურებზე დაბლა იდგნენ, მაგრამ ხევისბერობა იმდენად საპატიო მოვალეობად ითვლებოდა, რომ ამ თანამდებობაზე მყოფი პირის სისხლი, როგორც ეს კარგად ჩანს 30-ე მუხლიდან, აზნაურის სისხლს უტოლდებოდა. ხევისბერის სისხლი გათანაბრებული იყო აგრეთვე გამგებლის სისხლთან, რაც ჩანს მე-8 მუხლიდან: „თუ ქუეყანამან (ე. ი. თემმა, სოფელმა - ვ. ი.) მოკლას ჯევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატიჟი, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ“.

„ძეგლის დადების“ სათანადო მუხლებში ნაჩვენებია ხევისბერის ან მისი ახლობლების სისხლის ფასი სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით. მე-6 მუხლის თანახმად, თუ ხევისბერს მოკლავდა ხევისბერი, მკვლელს სამი წლით სამშობლოდან გააძევებდნენ, მთავარ სახლს ერისთავი და გამგებელი სამი წლით დაუგირავებდნენ („თავადი სახლი დაენინდნენ“) და მამულსაც სამი წლით სახაზინოდ („სასეფეოდ“) გადასცემდნენ. სამი წლის შემდეგ მკვლელი შეწყალებას სთხოვდა ერისთავსა და გამგებელს, ისინი ვეზირებთან უშუამდგომლებდნენ, შემდეგ ვეზირები დარბაზს სთხოვდნენ, რათა ხევისბერის მკვლელ ხევისბერს „მამული ჯელთ უბოძონ და სისხლთა ფასად ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს“.

ის გარემოება, რომ ხევისბერის სისხლის საურავი განსაზღვრული იყო ხელისუფლებაში მისი ადგილის მიხედვით, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-7 და მე-9 მუხლი. მე-7 მუხლის თანახმად, ვინც ხევისბერის ოჯახის წევრს (მამას, ბიძას, ძმას, ბიძაშვილს, ძმისწულს) მოკლავდა, მას ასევე 6000

თეთრის გადახდა ევალეზობდა. მასვე ორი წლით გაძევება და სისხლისა და მამულის დაგირავება უწევდა.

განსხვავებული სურათი ჩანს მე-9 მუხლში ხევისბერი-საგან გამოყოფილი ასეთივე ახლო ნათესავეების მიმართ. თუ ხევისბერთან ერთად, ერთ ოჯახში აღარ ცხოვრობდა მისი რომელიმე ახლობელთაგანი („თუ ძმაც იყოს ანუ სხუა რა გინა რა მეყვსი იყოს“...), მის მკვლელს უწევდა სისხლის ფასად 3000 თეთრის გადახდა, ორი წლით სამშობლოდან გაძევება და მამულის სახაზინოდ გადაცემა (დაგირავება).

მე-7 და მე-9 მუხლების შედარება გვიჩვენებს, რომ ხევისბერის ოჯახის წევრის სისხლი ორჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე ოჯახიდან გამოყოფილი პირისა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა ხევისბერთან მათ სისხლით ნათესაობას, რადგან ხევისბერის მამის, ძმის, ბიძაშვილის ან ძმისწულის სისხლი 6000 თეთრად იყო შეფასებული, თუ ისინი ხევისბერთან ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო რომელიმე მათგანი თუ ცალკე გამოიყოფოდა, მისი სისხლის ფასიც განახევრდებოდა.

ხევისბერის ოჯახის წევრებისა და მისი განაყოფების სისხლის საურავის უთანასწორობის საფუძვლად გიორგი ბრწყინვალე „ძეგლის დადების“ მე-10 მუხლში მიიჩნევს იმას, „რომე ჴევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია“. ამის მიხედვით, კანონმდებელი უპირატესობას ანიჭებს ამ საპატიო პირთან ერთად მცხოვრებთ, მისი ოჯახის წევრებს, ვიდრე განაყოფ, მისგან ცალკე მცხოვრებ ახლობლებს.

ზემოთ განხილული მუხლების მიხედვით გამოჩნდა, რომ ხევისბერობა საპატიო თანამდებობა იყო. ნოდებრივი მდგომარეობით ხევისბერი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი არ ჩანს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც დარბაზი რომელიმე რიგით მეთემეს ლაშქართ თავადობას (ლაშქრის მეთაურობას, თავკაცობას) უბოძებდა, მისი ოჯახი და ახლობლებიც თემში გარკვეულ პრივილეგიას აღწევდნენ. ამაზე მეტყველებს რო-

გორც ხევისბერის ოჯახის წევრების, ისე მისი განაყოფების სისხლის ფასი, რაც, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ბევრად აღემატებოდა მოსახლეობის ძირითადი მასის წარმომადგენელთა სისხლის ფასს.

ხევისბერის გვარის ავტორიტეტი რაკი გაზრდილი იყო, მეფეს მიაჩნდა, რომ გადაყენებული ხევისბერის შემდეგ ხევისბერობა ებოძებინათ იმავე გვარის წევრისათვის. ეს ჩანს „ძეგლის დადების“ მე-5 მუხლიდან. აქ აღნიშნულის თანახმად, ხევისბერს რომ გამგებელი მოეკლა, მკვლელს სხვა სახის სასჯელთან ერთად ხევისბერობასაც ჩამოართმევდნენ. იქვე განმარტებულია, რომ გადაყენებული ხევისბერის ნაცვლად ხევისბერობა ებოძოს იმავე გვარის კაცს, თუკი ის გამგებლის მკვლელობაში არ იყო მონაწილე. „და თუ არავინ იყოს მისი სახლის კაცი, ვინც ერისთავმან და ახალმან გამგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, – მეფის ერთგული იყოს და ქუეყანასაც უჯობდეს, – იგი დააყენონ დარბაზით ჴევისბერად“ (მუხლი მე-5).

ვინაიდან სჯულმდებელს მიაჩნდა, რომ ახალი ხევისბერის შერჩევა პირველ რიგში გადაყენებული ხევისბერის გვარიდანვე მომხდარიყო, ხევისბერობა გარკვეულ სოციალურ პრივილეგიას წარმოადგენდა. იმ შემთხვევაში კი, თუ გამგებლის მკვლელი ხევისბერის გვარიდან ხევისბერობის ღირსად ცნობილი არ აღმოჩნდებოდა, სოციალურ პრივილეგიებს შეიძენდა ახალი ხევისბერის ოჯახი და გვარჩამომავლობა.

ხევისბერის შემდეგ განსაზღვრულია ჴეროვანის სისხლის საურავი. მე-11 მუხლის ძალით, ჴეროვანი რომ ჴეროვანს მოეკლა, მკვლელს მოკლულის ოჯახისათვის 1200 თეთრს ახდევინებდნენ, სამი წლით აძევებდნენ და მამულს სასეფოდ (სახაზინოდ) გადასცემდნენ. სასჯელის მოხდის შემდეგ ჴეროვანს ერისთავი და გამგებელი მამულს უკან უბრუნებდნენ ან დარბაზის განაჩენით (თუ კი ამ ჴეროვანს დარბაზი ღირსად სცნობდა, რომ მისი საკითხი განეხილა), ან უშუ-

ალოდ თავიანთი გადაწყვეტილებით. მე-12 მუხლის მიხედვით, „თუ ჴევისბერმან მოკლას ჴეროვანი მამულის ნდომისათჳს, ერთს ნელინადს მამულისაგან განიძოს“, მაგრამ თუ ხევისბერს ჴეროვანი ფათერაკით (შემთხვევით) შემოაკვდებოდა, მკვლელი ისჯებოდა მე-11 მუხლის მიხედვით.

სამართლის ნიგნის შესავალშიც ჴეროვანნი ხევისბერებთან ერთად იხსენიებიან, როგორც საპატიო პირები. მეფე წერს: „ნარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა უინვანსა და მუნით მივედით ჴადაცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჴევისბერნი და ჴეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა“²¹.

აქედან ჩანს, რომ ჴადა-ცხაოტში (მთიულეთში) და მის მეზობელ თემებში, მათ შორის ხანდოში, თავკაცობდნენ ხევისბერები და ჴეროვანნი, რომლებსაც მეფე ეთათბირებოდა შექმნილი მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ამის შემდეგაც, როდესაც მეფე სამართლის ნიგნის შედგენას შეუდგა, მან სხვა მოხელეებთან ერთად მთის თემებიდან ჴეროვანნიც მოიწვია, რასაც გვამცნობს შესავალის შემდეგი ადგილი: „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჴევისთავნი“²² და ჴევისბერნი და ჴეროვანნი“²³.

ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ჴეროვანნი მეთემეთა რჩეულ წრეს ეკუთვნოდნენ და საპატიო პირებად ითვ-

²¹ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

²² ჴევისთავი „ძეგლის დადების“ არც ერთ მუხლში არ იხსენიება. სამართლის ნიგნის შესავალში კი მეფე დარბაზში სათათბიროდ მოწვეულთა შორის გამგებელს არ ასახელებს. ხომ არ არის საფიქრებელი, რომ ჴევისთავი იგივე გამგებელი იყო. თუ ეს დასაშვებია, მაშინ გამოვა, რომ ერთი და იგივე მოხელეს სჯულმდებელი ორი სხვადასხვა სახელით იხსენიებს.

²³ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

ლებოდნენ. ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ ისინი რიგითი მასი-დან რალაცა პრივილეგიებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობის გარკვევამდე უმჯობესად მიგვაჩნია გავეცნოთ სხვათა სისხლის საურავსაც. პირველ რიგში შეიძლება ჩავიხედოთ მე-13 მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ციხისთავის სისხლის საურავი. აქ ნათქვამის მიხედვით ძეგლის მოქმედების ტერიტორიაზე სულ ორი ციხისთავი ყოფილა და ორივე მათგანი ჯადას მჯდარა. ეს ალბათ იმით აისხნება, რომ ჯადის თემში ბევრი ციხეები და კოშკები იდგა და საიმედოდ იყო გამაგრებული. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის ცნობით „არაგუს გაღმა, არს დაბა ჯადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და ა კოშკოვანი“²⁴. დაბა ხადა და ციკარა, სადაც ვახუშტის ა (60) კოშკი აღურიცხავს, ხადის თემს ეკუთვნოდა²⁵.

„ძეგლის დადების“ მე-13 მუხლის მიხედვით, აქ მეფის ბრძანებით დანიშნული ციხისთავის სისხლი შეფასებულია 3500 თეთრად. ამასთან ერთად, მკვლელს სამი წლით აძევებ-

²⁴ ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 355.

²⁵ საყურადღებოა, რომ ციხისთავის სისხლის საურავზე მსჯელობისას მეფე საგანგებოდ გამოყოფს ციხე-კოშკებით გამაგრებულ ხადის თემს, როგორც ციხისთავთა ადგილსამყოფელს. როგორც ჩანს, სხვა თემებში, სადაც მეფე მდგომარეობას აწესრიგებდა, ციხისთავები არ მჯდარან. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ „ძეგლის დადება“ გათვალისწინებული იყო იმ კუთხეებისათვის, სადაც უწესრიგობას ჰქონდა ადგილი. მთიულეთ-გუდამაყრისა და ხანდო-ჭართლის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც რომ არეულობა ყოფილიყო, მეფე არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ ხადელი ციხისთავების სისხლის ფასის დადგენით. იგი შეეხებოდა სხვა კუთხეებსაც, პირველ რიგში კი დასახელებდა დარიალის სიმაგრეს და განსაზღვრავდა მისი ციხისთავის სისხლის საურავს, ვინაიდან დარიალს ბევრად უფრო დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფოს ჩრდილოეთ ზოლში, ვიდრე ხადას ან ნებისმიერ სხვა გამაგრებულ ადგილს.

დნენ და მამულსაც მხოლოდ ამ სასჯელების მოხდის შემდეგ დაუბრუნებდნენ.

ესოდენ მაღალი სისხლის საურავი განსაზღვრული იყო ციხისთავის სამსახურებრივი მდგომარეობით. მასზე გაცილებით ნაკლები ღირდა ყოფილი ციხისთავის, ამ ციხისთავად მყოფი პირის ძმისა და შვილის სისხლი, რის შესახებაც მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „თუ უციხისთაო ჯადელი კაცი მოკლას ვინმე, თუ ციხისთავადაც დგომილიყოს, დაეგდოს და აღარ იყოს ციხისთავად, ჰეროვანის სისხლი დაეურვოს და მამული-საგან განეძოს ეზომსა ხანსა, ვითა ზემოთ ჰეროვანისათჳს გაგჳჩენია, იმავე წესით შემოუშვას (მუხ. 11).

და თუ ციხისთავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოკლას, ჰეროვანის სისხლით დაიურვოს“.

ციხისთავის სისხლის შეფასებაში თითქმის ისეთივე საფუძველია გამონახული, როგორც ხევისბერის სისხლის დაურევებაში. ორივე შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა მინიჭებული აქვს თანამდებობას, მაგრამ შეინიშნება პრინციპული ხასიათის განსხვავებაც. თუ ხევისბერის სისხლთან გათანაბრებულია მისი ოჯახის წევრთა სისხლი, ციხისთავისა და თვით მისი შვილის სისხლის ფასი სხვადასხვაა. პირადად ციხისთავის სისხლი მანამდეა დიდი ღირებულებისა, ვიდრე ის ციხისთავად ზის. იმ დროს, როცა მისი სისხლის ფასია 3500 თეთრი, მასთან მცხოვრები მისი შვილის სისხლის ფასია 1200 თეთრი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ჰეროვანისა. ეს გამონეუულია იმ გარემოებით, რომ ხევისბერობა უფრო საპატიო თანამდებობა იყო, ვიდრე ციხისთაობა. ხევისბერობა უკვე პრივილეგიის ისეთ სახეობას წარმოადგენდა, რომ თვით ხევისბერისა და მისი ოჯახის წევრის სისხლის ფასი აზნაურის სისხლის ფასთან იყო გათანაბრებული.

ზემოთ განხილულ ყველა მუხლში სჯულმდებელი ეხება სხვადასხვა რანგის მოხელეთა სისხლის საურავსა და სოციალურ მდგომარეობას. სისხლის ფასის მიხედვით იგი გამო-

ყოფს აგრეთვე მთიულეთის მცხოვრებთა ერთ ნაწილს – ლომისის გლეხებს, რომლებიც ლომისის ეკლესიის (მდებარეობს ქსან-არაგვის ხეობათა გამყოფ მთაზე) სახელზე შეუწირავთ მეფეებს ან სხვა პირებს. ამის შესახებ 41-ე მუხლში ნათქვამია: „ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს“.

სისხლის საურავის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ლომისის გლეხები რიგით მეთემეებს შორის გამორჩეულნი არიან. უფრო მეტიც, ლომისის გლეხის სისხლი 300 თეთრით ჭარბობს ჰეროვანის სისხლს. ეს გარემოება ახსნას მოითხოვს, ვინაიდან ჰეროვანნი იმდენად საპატიო პირებად ითვლებოდნენ, რომ მეფემ ისინი დარბაზის კარზე სათათბიროდაც კი მიიწვია. ესოდენ საპატიო მოვალეობის შესრულებაში არსად არ იხსენიება ლომისის გლეხი, თუმცაღა მისი სისხლის საზღაურნი უფრო მეტია, ვიდრე ჰეროვანისა.

აღნიშნული ვითარება იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ ლომისის გლეხებს სამეფო ხელისუფლება და ეკლესია სხვა სახის საპატიო მოვალეობას აკისრებდა. მართალია, ისინი ადგილობრივი ხელისუფლების რიგებში არ ჩანან, მაგრამ სამეფო ხელისუფლება არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისადმი სამსახურსაც. სამეფო ხელისუფლება იცავდა ეკლესია-მონასტრების პრივილეგიებს, რაც საფუძვლად დაედო ლომისის გლეხთათვის მაღალი სასისხლო საურავის დაწესებას. როგორც ჩანს, ლომისის ეკლესიის გლეხები დაახლოებით ისეთივე მოვალეობის შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ, როგორც გერგეტელი (ხევის) საყდრისშვილები. ამგვარი შედარების საფუძველს ვხედავთ იმაში, რომ საყდრისშვილთა მოვალეობას შეადგენდა ეკლესიისადმი სამსახური, რითაც ისინი რიგით მეთემეებზე მაღლა იდგნენ. აღნიშნული ვითარება კარგად ჩანს მთიულეთ-გუდამაყრის მეზობელი კუთხის – ხევის ისტორიიდან. ხევში საყდრისშვილებად ითვლებოდნენ სოფ. გერგეტის მცხოვრებნი, რომლებსაც დაკისრებული

ჰქონდათ სამების ეკლესიისადმი²⁶ სამსახური²⁷. ამის გამო გერგეტელი კაცის სისხლი სამჯერ მეტად ფასობდა რიგითი მეთემის სისხლთან შედარებით. ეს პრივილეგია გერგეტელებს მინიჭებული ჰქონიათ სასისხლო სიგელით, რამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. სამაგიეროდ ბაგრატ V-ემ (1360-1393) გერგეტელებს სიგელი განუახლა. ეს საბუთი დაზიანებულია, მაგრამ ვინაიდან გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საყდრის-შვილთა სასისხლო საურავის შესახებ, მას აქ სრულად მოვიტანთ:

„ქ:ჩუენ: ღვთივ: გუირგუინოსანმან:
მეფეთა: მეფემან: ბაგრატ: ესე: მტკიცე:
უქცვეელი: ბბა: სიგელი: ამისად: ნიშნად:
გიბოძეთ: თქუენ: გერგეტელთა: საყდარი: შვილთა:
წმიდისა: სამებისა: მოსამსახურეთა:
საყდარი: შვილობა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: და:
რომე: თუ: ვისმე: თქუენი: განი: კაცი: შე
/მოა/კუდეს: სამსისხლად: აზლუევინეთ: ამისთ:
უის: რომე: ძუელი: სიგელიცა: გქონ
და: და: ჩუენტა: გუართაცა: დაემტკიცენს
ვნახენით: სიგელი: და: გავსინჯეთ:
და: დიდი: სისხლი: ენერა თქუენი:
ჩუენცა: ახლად: დაგიმტკიცეთ: ასრე:
და ამა: პირსა ზედან: რომე ვინცა: თქ
უენის: ადგილსა: გერგეტელი: კაცი
მოკლას: რა გუ...²⁸

²⁶ გერგეტის სამება – ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია ხევში აშენებულია XIV ს-ის 30-იან წწ. (თ. სანიკიძე, გერგეტი, თბ., 1975).

²⁷ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 245-257; 271-273; 285-288.

²⁸ ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 228.

სიგელი გვიჩვენებს, რომ გერგეტელთა სისხლის ფასი განსაზღვრული იყო საყდრისშვილობით, ეკლესიისადმი სამსახურით. ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება „ძეგლის დადების“ 41-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის თანახმად ლომისის გლეხის მაღალი სასისხლო საურავის დადგენის საფუძველი იყო ლომისის ეკლესიისადმი კუთვნილება. მაშასადამე, ლომისის გლეხი სოციალური მდგომარეობით იყო გლეხი, მაგრამ რაკი ის ეკლესიას ემსახურებოდა და სამეფო ხელისუფლებას ეს სჭირდებოდა, თემში ლომისის გლეხის პრივილეგიაც გაიზარდა.

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ არც ჰეროვანი იყო სოციალურად აღზევებული გვარის წევრი. თავისი სოციალური წარმოშობითა და მდგომარეობით ჰეროვანი ჩანს რიგითი მეთემე, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ ადათ-წესებს და თავისი სიღარბაისლით გამოირჩეოდა. მეფე ამიტომ თათბირობდა მათთან და მათ სისხლის ფასიც ამიტომ დაუდგინა. ი. დოლიძე ამის შესახებ სამართლიანად წერს: „ჰეროვანნი ერის, ხალხის წარმომადგენლები, ხევის სოფლებისა და თემების თავკაცები, ხალხისაგან (სოფლიონთაგან) გამორჩეული პირები იყვნენ, რომლებიც თუმცა უბრალო, მდაბიო ხალხისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ პრივილეგიურ, წარჩინებულ ჯგუფს არ შეადგენდნენ“²⁹. ჩვენი მხრიდან ამას დავუმატებთ შემდეგს. მართლაც, ყოვლად შეუძლებელია ჰეროვანი სოციალურად გამორჩეული ყოფილიყო იქ, სადაც ეკლესიის სახელზე შეწირული გლეხის სისხლი მისას 300 თეთრით სჭარბობდა.

მთის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები, რომელთაც სჯულმდებელმა უწოდა **სოფლიონი**. მათი სისხლის ფასზე „ძეგლის დადებაში“ ცნობა არ არის

²⁹ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 85.

დაცული. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლიონის სისხლის ფასი ნაკლები იყო ლომისის გლეხის სისხლზე. შესაძლებელია სისხლის ფასით შეუმჩნეველი განსხვავება არსებობდა სოფლიონსა და ჰეროვანს შორის. ამას გვაფიქრებინებს მე-19 მუხლი, რომელიც აწესებს სასჯელს ლაშქრობაში დაკლებულთა მიმართ. ამ მუხლის ძალით, ასეთ პირს „ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ, და თვით ჯარი წაეგუაროს სასეფეოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთავისა და განმგებლისაგან საურავითა“. იქვე შენიშნულია: „ესე ჰეროვნისა და სოფლიონისა იყოს: ასეთი ფორმულირება ჰეროვანისა და სოფლიონის სოციალური გათანაბრების მანიშნებელი ჩანს.

გიორგი ბრწყინვალის სამართალზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ თვით სოფლიონიც ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ან პიროვნების დამსახურების წყალობით, ან გვარის ავტორიტეტის მიხედვით. მაგალითად, მე-2 მუხლში ხსენებული „სოფლისა და სოფლის თავადნი“ სოფლის თავკაცს უნდა ნიშნავდეს. სოფლის თავკაცობის მიღწევის საფუძველი უნდა ყოფილიყო თავის გამოჩენა თემში, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ამდენად, შესაძლებელია, რომ ის სისხლის ფასით უფრო მეტი ყოფილიყო იმ მეთემეზე, რომელიც თავკაცობით არ გამოირჩეოდა. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს ბექას სამართლის მე-11 მუხლი, სადაც წერია: „გლეხის სისხლი ოთხასი თეთრი იყოს. მაგრამ თუ კაცმან კაცს ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონნი იცნობდნენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს“.

ვინაიდან ყმა გლეხის სისხლის ფასი მერყეობდა მისი დამსახურების შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მთიულეთ-გუდამაყარში და ხანდო-ჭართალში რიგით მეთემეებს შორისაც ამ მხრივ გარკვეულ უთანაბრობას ჰქონოდა ადგილი პიროვნების ღირსების მიხედვით.

გიორგი ბრწყინვალეს ყურადღება მიუქცევია გვარის ავტორიტეტისთვისაც. მაგალითად, 26-ე მუხლში ნათქვამია: „ციხის დაქვევისათვის დაიურვონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა“. საყურადღებოა აგრეთვე მე-17 მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია ძმის მკვლელის სასჯელი და იქვე განმარტებულია: „რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაიურვოს“.

დამონმებულ მუხლებში მოცემული განმარტებები გვარის მიხედვით სისხლის საურავის შესახებ მარტოოდენ სოციალურად გამიჯნული გვარების ურთიერთობას არ ეხება. გვარის ღირსების მიხედვით სისხლის საურავის განსაზღვრისას სჯულმდებელს მხედველობაში უნდა ჰქონოდა ღირსებით მეტ-ნაკლებობა თვით ერთი და იგივე სოციალური კატეგორიის გვარებს შორის. რიგით მეთემეებს შორისაც ყველა გვარი თანაბარი ავტორიტეტით როდი სარგებლობდა. ჰეროვანის მაგალითზე გამოჩნდა, რომ ამ მდგომარეობაში იგულისხმებოდნენ სიღარბაისლით ცნობილი რიგითი მეთემეები. თემის წევრებს შორის განსხვავება შეინიშნებოდა გვარების დამსახურებით თემის წინაშე. თვით მთიანეთში ასეთი ვითარება გამოიკვამ ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგადაც. რ. ხარაძეს აღნიშნული აქვს, რომ მთიულეთში ზოგიერთი რიგითი მეთემე ცდილობდა თემში სხვაზე მეტი უფლებების მოპოვებას³⁰. ამდენად, სჯულმდებლის განმარტება, რომ „რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს“, ეხება სოფლიონსაც, ვინაიდან ამ კატეგორიის მოსახლეობაშიც მეტ-ნაკლებობას ჰქონდა ადგილი.

„ძეგლის დადების“ ცალკეული მუხლების განხილვის შედეგად გამოჩნდა, რომ XIV ს-ში მთიულეთ-გუდამაყრისა და ხანდო-ჭართლის მოსახლეობა სოციალურად ერთფეროვანი

³⁰ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 58-59.

არ იყო. სამართლის წიგნში ხსენებულთა შორის იყვნენ როგორც სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები, ისე სოფლიონთა (რიგით მეთემეთა) წრიდან პირადი დამსახურებით დანიშნაურებული პირები. მათ შორის მხოლოდ ერისთავი ჩანს წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ვინაიდან მისი სისხლი 12000 თეთრად ფასობდა. მის შემდეგ მოდიოდა გამგებლად მყოფი აზნაური ან მსახური 6000 თეთრად შეფასებული სასისხლო საურავით, მაგრამ სჯულმდებელმარაკი დაუშვა, რომ გამგებლად ყოფილიყო მსახურიც, ეს გვაფიქრებინებს, ამ კუთხეში აზნაურთა სიმცირეს ან უყოლობას. რაც შეეხება დანარჩენ მოხელეებს (ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი), ისინი სოციალურად აღზევებულ გვარებს არ ეკუთვნოდნენ, სოფლიონთა (რიგით მეთემეთა) წრიდან წინაურდებოდნენ და სისხლის საურავის გადიდებას პირადი დამსახურებით აღწევდნენ. სავარაუდოა, რომ ასეთ ვითარებაში ერისთავიც მეფის მიერ მოყვანილი დიდგვაროვანი ყოფილიყო და არა ადგილობრივი მკვიდრი.

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის დადგენისათვის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს სხვა კუთხებთან შედარებით საკვლევ რეგიონში აღზევებული გვარის სასისხლო საურავი მცირეა. ამაში გვარწმუნებს თვით „ძეგლის დადებისა“ და ბექას სამართლის შედარება. სისხლის საურავის მიხედვით „ძეგლის დადებაში“ უმაღლესი რანგისა და წოდების წარმომადგენლად დასახელებული ერისთავი გათანაბრებულია ბექას სამართალში ხსენებულ დამცრობილ აზნაურთან, მაშინ, როდესაც ბექას სამართლის მიხედვით დიდებულის სისხლი 40 000 თეთრად ფასობდა. სისხლის საურავის ასეთი სხვაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ორ წარჩინებულ პირს შორის, რასაც გვიჩვენებს თითქმის ერთი ეპოქის ორი სხვადასხვა სამართლის წიგნი, იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ საქართველოს ყველა კუთხეში თანაბარ დონეზე არ განვითარებულა სოციალური დიფერენციაცია. ამ

მხრივ აშკარა სხვაობას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, რაც აღიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში³¹. მეცნიერებაში დამკვიდრებული ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნყაროა გიორგი V-ის სამართალი, რომლის განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XIV ს-ში მთის მოსახლეობის შიგნით სოციალური დიფერენციაცია ისე გაღრმავებული არ ყოფილა, როგორც ეს იყო საქართველოს სხვა რაიონებში.

„ძეგლის დადების“ შემდეგ ხანდოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ ზოგიერთ ცნობას შეიცავს არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერა. ეს აღწერა ჩატარდა ერეკლე მეორის ბრძანებით არაგვის საერსთავოს გაუქმებისა და მის ნაცვლად საუფლისწულოს შექმნის შემდეგ, მაგრამ მაინც გარკვეულად გვაცნობს საერსთავოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა სოციალურ შემადგენლობას. აღწერიდან გამოჩნდა, რომ XVIII საუკუნეში არაგვის ხეობისა და მისი თემების (ხევი, ხადა, გარშემო, მრევლი, ცხაოტი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) მებატონენი იყვნენ არაგვის ერისთავი, ყარანგოზის შვილი ადამი და ჩრდილელი ოთარისშვილი. აღწერაში დასახელებულნი არიან არაგვის მოურავებიც: ზანდუკელი გოგია ოტიასშვილი, კობიაშვილი საამ, კობიაშვილი გრიგოლ, ნადიბაიძე შიო, ღუდუშაური მარტია, ღუდუშაური თომა ფირანისშვილი, შაბურიშვილი იოთამ ბოქაულ-უხუცესი, შაბურიშვილი ფირან, ჭილასშვილი ბაბანა, ჩოფიკაშვილი ყაზიბეგი, ჩქარეული აღდგომლიშვილი იასე.

³¹ გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური ნყობილების დახასიათებისათვის, „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1979, №1.

ხანდოს სოფლების (უკანამხარი, ჯუხარანთ კარი, ვეშაგურთ კარი, წინ ციხე, სოდავე, ჯირაურთ კარი) მოურავად დასახელებულია არაგვის ერისთავის ყმა შაბურის შვილი ფირანი, რაც იმას ნიშნავს, რომ არაგვის საერისთავოში ხანდო ერთ-ერთ სამოურავოს წარმოადგენდა.

საყურადღებოა, რომ შაბურიშვილები წვრილ მფლობელ აზნაურთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ და არაგვის ყმებად ითვლებოდნენ³². მართალია ისინი ხანდოს მოურავები იყვნენ, მაგრამ ხანდოელებად არ ითვლებოდნენ. ისინი ქართლის ბარში ცხოვრობდნენ და, ამდენად, ხანდოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის გარკვევისას მხედველობაში არ მიიღებიან. როგორც 1774 წლის აღწერა გვიჩვენებს, ხანდოს სოფლებში ასეთი კატეგორიის ოჯახს არ უცხოვრია. ყოველი სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ჩამოთვლისას ბოლოში დაჯამებულია სოფლად რამდენი იყო მემკვიდრე (მკვიდრი მცხოვრები) და რამდენი მემკვიდრის ობოლი. ამასთან ერთად აღნიშნულია ზოგიერთი მამაკაცის მდგომარეობა მისი საქმიანობის მიხედვით. ამის შესაბამისად მთელ ხანდოში ყოფილა 1 ნაცვალი (სოფ. უკანამხარში), 1 მღვდელი (ს. უკანამხარში), 7 მზარეული (3 უკანამხარში, 1 წინამხარში, 3 სოდევეში), 6 ხაბაზი (1 ჯუხარანთ კარში, 2 ვეშაგურთ კარში, 3 ჯირაურთ კარში), 4 მეჯინიბე (1 წინციხეში, 1 სოდევეში, 2 ჯირაურთ კარში). მთელ ხანდოში დასახელებულია ერთადერთი ბოგანო სოფ. წინციხიდან³³.

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ ზოგიერთ ცნობას ვხვდებით ლევან და ვახტანგ ბატონიშვი-

³² დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიდან, თბ., 1955, გვ. 241.

³³ მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 473-479.

ლების მიერ 1776-1782 წწ. არაგვის საუფლისწულოსათვის შედგენილ ძეგლში („განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“), რომელიც ეხება ხანდოს ხევსაც. რიგით მოსახლეობასთან ერთად ამ ძეგლში იხსენიებიან სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებიც. სხვა კუთხეებთან ერთად ხანდოს ბატონ-პატრონია თვით უფლისწული. ამ თემში რომელიმე პრივილეგიური გვარის არსებობაზე ძეგლი არაფერს გვეუბნება, მაგრამ საფიქრებელია, რომ უფლისწულის მოხელეთაგან აქაც უნდა ყოფილიყვნენ მიმაგრებულნი „განჩინებაში“ ხსენებული **მოწელე** თუ **იასაული**. ამას გვაფიქრებინებს ლევან ბატონიშვილის „განჩინების“ მეხუთე და მეექვსე მუხლები, სადაც აღნიშნულია, რომ უფლისწულს ყოველ სოფელში განწესებული ჰყავდა მოწელე, როგორც მისი დავალების აღმსრულებელი და პასუხისმგებელი პირი მომხდარი დანაშაულის გამო³⁴.

ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შედგენილ „განჩინებაშიც“ მოწელე ასეთივე მოვალეობის შემსრულებელ პირად ფიგურირებს (მუხლი 9)³⁵. იქვე (მუხლი 14) განსაზღვრულია იასაულის ფუნქციაც; მას ევალებოდა სასამართლოში დაბარებული კაცის მოყვანა³⁶.

„განჩინების“ მიხედვით მოსახლეობის სოციალური კატეგორიებიდან შეიძლება გამოვყოთ **მსახური**, **საყდრის ყმა**, **ბატონიშვილის ყმა** და **სახასო კაცი**. როგორც ზემოთ დავინახეთ, მსახური აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით სამეფო ხელისუფლების სამსახურში მყოფი კაცი იყო. „განჩინების“ მე-11 მუხლის თანახმად კი მსახური წარმოადგენდა ბატონიშვი-

³⁴ ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის („განჩინების“ ტექსტი), თბ., 1964, გვ. 106-107.

³⁵ იქვე, გვ. 107.

³⁶ იქვე, გვ. 108.

ლის მინაზე მიმაგრებულსა და მის სამსახურში ჩაბმულ კაცს, რომელსაც ამის „სანუქფოთ“ მამული ჰქონდა მიცემული³⁷.

საყდრის ყმა და ბატონიშვილის ყმა იხსენიება „განჩინების“ მე-10 მუხლში („ნურცვინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს“), რაც იმას ნიშნავს, რომ საკვლევ რეგიონში სახელმწიფო (საუფლისწულო) გლეხებთან ერთად ცხოვრობდნენ საეკლესიო გლეხებიც³⁸. „განჩინებაში“ ხსენებული სახასო კაციც ხომ სახელმწიფო გლეხად უნდა წარმოვიდგინოთ. სახასო კაცს უფლისწული პატრონობდა, რაც ჩანს შემდეგიდან: იგი აფრთხილებდა აზნაურიშვილთ, რომ სახასო კაცის მამულის ყიდვაზე მას მოლაპარაკებოდნენ და დასტური მისგან მიეღოთ (მუხლი 13)³⁹.

დამონშემებული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სუსტად დიფერენცირებული მოსახლეობა იყო, ხოლო საკუთრივ ხანდოში ძირითადად მეთემეები ცხოვრობდნენ, რომელთა წრიდან გამოდიოდა თითო-ოროლა მღვდელი ან ნაცვალი. ამ მხრივ ვითარება არ შეცვლილა არც XIX საუკუნეში. 1803, 1831/1832 და 1886 წლების კამერალური აღწერების მასალებში ხანდოს მოსახლეობაში არ შეინიშნება თავადის ან აზნაურის არსებობა⁴⁰.

ნ. ჭილაშვილის დაკვირვებით, მთიულეთში, გუდამაყარში, ჭართალსა და ხანდოში ცხოვრობდნენ სახელმწიფო გლეხები. 1827 წლისათვის, როდესაც ნ. ჭილაშვილმა თავისი მიმოხილვა შეადგინა, თარხანი გლეხები აღარ არსებობდნენ, ვინაიდან თარხნობა გაუუქმებია გრაფ გუდოვიჩს 1807 წლის 9 ივლისის რესკრიპტით. ნ. ჭილაშვილის ცნობით, საბატონო და

³⁷ იქვე, გვ. 108.

³⁸ იქვე, გვ. 108.

³⁹ იქვე, გვ. 108.

⁴⁰ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

საეკლესიო გლეხები მთიულეთში 11 კომლს შეადგენდა⁴¹, მაგრამ ის არაფერს ამბობს დანარჩენი კუთხეების (გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) შესახებ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ კატეგორიის გლეხები იმ დროს აქ აღარ უნდა ყოფილიყვნენ. ხანდოში და მის მეზობელ კუთხეებში ნ. ნიკიფოროვიც სახელმწიფო გლეხთა გადასახადებს ეხება, რაც ამ კატეგორიის მოსახლეობის არსებობაზე მიგვითითებს⁴².

ადგილზე გამოკითხვის შედეგადაც გაირკვა, რომ ხანდოში სოციალურად დანიშნურებულ ოჯახებს არ უცხოვრიათ. მთხრობლები აღნიშნავენ ვიღაც ბატონების დროდროდ მოსვლას, იხსენიებდნენ გადასახადების ამკრეფი მოხელეების ხანგამოშვებით ყოფნას, მაგრამ საკუთრივ ხანდოს მკვიდრთაგან არ დაუსახელებიათ არც თავადნი და არც აზნაურნი. ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხანდოს მოსახლეობა შედგებოდა რიგითი მეთემეებისაგან, საიდანაც გიორგი ბრწყინვალის ხანაში თუ უფრო მოგვიანო პერიოდში შეიძლებოდა გამოსულიყო ჰეროვანი, ხევისბერი, ნაცვალი, იასაული თუ სხვა რომელიმე მოხელე, მაგრამ არ დასტურდება არც ერთი კონკრეტული ფაქტი იმის სასარგებლოდ, რომ ხანდოელ კაცს მიეღოს მაღალი სოციალური წოდება.

განხილული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანდოს მოსახლეობა ექვემდებარებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას ან სათავადო გამგებლობას, ემორჩილებოდა ფეოდალური ურთიერთობის რეჟიმს, ასრულებდა

⁴¹ Записка Н. С. Чилиева о горских народах по Военно-Грузинской дороге, 1827 года, "Акты собранные Кавказской археографической комиссией", т. VII, Тифлис, 1879, с. 352.

⁴² Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии. "Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края", т. V, Тифлис, 1887, с. 65-67.

დანესებულ მოვალეობას, მაგრამ თვით ამ მოსახლეობის ში-
გნით არ მომხდარა სოციალური დიფერენციაცია ისეთ დონე-
ზე, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ქართლის ბარში. ხან-
დო ამ მხრივ დაახლოებით ისეთს მდგომარეობას ინარჩუნებ-
და, როგორც ეს დამახასიათებელი იყო არაგვის ხეობის სხვა
მთიანი კუთხეების სოციალური განვითარებისათვის.



სამეურნეო პირობები

ხანდოს ხევი ხასიათდება დაახლოებით ისეთივე სამეურნეო-ეკონომიური პირობებით, „ვითარცა სხუა მთის ალაგნი“¹, კერძოდ მთიულეთი, გუდამაყარი და ქართალი. ხანდოსა და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიული ერთეულების მეურნეობა ვითარდებოდა თითქმის ერთგვაროვან ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში, რამაც ხელი შეუწყო აღნიშნულ კუთხეებში მთური მეურნეობის სპეციფიკური ტიპის ჩამოყალიბებას. ამ მეურნეობისათვის „დამახასიათებელი იყო სიმწირე და მცირემოსავლიანობა და ბარული მეურნეობის ისეთი დარგების უქონლობა, როგორცაა მევენახეობა-მელვინეობა“². ზოგადად უნდა ითქვას, რომ ხანდოს ხევში, ისევე როგორც მის მომიჯნავე კუთხეებში (მთიულეთი, ქართალი, გუდამაყარი) ძირითად სამეურნეო დარგებს წარმოადგენდა მინათმოქმედება და მესაქონლეობა, რომელთა „თანაშეფარდება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა იყო“³. ხანდოს მეურნეობის ამ ორი დარგის თანაშეფარდების საკითხის განხილვამდე, საჭიროდ მიგვაჩნია იმის გარკვევა, თუ როგორი იყო სახანდოს სოფლებთან მიმართებაში ამ სოფლების კუთვნილი სამეურნეო ნაკვეთების (სახნავ-სათესების, სათიბების, საძოვრების) განლაგების, აგრეთვე მათი დამუშავება-გამოყენების პრინციპი.

ადგილზე უშუალო დაკვირვებისა და მთხრობლების გამოკითხვის შედეგად ხანდოში სამეურნეო ნაკვეთების განლაგების სურათი ასეთნაირად წარმოგვიდგება: მთის მაღლობე-

¹ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

² ვალ. ითონიშვილი, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971, გვ. 103.

³ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

ბი (მწვერვალები) სათიბებს ეჭირა, მთის ფერდობები და მთი-
სძირები სახნავებისა და საძოვრებისათვის იყო განკუთვნი-
ლი; ამასთან სახნავ-სათესების ძირითადი ნაწილი სოფელს
უშუალოდ ზედ ეკვროდა, ან საკუთრივ სოფლის ტერიტორია-
ზე მდებარეობდა. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ხა-
ნდოს სოფელ ვეშაგურების კონკრეტული მაგალითი. ამ სოფ-
ლის მოსახლეობა სახნავ-სათესად იყენებდა **დობერნის, კი-
ბურნის და ბოჩეთის** მთების ქვედა მხარეებს, აგრეთვე სოფ-
ლის ფარგლებში არსებულ სამეურნეოდ ვარგის მიწებს. ხსე-
ნებული მთების ფერდობების შუა ნაწილში სახნავებიც იყო
და საძოვრებიც. მთების მწვერვალები კი ითიბებოდა. ანალო-
გიურად იყო განლაგებული ხანდოს სხვა სოფლების კუთვნი-
ლი სამეურნეო ნაკვეთებიც. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ის
სამეურნეო ნაკვეთები, რომლებიც სოფლის ფარგლებში ან
მის მეზობლად მდებარეობდა, იწოდებოდა „კარის მამულად“,
ხოლო სოფლისაგან კარგა მანძილით დაშორებული, მთაში
მდებარე, ასეთივე ნაკვეთები ცნობილია „მთის მამულის“ სა-
ხელწოდებით. მთის და კარის მამულების „ტერიტორიული
ურთიერთობა დასახლებულ პუნქტებთან (კონკრეტულ შემ-
თხვევაში სოფ. ვეშაგურებთან – ვ. ი.) მათ სახელწოდებებშიც
კარგად ჩანს“⁴: **ჩირდილნი, ბანთუკენაჲ, ზედვაკე, კალო, ნა-
სვილარი, გორგოცა, დიდველა, კვირიის ქედი, ნაყანებნი,
კალოთანა, კარისყანა, ორმოიანი, გვერდომინა, დიდახო,
ახო, ნაყორნი, გლუვი და სხვ.** კარის და მთის მამულები ტი-
პიური იყოა რა მარტო ხანდოს, არამედ მის მეზობლად მდე-
ბარე სხვა კუთხეების (კერძოდ მთიულეთის) მეურნეობისთვის-
საც, რაც აღნიშნული აქვთ თავიანთ გამოკვლევებში ცალკე-
ულ ავტორებს⁵.

⁴ იქვე, გვ. 14.

⁵ რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15; ბ. გამყრე-
ლიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში, „კავკასიის
ეთნოგრაფიული კრებული“, III.

ხანდოს ხევი არ გამოირჩევა სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით, ამასთან „სივინ-როვისა გამო“⁶, ე. ი. სამეურნეოდ ვარგისი მიწების ნაკლებობის გამო, ხანდოში, მთის სხვა კუთხეების მსგავსად, მესაქონლეობის და განსაკუთრებით მინათმოქმედების განვითარება საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ხანდოში და მის მომიჯნავე რაიონებში (მთიულეთი, ჭართალი, გუდამაყარი) „მიწის საერთო ფართობის დაახლოებით 25% სრულიად უვარგისი იყო“⁷. სამეურნეო თვალსაზრისით, ძირითადი ნაწილი სამეურნეო ფართობისა ეჭირა საძოვრებსა და სათიბებს, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი სახნავ-სათეს ნაკვეთებს. ეს უკანასკნელი ხასიათდებოდნენ მცირემოსავლიანობით და სიმწირით, რის გამოც ხანდოს მოსახლეობა იძულებული იყო მაქსიმალურად გამოეყენებინა სახნავად გამოსადეგი მიწის ყოველი მტკაველი, გამოემუშავებინა სახნავ-სათესი ადგილების რენტაბელურად დამუშავება-გამოყენების წესი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში (სოფ. წინამხრის მაგალითზე):

სახნავების ერთი მხარე (**ჩირდილი**), რომ მოიხვნებოდა, მეორე მხარე (**მზორე**) ყამირად რჩებოდა და საძოვრად გამოიყენებოდა, მომდევნო წელს სახნავები შენაცვლებით მოიხმარებოდა: ახლა უკვე ჩირდილს ასვენებდნენ (ე. ი. ასაძოვრებდნენ), ხოლო მზორეს სახნავად აქცევდნენ. ხანდოს ხევში, ისევე როგორც საერთოდ „მთის ზოლში, დასამუშავებელ იარაღს აჩაჩა გუთანნი წარმოადგენდა, სადაც ერთ უღელს ან ყევარ ხარს აბამდნენ“⁸. სახნავ მიწებს რომ ასვენებდნენ, ანგარიშს უწევდნენ ხანდოში სამეურნეოდ ვარგისი მიწების სიმცირის და სიმწირის ფაქტორს, რომლის გაუთვალისწინებლობას უშუალო შედეგად შეიძლებოდა მოჰყოლოდა ისედაც

⁶ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.

⁷ Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁸ დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

მცირემოსავლიანი ნიადაგის თითქმის მთლიანად გამოფიტვა. სახნავ-სათესი ნაკვეთების დამუშავების აღნიშნული წესი და-
მახასიათებელი იყო არა მარტო ხანდოს ხევის, არამედ მთის
სხვა კუთხეების მეურნეობისთვისაც, მაგრამ სახნავ-სათესი
ფართობების მაქსიმალურად დამუშავების შემთხვევაშიც
შრომის ანაზღაურება ხშირად ვერ ხერხდებოდა; ამდენად
„მოსახლეობა მუდმივ გაჭირვებას განიცდიდა“⁹.

სამეურნეოდ ვარგისი მიწების სიმცირის და ნაკლებმო-
სავლიანობის ზემოხსენებულმა ფაქტორმა თავის მხრივ ხან-
დოში (ისევე როგორც მთიულეთში) ახოს ალების ტრადიციის
განვითარებას შეუწყო ხელი. ნ. ჭილაშვილის დაკვირვებით,
ხანდოელები, მთიულეების, გუდამაყრელებისა და ქართლელე-
ბის მსგავსად, სახნავი მიწების გაფართოების მიზნით „ყო-
ველნლიურად ჩეხავდნენ ტყეს და იმრავლებდნენ მიწ-
ვრებს“¹⁰. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ „ახოს
ალების საკითხს მთურ მინათმოქმედებაში უაღრესად დიდი
მნიშვნელობა ენიჭებოდა; ის იყო სახნავი ნაკვეთების გაფარ-
თოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება“¹¹. ახოს ალების შე-
დეგად ხანდოს ხევში ტყის ფართობი მნიშვნელოვნად შემ-
ცირდა, სამეურნეოდ ვარგისი მიწების ნაკლებობის საკითხი
კი ვერ გადაიჭრა. (მით უმეტეს, რომ ახოს ალების ხარჯზე
გაფართოებული სამეურნეო ტერიტორია ახლადშექმნილ ოჯ-
ახებსვე ხმარდებოდა). ახოს ალების ტრადიციას ადასტურებს
ხანდოში დამონშებული შემდეგი ტოპონიმები: **ახო, დიდახო,**
საკაფავი, ზეითნაჭერი, ქოითნაჭერი, ტყეთავი, ზურაბის
ნაკაფი და სხვ.

ამრიგად, ხანდოს სახნავ-სათესი ნაკვეთების სიმცირის
და მცირე მოსავლიანობის გამო ვერ ხერხდებოდა მტკიცე სა-

⁹ იქვე, გვ. 165.

¹⁰ ნ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

¹¹ ბ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

მიწათმოქმედო ბაზის შექმნა. მართალია ხანდოში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ქერსვილი და ფეტვი, მაგრამ მოსავალი (ერთ დღიურზე საშუალოდ 10 ფუთი მარცვლეული) ყველა ოჯახს არ ჰყოფნიდა, რის გამოც, ხალხი ყოველწლიურად ყიდულობდა პურეულს საქართველოს სხვა ადგილებში¹², კერძოდ, საქართველოს ბარის რაიონებსა და ვლადიკავკაზში. ადგილობრივ მთხრობლებთან ჩანერილი მასალებიდან ირკვევა, რომ ხანდოს ხალხს ბარიდან და ვლადიკავკაზიდან მოჰქონდა სიმინდი; ნითლიანთკარამდე ურმებით მოჰქონდათ, ხეობაში კი შემოჰქონდათ ხარების მარხილებით და ცხენის საპალნით. პურეულის ნაკლებობა ხანდოს მოსახლეობას ბარისაკენ იზიდავდა სამუშაოდ (ერთ-ერთი ადგილობრივი მთხრობლის თქმით, „ბარში სამკალად მოვდიოდით და შრომის საზღაურად პურს ვღებულობდით“), მაგრამ მთის რაიონების, კონკრეტულ შემთხვევაში კი ხანდოს „მოსახლეობა პურს იძენდა უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის ნამატიისა და პროდუქციის საფასურით, რის გამო მსხვილფეხა მესაქონლეობა (უფრო მოგვიანებით კი მეცხვარეობა – ვ. ი.) აქ მეურნეობის წამყვანი დარგი იყო“¹³. მართლაც, ხანდოს ხევში შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა მესაქონლეობის განვითარებისათვის, ვინაიდან აქაური „საძოვარი ადგილები და სათიბები საკმაოდ კარგი იყო“¹⁴, თუმცაღა მათი უკმარობა სულ უფრო იგრძნობოდა ცხვარ-ძროხის სულადობის ზრდასთან ერთად. სათიბები მალლა მთაში იყო და იქ ცხვარ-ძროხას არ უშვებდნენ (სათიბებს მეველე იცავდა მაისის 1-დან ნოემბრის დამდეგამდე – თივა-ძნის ჩამოტანამდე), საძოვრებად კი მთის გვერდოები (ფერდობები) გამოიყენებოდა ძირითადად. ხანდოს ხევში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალების და ცალკეული წერილო-

¹² ნ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

¹³ ვალ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

¹⁴ Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

ბითი წყაროების განხივლის საფუძველზე ირკვევა, რომ ხანდ-
ლოში თავდაპირველად უფრო განვითარებული იყო მსხვილფე-
ხა მესაქონლეობა. მეცხვარეობის ხვედრითი წონა კი შედარე-
ბით ნაკლები იყო. ეს გამონწვეული იყო იმ გარემოებით, რომ
ხანდლოში ცხვრის პატრონები იძულებულნი იყვნენ ცხვარი
ზამთრობით ძირითადად ბაგურ კვებაზე შეენახათ. როგორც
წინამხრელმა იოსებ მელიქიშვილმა აღნიშნა, „ცხვარი ცოტ-
ცოტა ბევრს ჰყავდა, მაგრამ 200-300 სული 3-4 ოჯახს თუ ეყ-
ოლებოდაო მთელს სოფელში“. ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავდა,
ზამთრობით შირაქის ველებზე მიერეკებოდა. არც მსხვილფე-
ხა საქონელი იყო მაინცდამაინც მრავლად ხანდლოს ხევში, (ათ-
სულზე მეტი იშვიათად თუ ვინმეს ჰყავდა), რაც დგინდება სა-
თანადო ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. საქონელს ზამთა-
რში აჭმევდნენ ჩალას, თივას, ბზეს. მესაქონლეობა ხანდლოში
უფრო რენტაბელური დარგი იყო, ვიდრე მინათმოქმედება და
ბუნებრივია, რომ „მთიელს რაკი სახელმწიფო ფასებში პურით
უზრუნველყოფის შესაძლებლობა მიეცა, მან მინათმოქმედე-
ბაზეც, როგორც მთიანეთში დღეისათვის არარენტაბელურ
მეურნეობაზე, ხელი აღიო. სამაგიეროდ მოსახლეობა ხარბად
დაეწაფა მეცხვარეობას და საძოვრებთან ერთად სათიბებისა
და მთის სახნავეების უდიდესი ნაწილიც ცხვრის საძოვრად გა-
დააქციეს“¹⁵.

ხანდლოს ხევი ამ მხრივ ერთ-ერთ სამაგალითო მთის
კუთხეს წარმოადგენს, ისევე როგორც მთიულეთი, ხევი და
სხვ. მაგალითად, ხანდლოს სოფ. ვეშაგურების კუთვნილი სახ-
ნავეების და სათიბების დიდი ნაწილი საძოვრებად აქციეს. მთა
კიბურნის სათიბი, **გლუვის** სახელწოდებით, ახლა ცხვრის სა-
ძოვარია, ისევე როგორც მთა ბოჩეთის ყოფილი სახნავი **გორ-
გოცა**; სახნავეები იყო ადრე **ნაყორნი** და **დიდველა**, რომელ-
ნიც აგრეთვე გაასაძოვრეს. ასეთივე სურათია ხანდლოს თი-

¹⁵ ვალ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

თქმის ყველა სოფელში. ამდენად ვეშაგურების კონკრეტული მაგალითიც საკმარისია ზემოთქმულის საილუსტრაციოდ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სახნავეებისა და სათიბების მნიშვნელოვანი ნაწილი საძოვრებად იქნა ქცეული, ცხვრის სულადობის ზრდასთან ერთად საძოვრების უკმარისობა სულ უფრო იგრძნობოდა. მეცხვარეობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმორადგენდა საზამთრო საძოვრებით ცხვრის უზრუნველყოფა. ხანდოს ხევში მეცხვარეობის დაწინაურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ხანდოელ მეცხვარეებს შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მეცხვარეობის ხვედრითი წონის სწრაფი ზრდა ხანდოში რალათქმაუნდა დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა ჩრდ. კავკასიაში (კერძოდ ყიზლარში) საზამთრო საძოვრების გამოყოფასთან. დღესაც ხანდოს ცხვარს ზამთრობით ძირითადად ყიზლარის ველებისაკენ მიერეკებიან; მეცხვარეობის ახლანდელ მდგომარეობას პირველ რიგში განსაზღვრავს ყიზლარის თუ შირაქის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადარეკვის ორგანიზაციის დონე. ასე, რომ ხანდოს ხევში ძირითად სამეურნეო დარგებად წარმოგვიდგება მესაქონლეობა და მინათმოქმედება, თუმცაღა ხანდოელთა ცხოვრებაში მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა დამხმარე საქმიანობასაც. როგორც ზოგიერთი ავტორის ცნობით¹⁶, ისე ჩვენი დაკვირვებითაც, ჩანს, რომ ერთ-ერთ ასეთ საქმიანობას წარმოადგენდა მებოსტნეობა. აქ საოჯახოდ მოყავდათ კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, ლობიო, სტაფილო და მწვანელი. ბაზარზე ის არ გაჰქონდათ მცირემოსავლიანობის გამო. ასევე შეზღუდული მასშტაბით არსებობდა მეხილეობაც. ოჯახური მოთხოვნილების დონეს პასუხობდა მეფრინველეობაც¹⁷.

¹⁶ Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

¹⁷ იქვე, გვ. 62.

ფრინველის მომრავლებას აქ ხელს უშლიდა საკვების უშოვნელობა. შეზღუდული სახით არსებობდა მეფუტკრეობაც. ხანდოში, ისევე როგორც მთიულეთ-გუდამაყარში, სარგებლობდნენ როგორც ტყის ფუტკრის თაფლით¹⁸, ისე თითო-ოროლა სკა შინაური ფუტკრის პროდუქტითაც. ნ. ნიკიფოროვის დაკვირვებით, დუშეთის მაზრიდან მეფუტკრეობას უფრო მეტად მისდევდნენ მის მთიან ნაწილში, რომლის ფარგლებში ხანდოც შედიოდა. ტყით მდიდარ ადგილებში სკად ხმარობდნენ გამოფულურობულ მერქანს, ხოლო სადაც ტყე ცოტაა, სკას კალათივით წნავდნენ და თიხა-ნეხვის ნარევით ლესავდნენ¹⁹.

როგორც ვხედავთ, მეურნეობის განვითარება ხანდოში შეესაბამებოდა თვით ამ კუთხის სამეურნეო პირობებს. ხალხი მაქსიმალურად იყენებდა არსებულ შესაძლებლობებს და გულმოდგინედ ავითარებდა როგორც ძირითად სამეურნეო დარგებს (მესაქონლეობა და მიწათმოქმედება), ისე ზოგიერთ დამხმარე საქმიანობასაც (მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა).



¹⁸ მ. კედელაძე, ტყის ფუტკარზე „ნადირობის“ სხვადასხვა ხერხები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XXIV-B, თბ., 1963.

¹⁹ Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62.

მინათსარგებლობის ფორმები

მინათსარგებლობის ფორმების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ურთიერთობათა კვლევის სფეროში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა ამ მხრივ კარგახანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება¹, მაგრამ საკითხის შემდგომი შესწავლა მოითხოვს როგორც წერილობითი წყაროების, ისე დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მონაცემების გამოვლინება-გაანალიზებას. ამასთან ერთად, საჭიროა ეს რთული საკითხი შეისწავლებოდეს ცალკეული კუთხეების, ხეობების, ხეების, ტერიტორიული თემებისა და სოფლების მიხედვით, რამდენადაც ყოველი ლოკალური ერთეული გარკვეული თავისებურებით ხასიათდება.

ამ თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემები გამოვლინდა ხანდოს ხევში 1979 წლის ივლისში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების, სათანადო წერილობითი წყაროებისა და არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე.

წერილობითი წყაროებიდან პირველ რიგში საყურადღებოა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, რომლის სათანადო მუხლებიდან აშკარად ჩანს, რომ საკვლევ რეგიონში სარგებლობდნენ სახელმწიფო მიწებით, რაზედაც კონტროლი დანესებული ჰქონდა სამეფო ხელისუფლებას. საჭიროების

¹ ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940; ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930; მისივე, ხევი, ტფ., 1934; მისივე ხევსურეთი, ტფ., 1935; მისივე, თუშეთი, ტფ., 1934; В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святыищ, "Советская этнография", 1949, №1; მისივე, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964 (VII Международный конгресс антропологических и этнографических наук); რ. ხარაძე; აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, და სხვა.

მიხედვით სამეფო ხელისუფლებას შეეძლო დამნაშავეისათვის, სხვა სახის სასჯელთან ერთად, მიწაც განსაზღვრული დროით ჩამოერთვა და სასეფოდ (სახაზინოდ) გამოეცხადებინა. სამართლის წიგნში აღნიშნულია, ისიც, თუ რა პირობით შეიძლება დაბრუნებოდა მიწა სასჯელმოხდელ პირს. მაგალითად, მესამე მუხლში წერია: „და თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი, კაცი გაიპატიჟოს და მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფოდ დადვას. და სისხლის დაურვება არ შეეძლოს, ანუ მამული ებოძოს მის კაცისა სისხლის მქმნელისა დარბაზით, ანუ განმგებლის სახლს მეფისაგან სისხლი ებოძოს და მამული სასეფოდ დაიდვას“².

როგორც დავინახეთ, გამგებელი რომ ერთ პიროვნებას მოეკლა (ზემოთ, მეორე მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც გამგებლის მკვლელი იქნებოდა სოფელი), მკვლელს მამულს ჩამოართმევდნენ და სასეფოდ გადასცემდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მკვლელი სისხლის საურავს ვერ გამოიღებდა, მაშინ ეს მამული მოკლულის ოჯახს ეკუთვნოდა, როგორც სისხლის საურავი, ანდა სისხლის საურავს მოკლულის ოჯახს მეფე აძლევდა, ხოლო მოკლულისაგან ჩამორთმეულ მამულს სამუდამოდ სასეფოდ დაიჭერდნენ.

მამულის დროებით ჩამორთმევა სასჯელის ზომად იყო გამოყენებული სხვა შემთხვევაშიც. გამგებელი რომ ხევისბერს მოეკლა, მკვლელს სამი წლით მამულს და ციხეს წაართმევდნენ და სასეფოდ გამოაცხადებდნენ. „ძეგლის დადების“ მეხუთე მუხლის ძალით, ხევისბერი ვალდებული იყო მოკლული გამგებლის ოჯახისათვის მესამე წელს სასისხლო (6000 თეთრი) გადაეხადა, ხოლო მამულს მხოლოდ დარბაზის გადანივეტილების წყალობით დაიბრუნებდა იმის შემდეგ, როდე-

² გიორგი ბრწყინვალის სამართალი (ტექსტი) გვ. 105.

საც ის ერისთავს შემოეხვეწებოდა, ერისთავი ვეზირთ მოახსენებდა და ვეზირნი დარბაზის წინაშე იშუამდგომლებდნენ³.

სასჯელის ასეთივე ნორმა იყო დაწესებული და დანაშაულის პატიების ანალოგიური საშუალებები იყო გათვალისწინებული ხევისბერის მიერ ხევისბერისავე მოკვლის შემთხვევაშიც (მუხლი 6)⁴. ამისგან განსხვავებით, ხევისბერთან გაუყრელად მცხოვრები კაცის მკვლელს მამულს ორი წლის ვადით ართმევდნენ და სისხლის საურავში 6000 თეთრს ახდევინებდნენ (მუხლი 7)⁵, ხოლო ხევისბერის განაყარი ძმის თუ სხვა ახლობლის მკვლელის მამულს სასეფოდ ასევე ორი წლით იჭერდნენ, მაგრამ სისხლის საზღაურად 300 თეთრს უწესებდნენ (მუხლი 9)⁶.

სამეფო ხელისუფლება მამულს ხელს ადებდა სხვა შემთხვევაშიც. ჰეროვანის მკვლელი ჰეროვნის მამული სასეფოდ გადაეცემოდა სამი წლის ვადით (მუხლი 11)⁷; ჰეროვანი რომ ხევისბერს მოეკლა „მამულის ნდომისათვის“, მკვლელს მამულს ერთი წლით ჩამოართმევდნენ (მუხლი 18)⁸; სამი წლით სასეფოდ გადაეცემოდა როგორც ციხისთავის მკვლელის მამული (მუხლი 13)⁹, ისე „უციხისთაო ჯადელი კაცის“ მკვლელის მამული (მუხლი 14)¹⁰.

მამულის ჩამორთმევას სჯულმდებელი მკაცრი სასჯელის ძალას ანიჭებს ძმის მკვლელის მიმართაც. მე-17 მუხლის თანახმად, „ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს და მამული

³ იქვე, გვ. 105-106.

⁴ იქვე, გვ. 106.

⁵ იქვე, გვ. 106-107.

⁶ იქვე, გვ. 107.

⁷ იქვე, გვ. 108.

⁸ იქვე, გვ. 108.

⁹ იქვე, გვ. 108.

¹⁰ იქვე, გვ. 109.

სასეფოდ დაიდვას". სისხლის საურავის გადახდისა და 10 წლის გასვლის შემდეგ ადგილობრივ მოხელეთა შუამდგომლობით მკვლელს მამულს უბრუნებდნენ. ასეთნაირად ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოკლულს მემკვიდრე (შვილი, ძმა ან ოჯახის გაუყოფელი ახლობელი) რჩებოდა. მემკვიდრის უყოლობის შემთხვევაში კი მკვლელის მამულის ნახევარი მოკლულის ახლობელს გადაეცემოდა მისი „სულისათჳს სასაურვოდ“ (მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად), ხოლო მამულის ნახევარი სასეფოდ რჩებოდა¹¹.

მამულზე საკუთრების უფლებას სამეფო ხელისუფლება იყენებდა სამხედრო სამსახურის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც. როგორც მე-19 მუხლიდან ჩანს, თუ ლაშქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდა ჰეროვანი ან სოფლიონი (მეთემე), მის მამულს ერთი წლით სასეფოდ გადასცემდნენ და ერთ ხარსაც წაართმევდნენ. ხევისბერსაც, რომელიც ლაშქრობას დააკლდებოდა, ერთი წლით ართმევდნენ ხევისბერობასაც და მამულსაც¹².

მამულის ჩამორთმევით ხელისუფლება ემუქრებოდა იმ მოხელეებსაც, რომლებიც ურთიერთობას გაამწვავებდნენ საერისთავოებს შორის. 42-ე მუხლის ძალით, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მას „დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს“¹³.

დამნაშავის მიმართ ასეთ ღონისძიებათა განხორციელება იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ მიწის მფლობელი იყო სახელმწიფო ხელისუფლება. თავისი შეხედულებისამებრ სამეფო ხელისუფლება მთიელს მიწას გინდ ჩამოართმევდა და გინდ უკანვე დაუბრუნებდა. ამ სახასო მიწაზე მიმაგრებული ყველა კატეგორიის ოჯახი (რიგითი მეთემე ანუ სოფლიონი,

¹¹ იქვე, გვ. 110.

¹² იქვე, გვ. 111.

¹³ იქვე, გვ. 117.

ჰეროვანი, ციხისთავი, ხევისბერი, გამგებელი თუ ერისთავი) სარგებლობდა მიწის დამუშავების უფლებით, რასაც განსაზღვრული დროით კარგავდა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

ამგვარი საადგილმამულო ურთიერთობა შეინიშნება იმ ძირითად სამეურნეო სავარგულებზე, რასაც სამართლის წიგნში **მამული** ეწოდება. ამასთან ერთად აქვე გვხვდება **ნასყიდიც**. მეფის მიერ დადგენილი კანონით, დაბერებულ მამას რომ შვილი გაჰყროდა, რაც იმავე კანონით არასასურველადაა მიჩნეული, ნასყიდი მამას უნდა დაეჭირა (თუკი ის ეყოფოდა), ხოლო შვილი მამულით გვემსახუროსო. მამას თუ ნასყიდი არ ეყოფოდა, მამულითაც უნდა ესარგებლნა. შვილთან კეთილ ურთიერთობაში მყოფ მამას ნასყიდი მისთვის უნდა დაეტოვებინა, მაგრამ საწინააღმდეგო შემთხვევაში შვილს ნასყიდში ხელი არ ექნებოდა. მამას შეეძლო მისი მოხმარება თუ გაყიდვა, როგორც მას სურდა¹⁴.

როგორც ტერმინი **ნასყიდი**, ისე ამ სახელწოდებით ცნობილ მიწაზე არსებული უფლებები გვიჩვენებენ, რომ XIV საუკუნეში მთის ზოლში, სახელდობრ ხანდოში, მიწის გარკვეული ნაწილის ყიდვა-გაყიდვის წესი არსებობდა. ეს თავისთავად გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ **მამულისაგან** განსხვავებით, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა და რითაც მთიელები მხოლოდ მისი გამოყენების უფლებით სარგებლობდნენ, ნასყიდი კერძო საკუთრების ობიექტს წარმოადგენდა.

მიწათსარგებლობის ზემოხსენებულ ფორმებთან ერთად, რაც XIV საუკუნის სამართლის წიგნის მიხედვით მთიელთა საზოგადოებრივი ყოფისათვის იყო დამახასიათებელი, „ძეგლის დადება“ სათანადო წარმოდგენას გვიქმნის **ბეითალმანით** სარგებლობის შესახებაც. 27-ე მუხლის თანახმად, ბეითალმანი ერქვა უპატრონოდ (უმემკვიდრეოდ) დარჩენილ მი-

¹⁴ გიორგი ბრწყინვალის სამართალი (ტექსტი) გვ. 109-110.

წას. ბეითალმანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მამული (მემკვიდრეობითი მფლობელობა უძრავი ქონებისა, მიწისა), ისე **პარტახტი** (ცარიელი, გაუშენებელი, დაუშუშავებელი ადგილი). ბეითალმანი მიეცემოდა მისი ყოფილი პატრონის მოგვარეს, პირველ რიგში კი ახლობელ „მეყვსს“, რომელიც ჭირსა თუ ლხინში ამ მიწის პატრონის თანამდგომი იყო. სამეფო ხელისუფლება დაინტერესებულია მიწას პატრონი მიუჩინოს იმიტომ, „რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა“. ე. ი. სახელმწიფო მიწით უზრუნველყოფს ოჯახს, რომ ამ მიწით სარგებლობის სანაცვლოდ მისგან სამაგიერო მიიღოს, ოჯახმა სამეფო ხელისუფლებას სამსახური არ დააკლოს. თუ გარდაცვლილის არც ახლობელთაგან და არც გვარიდან არავინ იქნებოდა, დარბაზის გადაწყვეტილებით მიწა ებოძებოდა გარეშე პირს, ვინც ზემოხსენებულ ვალდებულებათა შესრულებით ბეითალმანით სარგებლობის უფლებას დაიმსახურებდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამ საქმეში დარბაზის ჩარევას საჭიროდ არ ჩათვლიდა ხელისუფლება, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება უშუალოდ ეკისრებოდათ ერისთავსა და გამგებელს, ხოლო ბეითალმანის მიმღებთ მებეგრედა და მოსამსახურედ ჩაითვლებოდა¹⁵.

უფრო გვიანდელი მონაცემების მიხედვითაც ბეითალმანი სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. იმის შემდეგ, რაც არავის საერისთავო გაუქმდა და ის საუფლისწულოდ იქცა, ამ მხარის გამგებელმა ვახტანგ ბატონიშვილმა თავის „განჩინებაში“ საგანგებოდ აღნიშნა: „ღმერთმან ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შვილი ან ძმა არ დარჩეს, იმის მამულს ნურავინ დაიჭერს, თუ უნდა გაყრილი ძმაც რომ ჰყვანდეს. მანამდისინ ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ეს მამული ისევ ბეითალმანად უნდა იდვას. მოკვლე მოვიდეს, მო-

¹⁵ იქვე, გვ. 113.

გვახსენოს და როგორც ჩვენ უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს (მუხლი 9)¹⁶.

ამასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ეს ღონისძიება მიმართული იყო ძველი ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ბეითალმანს ეპატრონებოდნენ ამონყვეტილის ახლობლები. მთიელთა ჩვეულების მიხედვით, ამონყვეტილი ოჯახის მამულს ვერავინ ვერ შეეხებოდა, გარდა ამ ოჯახის განაყრებისა და მოგვარეებისა. ვინაიდან ეს ჩვეულება თავისთავად დაკავშირებული იყო სათემო საკუთრების ფორმასთან და წარმოადგენდა მის გადმონაშტს, კანონმდებელი ცდილობს, რომ ხალხური ტრადიციის ნაცვლად დააკანონოს თავისი უფლებები, მიწაზე საკუთრების ფეოდალური წესი¹⁷. უფლისწულმა თავის ამ შეხედულებას ბეითალმანის შესახებ კანონის ძალა მიანიჭა, მაგრამ სინამდვილეში ის ვერ განახორციელა. ამონყვეტილის მამულს მთაში ჩვეულებისამებრ ეპატრონებოდნენ, რაც კარგად ჩანს ადგილზე დამონშებული ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. ხანდოს ყველა სოფლისათვის ერთნაირად დამახასიათებელი წესის მიხედვით, უპატრონოდ დარჩენილ მიწას, რასაც **ბაითალმანი** ან **ნატიალევი** ერქვა, გადაშენებული ოჯახის ბიძაშვილები მორიგეობით ხმარობდნენ (სოფ. წინამხარი, 13.VII.1979 წ. იოსებ სანდროს ძე მელიქიშვილი, დაბად. 1909 წ.). მეორე მთხრობლის ცნობით, ოჯახის ამონყვეტის ან სხვაგან გადასახლების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ ადგილს ერქვა **ნატიალევი**. ასეთ მამულს მამიშვილობანი (ბიძაშვილები, მოგვარეები) იყოფდნენ. მაგალითად, უძილაანთ (დავითური) ბერას ტიალად დარჩენილი მამული (**ჭალა და ყანაბირაჟ**) მისმა ბიძაშვილებმა გაინაწილეს. ასევე, ნინიკაანთ (დავითური) ტი-

¹⁶ ი. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი („განჩინების“ ტექსტი), გვ. 107.

¹⁷ ი. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

ალად დარჩენილ ადგილს (ნისქვილთანაჲ) ხმარობდნენ ნინიკაანთ განაყრები – შატიაწნი (სოფ. უკანამხარი, 17. VII. 1979 წ. გიგოლა მახარობლის ძე დავითური, დაბად. 1900 წ. სოფ. დავითურებიდან ჩამოსახლებული).

წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეჯერება გვიჩვენებს, რომ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სფეროში ადგილი ჰქონდა სამეფო ხელისუფლების ბრძოლას თემური ტრადიციების წინააღმდეგ. ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ მთაში დაინერგოს მიწათსარგებლობის ფეოდალური წესი, რომლის ბოლომდე განხორციელება ვერ ხერხდება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბეითალმანის მიმართ შეინიშნება ფეოდალური წესისა და თემური ტრადიციების თანაარსებობა.

საუფლისწულოს ხელისუფლება მიზნად ისახავს თავისი უფლებების განმტკიცებას არა მარტო ბეითალმანის, არამედ ყველა სხვა სახის მამულის მიმართაც. საერთოდ, იგი აქტიურად ერევა მამულების ყიდვა-გაყიდვის საქმეში და მკაცრ კონტროლს აწესებს. „განჩინების“ მეათე მუხლით იკრძალებოდა საყდრის ყმის მამულის ყიდვა ბატონიშვილის ყმის მიერ და პირიქით – საყდრის ყმის მიერ ბატონიშვილის ყმის მამულის ყიდვა¹⁸. კანონმდებელი ასევე კრძალავს მის დაუკითხავად აზნაურის თუ სხვა რომელიმე მოხელის მიერ სახასო კაცის მამულის ყიდვას, რითაც ისევ და ისევ მამულზე ხელდების უფლებას განამტკიცებს (მუხლი 13)¹⁹. უფლისწულს ხელისუფლების საკუთრებად მიაჩნია ის მამულიც, რითაც მსახური სარგებლობდა. გამომდინარე აქედან, იგი აკანონებს, რომ „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული ჩვენის სამსახურის სანუქფოთა აქვს მიცემული“. ასეთ კატეგორიულ განცხადება-განმარტებასთან ერთად, დამნაშა-

¹⁸ განჩინება, (ტექსტი), გვ. 108.

¹⁹ იქვე, გვ. 108.

ვის მიმართ დაუფარავად იმუქრება, რომ ყიდვა-გაყიდვაში დაშვებული თვითნებობისათვის მას „იმ მამულსაც წავართმევთ და თავისს სამკვიდროს მამულზედაც ჴელს ავაღებინებთ, რადგან მსახურთ მამული ვინც ჩვენნი მსახურნი იქნებიან, იმათთვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა“ (მუხლი 12)²⁰.

ყოველივე ამასთან ერთად კანონმდებელი ადგენს, რომ სოფლიდან აყრილი და სხვაგან გადასახლებული კაცის მამულის ყიდვა უფლისწულის „უბრძანებლივ“ არავინ გაბედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება მყიდველს კიდევ ერთ იმდენსაც წაართმევდა, რამდენიც მამულის ყიდვაში გაიღო, და მამულსაც არ აყიდვინებდა (მუხლი 11)²¹.

დამონმებული მუხლებიდან კარგად ჩანს, რომ არაგვის საუფლისწულოში ამგვარი საადგილმამულო ურთიერთობა მყარ ნიადაგზე არ იდგა და კანონმდებელმა მიზნად დაისახა ფეოდალური წესების განმტკიცება. მის ამოცანას შეადგენდა დაკანონებულიყო ის რეჟიმი, რომ უშუალო მწარმოებელი მხოლოდ მიწით მოსარგებლე და არა მიწის მესაკუთრე ყოფილიყო და, ამდენად, უფლისწულის სანქციის გარეშე მამულის ყიდვა-გაყიდვის უფლებას მოკლებული ყოფილიყო.

ძნელი სათქმელია, თუ როგორ ს;რულდებოდა „განჩინების“ მუხლები, მაგრამ საფიქრებელია, რომ აღნიშნული ღონისძიებანი დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა მოსახლეობის მხრიდან. მთიელები აღნიშნული დადგენილებისაგან გვერდის ავლით ურთიერთშორის შეთანხმებას აღწევდნენ ხალხური ტრადიციების საფუძველზე. ეს შენიშნული აქვს ნ. ჭილაშვილს, რომელიც ფინანსთა მინისტრის – გენერალ კანკრინის დავალებით 1827 წელს დაწერილ მიმოხილვაში მთიელთა შორის მამულების ყიდვა-გაყიდვის თუ სისხლის საურავში მიწის

²⁰ იქვე, გვ. 108.

²¹ იქვე, გვ. 108.

გაღების წესს საკომლოების უთანაბროდ განაწილების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს²².

ნ. ნიკიფოროვის დაკვირვებით, XIX საუკუნის 60-იან წლებში დუშეთის მაზრის (ყოფილი არაგვის საერისთავოს თუ საუფლისწულოს) მთიანეთში, ხანდოს ჩათვლით, მინა ძირითადად სახაზინო იყო. სახნავ-სათესი მიწების არსებული ფართობიდან (11 ათას 100 დესეტინა) პირად საკუთრებაში ირიცხებოდა მხოლოდ 900 დესეტინა²³; ესეც ძირითადად მაზრის ბარსა და გარდამავალ ზოლზე მოდიოდა. მთიანეთში კი მინის მესაკუთრე იშვიათად იყო და ისიც გლეხთა წრიდან ვაჭართა ან სამღვდელოების წრეში გადასული პირი (გლეხი)²⁴. ეს თავის მხრივ ზღუდავდა მინის იჯარით გამოყენების შესაძლებლობასაც, ვინაიდან იჯარით მინას იღებდნენ თავადების ან აზნაურებისაგან. დუშეთის მაზრის მთიანეთში კი აზნაურთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ მხოლოდ ყაზბეგები და კობიაშვილები²⁵. თავის მხრივ ეს გვაფიქრებინებს, რომ ხანდოში იჯარით მინის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა, რადგანაც იქ სოციალური ზედაფენების არსებობა არ დასტურდება.

XIX საუკუნის კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით, ხანდოს ხევში ცხოვრობდნენ სახაზინო გლეხები. მაგ. სოფ. ვეშაგურთკარში 1860 წელს 14 კომლს უცხოვრია და ყველანი სახაზინო გლეხები ყოფილან²⁶. სოფ. დავითურთკარშიც სახაზინო გლეხებს უცხოვრიათ 8 კომლად²⁷. ანალოგიური ვითარება შეინიშნება ხანდოს სხვა სოფლებშიც, რაც

²² ნ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

²³ Н. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.

²⁴ იქვე, გვ. 26.

²⁵ იქვე, გვ. 48.

²⁶ Камеральное описание горского округа Мтиулетского участка, ч. I, 1960 г.; ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. 2, Арх № 250, с. 130-134.

²⁷ იქვე, გვ. 182-185.

გვიჩვენებს, რომ ხანდოში სახაზინო მინებით სარგებლობდნენ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საყურადღებოა ადგილზე ფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ჩანანერებიდან ირკვევა, რომ სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები ცალკეული ოჯახების ინდივიდუალურ სარგებლობაში იყო. როგორც წესი, ეს სამეურნეო სავარგულები ოჯახის გაყრის შემდეგაც იმდენ თანაბარ ნაწილად იყოფოდა, რამდენ ნაწილადაც ოჯახი დაიყოფოდა. ოჯახისათვის განკუთვნილი მიწის თვთინებურად მითვისება-დაჩემების უფლებას სხვა ოჯახი მოკლებული იყო. ვიდრე ოჯახი სოფლის მკვიდრად ითვლებოდა, მას შეეძლო სახნავ-სათიბი ადგილის გაყიდვა ან გასაჩუქრება (უმთავრეს შემთხვევაში გათხოვილი ქალისთვის სამზითვოდ მიცემა), მაგრამ როდესაც მიწის გაყიდვის საკითხი დადგებოდა, ეს უსათუოდ უნდა სცოდნოდათ გაყიდვის მსურველი ოჯახის ახლობლებს (განაყრებს, ბიძაშვილებს, მოგვარეებს), ვინაიდან მიწის შეძენის უფლება პირველ რიგში ენიჭებოდათ განაყრებს (ძმებს, ბიძაშვილებს), შემდეგ კი მოგვარეებს. თუ ახლობელთაგან მყიდველი არ გამოჩნდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მიწის მიყიდვა სხვა გვარის წევრისათვის, მაგრამ მხოლოდ თანასოფელელისათვის.

სოფლიდან სხვაგან გადასახლებულ ოჯახს შეეძლო გაეყიდა მხოლოდ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი თავისი ეზოთი და ბალ-ბოსტნით, თუკი ბალ-ბოსტანი სახლთან ახლოს ექნებოდა. დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც გადასახლებული ოჯახი თავის სოფელში დარჩენილი ხეხილით კვლავ სარგებლობდა. სახნავ-სათესი მამულის გაყიდვის უფლებით კი ხანდოელი კაცი ვერ ისარგებლებდა. სხვაგან წასულის მამული რჩებოდა სოფელს **საფონდო მამულის** სახით, რასაც ერქვა **საფორაქო**. სოფელი ამ ადგილს უმთავრესად ახლად გამოყოფილ ოჯახს აძლევდა.

საოჯახოდ განკუთვნილ სახნავ-სათეს ადგილებთან ერთად არსებობდა **საგვარო მამულებიც**, რასაც გვარში შემავალი ოჯახები მორიგეობით ამუშავებდნენ. ამგვარი მამულები ზოგჯერ გვარის სამოსახლო სოფლის ფარგლებს გარეთ იყო განლაგებული. მაგალითად, სოფ. სოდევეში მცხოვრებ ჯანიაშვილებს 3 დღის სახნავ-სათესი მიწა ჰქონიათ სოფ. წინამხრის ტერიტორიაზე. გიორგი ნასყიდასძე ჯანიაშვილის (დაბად. 1920 წ.) ცნობით, ამ ადგილს, რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა **ჭობმათა**, ჯანიაშვილები რიგ-რიგობით იყენებდნენ. ჯანიაშვილების ერთი ნაწილი (ჩიკრიკიანი) ასეთივე წესით ამუშავებდა 3-4 დღიურ მიწას დღევანდელი სოფ. წითლიანთკარის ტერიტორიაზე. ბოლო დროს გვარის ნებართვით, ამ მიწით სარგებლობდა სოდევედან წითლიანთკარში ჩამოსახლებული ალექსი ჯანიაშვილი.

სახნავ-სათეს ადგილებთან ერთად ჯანიაშვილებს ჰქონიათ სამორიგეო სათიბებიც (გლუვი - 10 მთიბლისა, ნატბევი - 5 მთიბლისა, ორმოხვილი - 3 მთიბლისა), რაც შემდეგ კომლობრივ დაუნაწილებიათ. სოფ. მეჯილაურებში გვრიტიშვილებს საგვაროდ ჰქონიათ 10 დღის საქერეები, რომლის გამოყენება დასწრებაზე ყოფილა დამოკიდებული.

საგვარო მამულებთან და სასოფლო მიწებთან (საფორაქო) ერთად ხანდოში დადასტურდა სათემო მიწების არსებობაც. ასეთად დაგვისახელეს ახლანდელი სოფელ წითლიანთკარის ტერიტორია, რომლითაც ხანდოს რამდენიმე სოფელი სარგებლობდა და მას შესატყვისი სახელიც ერქვა - **სახანდო** ანუ **სათემო**²⁸.

მიწათსარგებლობის ფორმების შესწავლასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჯვარ-სალოცავების სახელზე არსებული სახნავ-სათესი და სათიბი ადგილებით სარგებლობის წესებიც. ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ ხანდოს ხევის

²⁸ შდრ. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 50.

ყველა სოფელს ამა თუ იმ ხატის სახელზე გააჩნდა მინის ნაკვეთი, რასაც ხატის მამული ერქვა და ის ეკუთვნოდა მთელ სოფელს ან რომელიმე გვარს. ხატის მამულების დამუშავება ხდებოდა ან სოფლის მოსახლეობის ერთობლივი მონაწილეობით, ანდა სოფლის შიგნით დანესებული მორიგეობით. მორიგეობაში იგულისხმებოდა როგორც სოფლის შუაზე გაყოფა, ისე ცალკეული ოჯახების მონაწილეობა. მორიგეობის მიზანს შეადგენდა ხატის მინების დამუშავება, მოსავლის დანიშნულებისამებრ მოხმარება და ამასთან დაკავშირებით სათანადო მოვალეობის შესრულება. აღნიშნული ვითარება დადასტურდა ხანდოს ხევში დადგენილი კონკრეტული მონაცემების მიხედვით.

სოფლის მოსახლეობის ერთობლივი მონაწილეობა ჩანს სოფ. დავითურთკარის მაგალითზე. ერთ-ერთი სალოცავის – **ციხისათორმენამის** (მთავარმონამის) სახელზე სოფელს ჰქონდა ყევრით (ორი უღელი ხარით) ორი დღის სახნავ-სათესი ადგილი, რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა **ტოტივრის ქალა**. აქ მონეულ 30-ფუთამდე ქერსვილს კალოზე საპურე გოდორში ჩაყრიდნენ (1910 წლის დაბადებული გიგოლა დავითურის ხსოვნით მოსავალს ინახავდნენ ანდრია დავითურის გოდორში). დადგენილი წესის თანახმად ყოველწლიურად გამოყოფდნენ მორიგე ოჯახებს (ოთხიდან ცხრამდე ოჯახს) – ე. წ. მნათეებს, რომელთაც მიღებული მოსავლიდან არაყის გამოხდას დაავალებდნენ. მნათეები გამოხდიდნენ დაახლოებით 10 ქვებ არაყს (1 ქვაბი არაყი შეადგენდა 6-8 თუნგს, თუნგი იტევდა 4 ჩარექას ანუ 4 ლიტრს), რაც ხმარდებოდა სოფლის რელიგიურ დღესასწაულებს.

სოფ. დავითურთკარში ციხისა თორმენამის სახელზე არსებობდა სათიბებიც, რომელთაგან ერთს ერქვა **სააღდგომი** (20 მთიბლის სამუშაო ერთ დღეს), ხოლო მეორეს – **გლუვი** (15 მთიბლისა ერთ დღეს). აღნიშნულ ადგილებს სოფელი მორიგეობით თიბავდა. სოფლის მოსახლეობის ერთი ნახევარი

რომ სააღდგომოს გათიბავდა, მეორე ნახევარი გლუვს გათიბავდა. მეორე წელს ადგილი ჰქონდა სათიბების შენაცვლებით გამოყენებას. ასეთი მორიგეობით გამოყენებულ სახატო ადგილებს ერქვა **სარიგო სათიბები**. სოფლის მოსახლეობის ნახევარი, რომელიც გლუვს გათიბავდა, გიორგობისათვის (ეს დღეობა მოდიოდა გიორგობისთვის 10 ძვ. სტ. 23 ახ. სტ) სოფელს ერთ ჭედილას უყიდიდა, ხოლო სასამელად იყენებდნენ ხატის მამულზე მონეული პურისაგან გამოხდილ არაყს. სოფლის მოსახლეობის მეორე ნახევარი, რომელსაც სააღდგომოს გათიბვა მოუწევდა, სააღდგომოდ ბარად ყიდულობდა იმდენ ღვინოს, რომ შაბათ დღეს აევსო ხატის მარანში ჩადგმული ქვევრი 6 ვედროს ტევადობისა და კიდევ დარჩენილიყო დაახლოებით 20 კაცისათვის იმ ღამეს დასალევად. კვირას დილით ქვევრს დეკანოზი მოხდიდა, ღვინო ნახევართუნგიანით გამოჰქონდათ და სვამდნენ. ქვევრს ბოლომდე ვერ გამოცლიდნენ. ბარიდან ხატის მარანში მოტანილ ღვინოს ერქვა **ხატის ბეგარა ან კულუხი**.

ხატის მამულის ერთობლივად დამუშავება წესად ჰქონიათ სოფ. უკანამხარშიც. ვანო დარჩიას ძე მნათობიშვილის (დაბად. 1891 წ.) გადმოცემით (17. VII. 1979 წ.), წმინდა გიორგის სახელზე გამოყოფილი იყო ორი ადგილი – **მზორე** (ყვერით სამი დღის სახნავ-სათესი) და **ზედვაკე** (დაახლოებით იმდენივე, რამდენიც მზორე). ამ ადგილებს ხნავდა, თესავდა და მკიდა სოფლის მოსახლეობა, ხოლო ძნა შემოჰქონდათ და მას მნათობიანთ კალოზე ლენავდნენ მნათეები (ყოველწლიურად 5 კაცი). ისინი ქერსვილსა და დიკას ჩაყრიდნენ ხატის მოსავლისათვის განკუთვნილ ფიცრის დიდ ბეღელში, მისგან შემდეგი დღეობებისათვის არაყს გამოხდიდნენ. ეს სასმელი იხარჯებოდა როგორც საკუთრივ წმინდა გიორგის სალოცავში ათენგენობაზე (ივლისის ბოლო შაბათს), ისე კვირაცხოვლის ხატში კვირაცხოვლობაზე (აღდგომის სწორზე), ადგილისდე-

დაში ხალარჯობაზე (მაისში), ლომისობაზე (ხალარჯობის მე-
ხუთე დღეს) და მთავარანგელოზის ხატში პეტრე-პავლობაზე.

მეორე მთხრობლის – ვანო პავლეს ძე მნათობიშვილის
(დაბად. 1911 წ.) ცნობით, აღნიშნულ ადგილებს ყოველწლიუ-
რად ამუშავებდა მნათედ გამოყოფილი თითო ოჯახი, რომელ-
საც, როგორც მეკულუხეს, ათენგენობისათვის ევალებოდა
ორი საკლავის მიყვანა და სამი ქვაბი არაყის მიტანა. მეკულუ-
ხე მნათეს სხვა დღეობებზედაც გარკვეული ვალდებულების
შესრულება უწევდა. როგორც ჩანს, სოფლის მიერ მამულების
ერთობლივად დამუშავების ადრინდელი წესი, რის შესახებაც
ცნობა მოგვანოდა ვანო დარჩიას ძე მნათობიშვილმა, მოგვიან-
ებით შეიცვალა მეკულუხე მნათეს მორიგეობით გამოყოფის
წესით.

სახნავ-სათეს ადგილებთან ერთად სოფ. ურანამხარში
წმინდა გიორგის სახელზე ჰქონიათ სათიბებიც (**ღარზედა, ხა-
ტიმთა, თივანითელი**) – სულ 20 მთიბლის სამუშაო ერთი
დღის განმავლობაში. დაწესებული მორიგეობით თითოეულ
ნაჭერს თიბავდა სამი ოჯახი, პირველ რიგში ის, ვინც სათიბის
ნაკლებობას განიცდიდა. თითოეულ ასეთ ოჯახს ეკისრებოდა
ხატის ბეგარა – თითო საკლავი და ოთხი თუნგი არაყი.

ხატის მამულების მორიგეობით გამოყენების წესი კოლ-
მეურნეობის დაარსებამდე სრულდებოდა სოფ. წინამხარშიც.
აქაური მკვიდრის იოსებ სანდროს ძე მელიქიშვილის (დაბად.
1909 წ.) ცნობით (13. VII. 1979 წ.), მელიქიშვილებსა და ზურა-
ბაშვილებს წითლიანთკარის ტერიტორიაზე კვირიას ხატის
სახელზე ჰქონიათ ყვერით ორი-სამი დღის სახნავ-სათესი ად-
გილი, რასაც ერქვა **სარიგო**. როგორც თვით სახელწოდები-
დანაც ჩანს, მას ყოველწლიურად მორიგეობით ამუშავებდა
მნათედ გამოყოფილი თითო ოჯახი, უმთავრესად მცირემამუ-
ლიანი კომლი. მელიქიშვილებისა და ზურაბაშვილების ერთო-
ბლივ დღეობაში – კვირეცხოვლობაზე მას ევალებოდა კულუ-
ხის (1 საკლავი და 20 ლ. არაყი) მომზადება.

ერთი საკლავი (ჭედილა ან ხბო), 20 ლ. არაყი და 40 ლ. ლუდი ედო კულუხად ამალლებისათვის მნათედ გამოყოფილ იმ ოჯახს, ვინც მოხნავდა ადგილის დედის სახელზე არსებულ მამულს (**გორგოთას ქედი**). ასეთივე კულუხი ეკისრებოდა მნათედ გამოყოფილ იმ ოჯახს სამხთოს ნიშში მაისში გამართულ სამხთოში, ვინც დაამუშავებდა ორ-სამ დღიურ ადგილს (**კახურალი**). კულუხად ერთი საკლავი და 20 ლ. არაყი იყო დაწესებული გიორგობისთვის (ნოემბერში) იმ შემთხვევაში, როდესაც მნათედ გამოყოფილი ოჯახი ისარგებლებდა წმინდა გიორგის სახელზე არსებული ორი დღის სახნავ-სათესი ნაკვეთით (**ბზათა**).

იმავე სოფელს ლომისის ნიშის სახელზე ჰქონდა ოთხი დღის სახნავ-სათესი ადგილი ორი უღლით და ხუთი მთიბლის სათიბი. მნათეობა უწევდა ორ ოჯახს, რომელთაგან ერთი ისარგებლებდა სახნავ-სათესით, ხოლო მეორე სათიბით. მელიქიშვილებისა და ზურაბაშვილებისათვის თითოეულ ოჯახს ლომისობაზე უნდა მიერთმიათ თითო საკლავი (ჭედილა ან ხბო), თითო ქვაბი არაყი და თითო ქვაბი ლუდი.

ხატის სახელზე გამოყოფილი სახნავ-სათესი ადგილებით სარგებლობის ასეთივე წესი არსებობდა ხანდოს ხევის სხვა სოფლებშიც. სოფლის შიგნით მამულების მორიგეობით სარგებლობის ამ წესთან ერთად მოწმდება ისეთი ვითარებაც, როდესაც მორიგეობდნენ მეზობელი სოფლების მცხოვრებნიც. მაგალითად, სოფელ სოდევეში მცხოვრებ ჯანიაშვილებს და სოფელ მეჯილაურებში მოსახლე მოთიაშვილებს სოფ. სოდევეში წმინდა გიორგის სახელზე საზიაროდ ჰქონიათ დღენახევრის სახნავ-სათესი მამული – **აძივთი**. ამ ორი გვარიდან გამოყოფილი მნათეები მას მორიგეობით ამუშავებდნენ, ხოლო მნათეს მიერ გადახდილი კულუხი (1 ჭედილა და 10 ლ. არაყი) ხმარდებოდა გიორგობაზე (გიორგობისთვის 10-ში) ერთობლივად მონაწილე ზემოხსენებულ გვარებს (სოფ. სოდევე, 18. VII. ლადო ჰავლეს ძე გვრიტიშვილი, დაბად. 1924 წ.).

სოდევესა და მეჯილაურების საადგილმამულო ურთიერთობაში შეინიშნება ერთი საყურადღებო ფაქტიც. მეჯილაურებში მცხოვრებ მოთიაშვილებსა და სოდევში მცხოვრებ ჯანიაშვილებს წმინდა სამების სახელზე ჰქონიათ სახნავ-სათიბი ადგილები. ორი დღის სახნავ-სათესი ადგილი მდებარეობდა სოფ. მეჯილაურების ტერიტორიაზე და მას მორიგეობით ამუშავებდა მოთიაშვილების გვარიდან ყოველწლიურად გამოყოფილი ორი მნათე. თითოეული მათგანი კულუხად იხდიდა ერთ ჭედილას და ოც ლიტრ არაყს. რაც შეეხება სათიბს, სოდევეს მთაში მისი მდებარეობა ხელს აძლევდა ამ სოფელში მცხოვრებ ჯანიაშვილებს, რომელთაგან მნათედ ასევე ორ ოჯახს გამოყოფდნენ და თითოეულ მათგანს იმდენივეს ახდევინებდნენ, რამდენსაც სახნავ-სათესით მოსარგებლე მნათეს.

სამეურნეო სავარგულის მდებარეობა მით სარგებლობის ფორმას განსაზღვრავდა სხვა კონკრეტულ შემთხვევაშიც. აქ შეიძლება დავიმონმოთ ისევ ზემოხსენებული გვარების ურთიერთობა. კვირიას ხატის სახელზე მოთიაშვილებს ჰქონიათ სამი დღის სახნავ-სათესი, რასაც ზოგჯერ ჯანიაშვილებს აძლევდნენ კულუხის მიღების პირობით (ჯანიაშვილები მოთიაშვილებს კვირაცხოვლობისათვის უხდიდნენ ორ საკლავს და 15 თუნგ არაყს), ვინაიდან უგზოობის გამო მოთიაშვილებს ამ ადგილიდან ძნის ჩამოტანა უჭირდათ.

სახატო მიწებით სარგებლობის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული მასალიდან აქ მხოლოდ ნაწილი გამოვავლინეთ, მაგრამ ეს მასალა სრულიად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, რომ ჯვარ-სალოცავების სახელზე გამოყოფილი სახნავ-სათიბებით სარგებლობის წესში შენარჩუნებული იყო საგვარო, სასოფლო და სათემო მიწათსარგებლობის თავისებურებანი. ეს გამოჩნდა როგორც მიწით მოსარგებლეთა თანასწორუფლებიან მორიგეობაში, ისე ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო კულუხის ერთობლივი მოხმარების ჩვეულებაში. ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ მიწების

ერთობლივი მოხმარების წესებში შემოჭრილი ჩანს ექსპლუატაციის ელემენტებიც, რაზედაც მიგვანიშნებს ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა **კულუხი** და **მეკულუხე**.

ამგვარად, სახელმწიფო მიწების იმ ძირითად ფონდთან ერთად, რაც საოჯახო სარგებლობაში იყო, ხანდოში დადასტურდა საგვარო (პატრონიმიული), სასოფლო და სათემო მიწებით სარგებლობის ფორმებიც. ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიგვიითითებს, რომ საოჯახო სარგებლობის წესთან ერთად, რაც დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის, გადმონაშთის სახით არსებობას ინარჩუნებდა ერთობლივი მფლობელობა-მოხმარების ფორმებიც, რაც გენეტიკურად უკავშირდება მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის წინაკლასობრივ საფეხურებს.



დასკვნა

ისტორიული წყაროების, არსებული ლიტერატურისა და ჩვენ მიერ შეკრებული ეთნოგრაფიული მონაცემების შედეგად გაირკვა, რომ ხანდოს ხევი წარმოადგენდა ერთ-ერთ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ის არ შედიოდა მთიულეთის ფარგლებში, როგორც ეს არასწორად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. ხანდო წარმოადგენდა ტიპიურ ხევს თავისი საზღვრებით, სოფლებით, ისტორიული ძეგლებით, გზებითა და გადასასვლელებით. ხანდოს გააჩნდა აგრეთვე ტერიტორია საკუთრივ ხანდოს ხევის ფარგლებს გარეთ, რომელსაც სახანდოო ანუ სათემო ეწოდებოდა და ერთი ტერიტორიული თემის კუთვნილებას შეადგენდა.

წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ხანდოს მოსახლეობა იყო ქართული წარმომავლობისა, ქართული კულტურითა და ყოფით. დადასტურდა აგრეთვე არაქართული წარმომავლობის გვართა არსებობაც. წყაროებთან ეთნოგრაფიული მასალის შეჯერება გვიჩვენებს მოსახლეობის სტაბილურობას, გვარების სიძველეს. ამასთან ერთად დადასტურდა მოსახლეობის მოძრაობისა და ადგილმონაცვლეობის პროცესი, რაც ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო და ამას სათანადო საფუძველი გააჩნდა (სამეურნეო პირობები, მესისხლეობა...).

ხანდოს მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებით“ სოფლიონი), ხოლო XVIII-XIX საუკუნეებისათვის უმთავრესად სახელმწიფო გლეხები. ამასთან ერთად გაირკვა, რომ ხანდოს მოსახლეობაში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საერთოდ, ადგილი ჰქონდა დიფერენცირებული საზოგადოების არსებობას. პრივილეგიური ფენის წარმომადგენელები იყვნენ ერთი მხრივ ადგილობრივი მოსახლეობიდან

გამოყოფილი პირები (გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი, მოხელე, იასაული, მღვდელი...) ისე გარედან მოსული ფეოდალური წრისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები (ერისთავი, აზნაური, მოურავი...).

ხანდოს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა მთის მინათმოქმედება და მესაქონლეობა. აქ დადასტურდა სამეურნეო სავარგულების დასვენებისა და შენაცვლებით გამოყენების წესი. მინათმოქმედებაც და მესაქონლეობაც აქ შეზღუდული იყო მცირემინიანობის გამო. ოჯახების უმრავლესობა პურს იძენდა საქართველოს ბარის რაიონებში ან ჩრდილო კავკასიაში. მეცხვარეობის განვითარების მასშტაბები კი იზრდება უმთავრესად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩრდილო კავკასიისა და ყიზლარის საზამთრო საძოვრების ინტენსიური გამოყენება დაიწყო.

მინათსარგებლობის ფორმების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფო მიწების იმ ძირითად ფონდთან ერთად, რაც საოჯახო სარგებლობაში იყო, ხანდოში დადასტურდა საგვარო (პატრონიმიული), სასოფლო და სათემო მიწებით სარგებლობის ფორმებიც. ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ საოჯახო სარგებლობის წესთან ერთად, რაც დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის, გადმონაშთის სახით არსებობას ინარჩუნებდა ერთობლივი მფლობელობა-მოხმარების ფორმებიც, რაც გენეტიკურად უკავშირდება მინათმფლობელობასა და მინათსარგებლობის წინაკლასობრივ საფეხურებს.



გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

I. წყაროები:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, ს. ყაუხჩიშვილის რედ.
2. განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა (ტექსტი იხ. ნიგნში – ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 105-110).
3. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის რედ. ტფ., 1907.
4. სამართალი ბექასი და აღბულასი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, თბ., 1963 (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ).
5. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII ს.ს.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 30, თბ., 1954).
6. ძეგლის დადება (ტექსტი იხ. ნიგნში – ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 103-119).
7. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.
8. Камеральное описание горского округа Мтиулетского участка, ч. I, 1860 г. ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. 2, Арх. № 250.
9. ვახტანგ ითონიშვილი, ხანდოს ხევი (ეთნოგრაფიული მასალები), რგ. I, II, III, 1979.

II ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1973.
2. ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971.
3. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ. 1971.
4. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
5. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
6. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.
7. ვალ. ითონიშვილი, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971.
8. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, ტფ., 1912.
9. მ. კედელაძე, ტყის ფუტკარზე „ნადირობის“ სხვადასხვა ხერხები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიაშბე“, ტ. XXIV-B, თბ., 1963.
10. ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930.
11. ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933.
12. ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934.
13. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1955.
14. გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, ჟ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1979, №1.
15. თ. სანიკიძე, გერგეტი, თბ., 1975.
16. ი. ფუტკარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964.
17. რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.
18. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

19. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928.
20. ე. ხოშტარია (ბროსე), არაგვის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV-XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მონაცემებით, „მრავალთავი“, VIII, თბ., 1980.
21. В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских свя-
тилиш; ж. "Советская этнография", 1949, №1.
22. В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете
грузинских этнографических материалов, М., 1964 (VII меж-
дународный конгресс антропологических и этнографических
наук).
23. Записка Н. С. Чилиева о горских народах по Военно-Грузин-
ской дороге, 1827 года, "Акты собранные Кавказской архео-
графической комиссией", т. VII, Тифлис, 1879.
24. Н. Никифоров, Экономический быт государственных крес-
тьян Душетского уезда, Тифлисской губернии. "Материалы
для изучения экономического быта государственных крестьян
Закавказского края", т. V, Тифлис, 1887.



დანართი

ვახტანგ ითონიშვილის მიერ 1979 წლის ივლისში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალები თავმოყრილია სამ რვეულში. ის ქვეყნდება იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს დალაგებულია მასალების ჩამწერის მიერ (რედაქტორი).

ხანდოს ხევი

(ეთნოგრაფიული მასალები)

სოფ. ქვემო წინამხარი 13. VII. 1979 წ.

გიგო შიოს ძე ქავთარაძე (დაბად. 1908 წ.)

(სოღევიდან ფასანაურში ჩასახლებული)

ხანდოს ხევის სოფლები

ხანდოს ხევში მდებარეობს 6 სოფელი:

უკანამხარი (უკანამხრის ჴევში);

დავითურები (დავითურების ჴევში);

ვეშაგურები;

წინამხარი;

სოღევე და მეჯილაურები (ეს ორი სოფელი მდებარეობს მიღმაჴევში).

სოფ. წინამხრის უბნები:

1. ძველი წინამხარი; 2. შვილდოეთი, 3. ლეგაანი, 4. ნადირიანი, 5. უნაგრისჴევი.

ძველი წინამხარი არის ძველი სოფელი, საიდანაც გამოვიდნენ ლეგაანი და უნაგრისჴევი. ლეგაანი ჴანდოს წყლის მარცხენა მხარეზე მდებარეობს.

უნაგრისჭევი იგივე ქვემო წინამწარია. იგი მდებარეობს ჯანდოს წყლის მარჯვენა მხარეს.

ნადირიანნი ჯანდოს წყლის გაღმა მარცხენა მხარეს მდებარეობს. ის უფრო ძველი უბანია, ვიდრე ლეგაანი და უნაგრისჭევი.

სოფ. წინამხრის გვარები

წინამხარში ცხოვრობდნენ მელიქიშვილები და ზურაბაშვილები.

მელიქიშვილების დანაყოფებია: ბაბრიანი, გზირიანი, მრელიანი, ობლიანი, ოქრუანი.

ოქრუანთ კომობიდან გამოყოფილი არიან ლეგაანი (ლეგაანთ უბანი).

ოქრუანთ კომობას ადრე სახლი ჰქონია მალლა, მდინარის მარცხნივ, ტყიან ფერდობზე; ამ ადგილს ეწოდება შვილდოეთი.

ზურაბაშვილებს არ გააჩნიათ დანაყოფები. მათ პირდაპირ ეწოდებათ ზურაბაანი.

ცნობები ჯანდოს ჯევისა და მთიულეთის შესახებ

ამ ჯევს ეწოდება ჯანდოს ჯევი ან უბრალოდ ჯანდო. ეს არის ჯანდოს თემი; მთიულეთს არ ეკუთვნის. მთიულეთი იწყება სოფ. ქავთარაანიდან (ქავთარაანი მდებარეობს ფასანაურის ახლოს, ფასანაურიდან ზემოთ 1 კმ-ის დაცილებით, არაგვის მარცხენა მხარეს) და გრძელდება გუდაურამდე (ჯვრის გადასავალამდე). „უწინაც ეგრე იყო და ჩემი მოსწრებითაცო“. მთხრობელი ყვება: „**მთიულეთის თემმა** ვაჟას შეუკვეთა მთიულეთის ლექსიც გამოთქვიო. ვაჟას ოცდაათი ჭედილა უთხოვია. არ მისცეს და არ გამოთქო“.

ჩუხურთანებს ვეტიყვით იქ სახლებულა, უკანამჭრის წყალს გაღმა არის. ლესრის (სალი კლდე) ნამზღვლევი (მეწყე-რი) გამოსულა, სოფლისთვის ზიანი არ მიუყენებია. ერთი თა-თარი მოსულა. ნამზღვლევი უკვე გამაგრებული ყოფილა. თა-თარს სოფლისთვის უთხოვია ნამზღვლევიზე დამაყენეთო. და-აყენეს ეს თათარი. იმისი მოდგმა გადარჯულდა, ქართველები გახდნენ. ეხლა მათ თათარიანი ეწოდებათ და მნათობიშვილო-ბაზე იწერებიან.

სოფ. წინამჭარი 13. VII. 79.

იოსებ სანდროს ძე მელიქიშვილი (დაბად. 1909 წ.)

სოფ. წინამჭარი (ზოგადი ცნობები)

ძველი წინამჭარი მდებარეობს ჯანდოს ჯევის მარცხნივ. ახლა იქ 6 კომლი ცხოვრობს. ძველად მჭიდროდ დასახლებუ-ლი ეს სოფელი 50 კომლს ითვლიდა (მთხრობლის ახალგაზ-რდობაში).

1931 წლიდან, დიდი ნიაღვრობა რომ იყო, მაშინ დაიწყო ხალხმა გასახლება. დაბლა, ჭალაზე სულ მინდორი იყო, რაც ნიაღვრობის დროს წყალმა დაამენყრა.

როდესაც წინამჭარში 50 კომლი ცხოვრობდა, მისი ერთ-ერთი უბანი – **შვილდოეთი** ოქრუაშვილების სამოსახლოს წარმოადგენდა, ოქრუაშვილები შემდეგში დაიწერნენ მელი-ქიშვილობაზე (ამის შესახებ ქვემოთ).

წინამჭრის მეორე უბანია **ლეგანი**. მთხრობლის ხსოვ-ნით აქ 3 კომლი ყოფილა. ისინი იყვნენ ოქრუანთ განაყრები (ბიძაშვილები), რომლებიც შვილდოეთიდან გამოსულან და ახალ უბნად დასახლებულან.

წინამჭრიდან მელიქიშვილები ჩასახლებულან **ნადირა-ანთ უბანში**. წინამჭრის ხალხი ჩამოსახლდა აგრეთვე ახალ წი-

ნამწარში, რომელსაც ახლა ეწოდება ქვემო წინამწარი. ადრე კი მხოლოდ ერთი წინამწარი იყო. იმის შემდეგ, რაც გაჩნდა ახალი უბანი, მას შეარქვეს ახალი წინამწარი, ანუ ქვემო წინამწარი, ხოლო დედა სოფელს ძველი წინამწარი, ანუ ზემო წინამწარი ეწოდა.

ქვემო წინამწარში ახლა 2 უბანია: ნადირაანი და უნაგრისჯევი. უნაგრისჯევი ჯანდოს წყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

ძველი წინამწარი

ზემო წინამწარის გვერდით, ციხესთან, იმ ადგილზე, რომელსაც ეწოდება მთავარნგელოზის ქედი, გაშენებული იყო ძველი წინამწარი. ლეკიანობის დროსაც ხალხს ამ ციხე-სიმაგრესთან უცხოვრია. ციხესთან არის მთავარანგელოზის ეკლესია, შემორჩენილია ნასახლარები და ნაკალოვრები (ველის კალო), სადაც ხარებით ლენავდნენ. „გორა რაკი არის, იქვე უნიავებიან პურები“. ნასახლარები ხატის ირგვლივაა, იქვეა აკლდამებიც.

ძველ წინამწარში ადრეიდანვე მელიქიშვილებს უცხოვრიათ. ხალხს აღარ ახსოვს ძველ წინამწარში რა და რა უბნები იყო. არც ის იციან გვარები უბნებად იყო დასახლებული თუ არა. არც სხვა გვარების შესახებ (გარდა მელიქიშვილებისა) არის რაიმე ცნობა შემონახული. ის ერთადერთი ციხე სოფლისა იყო. არ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ეს ციხე რომელიმე გვარისა ყოფილიყო.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები

სახლიკაცი = ძმა-განაყოფი; ახლო განაყარი ბიძაშვილი;

ძმათაშვილები = ალალი ბიძაშვილები;

ბიძაშვილები = ძმათაშვილები ან ძმათა შვილიშვილები;
ერთი ოჯახის შთამომავლობა;

გარებიძაშვილები = შორეული ბიძაშვილები (100 წელი მაინც უნდა გავიდესო).

სოფ. წინამწრის გვარები

მელიქიშვილები

მათ მოსულებად არ თვლიან. ისინი თავიდანვე აქაურები ყოფილან. მთიულეთში, გუდამაყარში და ქსანში კი მელიქიშვილები ძირეული გვარი არ არის.

მელიქიშვილების კომობანი:

ბაბრიანი, თომაანი, გზირიანი, ნადირიანი; ჯამარიანი, ხულიანი, ობლიანი, ჩაჩქანანი.

ბაბრიანი ერთიმეორის ბიძაშვილებია (ბიძაშვილები ნიშნავს ერთი ოჯახის შთამომავლობას), ხოლო ბაბრიანთათვის სხვა კომობანი (თომაანი, ობლიანი და სხვ.) არიან მეგვარეები. ე. ი. კომობა ეწოდება ახლო ნათესავების გაერთიანებას.

მელიქიშვილები ცხოვრობენ ზემო ანუ ძველ წინამწარში, ნადირაანთში და უნაგრისწყევში. მელიქიშვილები სხვაგანაც გადასულან (წითლიანთკარში, ფასანაურში და სხვ.).

ზურაბაშვილები

წინამწარში მათ 3 კომლს უცხოვრია (მათ ეწოდებოდათ ზურაბიანი). სხვა დანაყოფები ამ გვარში არ არსებობდა. ზურაბაშვილები მხოლოდ ზემო წინამწარში არიან. ბევრი წასულა შირაქში.

ოქრუაშვილები

ოქრუაშვილების 10-მდე კომლი ზემო წინამწარში ცხოვრობდა; შემდეგ იქიდან გავიდნენ შვილდოეთში, საიდანაც განსახლდნენ ლეგაანში. ბოლოს ქვემო წინამწარშიც ჩავიდნენ.

მაშინ როდესაც მთხრობელი 20 წლისა იყო, ოქრუაშვილები მელიქიშვილობაზე დაინერნენ შემდეგი მიზეზის გამო:

იოსებ ოქრუაშვილს მოუკლავს ხევსურეთში ხევსური (შეიძლება ცხვარში იყოო?). ხევსურებმა სისხლის აღების მიზნით დაიწყეს მკვლელის ძებნა. ოქრუაშვილებს საფრთხე დაემუქრათ, ვინაიდან ხევსურები გვარს ეძებენ კაცს კი არა" (ე. ი. ნებისმიერი მოგვარის მოკვლით შეასრულებდნენ სისხლის აღების წესს). შეშინებულმა ოქრუაშვილებმა მიიღეს მელიქიშვილობა. ოქროაშვილების ერთი ნაწილი მანგლისში გადასახლდა და შეინარჩუნა თავისი გვარი. ისინი დღესაც მოდიან მთავარანგელოზის ხატში (წინაპართა სალოცავში), მოჰყავთ კურატი და ჭედილები, რომელსაც კლავს ხატის ადგილობრივი დეკანოზი. ერთხელ მათ აქაური ოქრუაშვილები მოუკითხავთ, ეს უკანასკნელნი კი მელიქიშვილებად იწერებოდნენ. გაირკვა რომ სტუმარი სწორედ ოქრუანთ კაცს (მელიქიშვილობაზე რომელიც იწერებოდა) გამოლაპარაკებია.

ოქრუაშვილების გვარიდან ცალკე კომობად გამოყოფილნი არიან **ლეგაანი**.

წინამწარში მოსული გვარები:

სულ მოსული არის 2 კომლი: **მოთიაშვილები** მეჯილაურებიდან და **წიკლაური** გუდამაყრიდან. აქ ორივენი ძესიძედ მოსულან. შემდეგში ისინი ქვემო წინამწარში ჩამოსახლდნენ (მანამდე ზემო წინამწარში ცხოვრობდნენ).

დასახლების სტრუქტურა ძველ (ზემო) წინამწარში

სოფ. ძველი წინამწარი დაყოფილი იყო უბნებად. ერთი გვარის ხალხი ერთიმეორის მეზობლად – მჭიდრო უბნად ცხოვრობდნენ. ყველაზე დიდი იყო მელიქიშვილების უბანი. მათ გვერდზე ცხოვრობდნენ ზურაბაშვილები, ხოლო მათ ქვემოთ ოქრუაშვილები.

სოფლის სასაფლაო

სოფლის სასაფლაო ერთია, სასოფლოა, მაგრამ მაინც დაყოფილია გვარების მიხედვით. მელიქიშვილებს, ზურაბაშვილებს და ოქრუაშვილებს ცალ-ცალკე ადგილი ჰქონიათ დაჭერილი. იმის შემდეგაც, რაც ოქრუაშვილები მელიქიშვილობაზე დაინერნენ, სასაფლაო მაინც გამოყოფით შეინარჩუნეს.

სოფ. წინამწრის სალოცავები:

1. მთავარანგელოზის ეკლესია, 2. კვირია (ხატი), 3. ადგილისდედა (ხატი), 4. სამხვთო (ხატი), 5. ლომისა (ხატი), 6. წმინდა გიორგი (ხატი), 7. ჯევის ანგელოზი (ხატი).

ყველა ეს სალოცავი ეკუთვნოდა სოფ. წინამწარს. მთავარანგელოზის ეკლესიაც წინამწრისა იყო, მაგრამ წინამწრელებთან ერთად მასში წილდებულად ითვლებოდნენ ვეშაგურელებიც.

მთავარანგელოზობა

მთავარანგელოზის ეკლესიას აქვს 3 კარი. 1 კარი (ჩრდ. მხრიდან, ერქვა უკანაკარები) ეკუთვნოდათ მელიქიშვილებს და ზურაბაშვილებს; 2 კარი (სამხრ. მხრიდან) იყო ოქრუაშვილებისა; მე-3 (დას. მხრიდან) იყო სოფ. ვეშაგურებისა.

ეკლესიაში ყველა თავის კარებზე მიდიოდა და ყველას თავისი დეკანოზი უხვდებოდა.

ერთ „დროულ“ (ე. ი. ხნიერ) კაცს აირჩევდნენ და ის იყო სიკვდილამდე დეკანოზად.

მთავარანგელოზობა დღეს (ეს დღე მოდის 29 ივნისს ძველი სტილით, 12 ივლისს ახალი სტილით; წელს იზეიმეს 12 ივლისს) ეკლესიაში მღვდელი არ მიდიოდა. ის დეკანოზებს არ შეეცილებოდა. დღეობებს დეკანოზები უძღვებოდნენ. მიცვა-

ლებულის დასაფლავების დღესაც საკლავს დეკანოზი კლავდა, წესს ის ასრულებდა, მღვდელს ყურს არ უგდებდნენ.

მღვდელი მიდიოდა უმთავრესად სოფ. უკანამჭრის ეკლესიაში, სადაც ის ახალდაქორწინებულთა ჯვრისწერის წესს არსულებდა. მღვდელი სახლშიც მიჰყავდათ მომაკვდავის საზიარებლად.

ეკლესიის კარებთან მისული ხალხი მიიტანდა ქადებს და მიიყვანდა საკლავებს. ყველა თავის ქადას დეკანოზს გააჭრევინებდა, სანთლებსაც დეკანოზები აუნთებდნენ; შემდეგ ქადისა და ხმიადის თითო ნაჭერს დეკანოზს დაუტოვებდნენ, დანარჩენს საერთო სუფრაზე დაანყობდნენ და ჭამა-სმას ერთად შეექცეოდნენ. საკლავებსაც დეკანოზი დაკლავდა.

მელიქიშვილები და ზურაბაშვილები ყველაფერში ერთად მონაწილეობდნენ. აქაც ერთად მიდიოდნენ (ზურაბაშვილები ცოტანი იყვნენ და მელიქიშვილებთან ერთობდნენ). ისინი იმდენად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ ერთიმეორეში ქალსაც არ თხოულობდნენ. საერთოდ მეზობლები ერთმანეთში ქალის თხოვნას ერიდებოდნენ. ასეთი ურთიერთობა არსებობდა მელიქიშვილებსა და ოქრუაშვილებს შორისაც. ისინი გვარით თავთავადნია, ქალი ერგებათ ერთიმეორეში, მაგრამ მაინც არ ქორწინდებიან ერთიმეორეში მეზობლობის გამო.

ხატის მამულები

კვირიას სახელზე იყო სახნავი ადგილი (2 დღისა 2 უღლით). 2 დღის სახნავს რომ ვამბობთ, ეს გულისხმობს მოხვნას, დათესვას და დაფარცხვას. ამ ადგილს წითლიანთკარში ერქვა „სარიგო“. ყოველწლიურად მას თითო კომლი ხნავდა. მოხნავდა უფრო ის, ვისაც მამულის ნაკლებობა აწუხებდა. „ის უფრო მიეხარბებოდა, მე მომახვნევინეთო“ მოსავალს ის თავისთვის მოიწევდა, მაგრამ მას **კულუხი** ედო. კულუხი 1 ხბოს ან 1 ჭედილას უდრიდა. ამ საკლავს ის დაუკლავდა კვირეცხო-

ვლობაზე მხოლოდ მელიქიშვილებს და ზურაბაშვილებს. ამ დღეობაში ოქრუაშვილები არ მოინანილებოდნენ. მათ თავიანთი მამულები ჰქონდათ და წინამკრის ხატის მამულებში არ ერეოდნენ.

კვირეცხოვლობა მოდიოდა აღდომის სწორზე (აღდგომიდან 1 კვირის შემდეგ). ვინც ხატის მამულით სარგებლობდა, იმას ერქვა **მნათე**. მნათეობა 1 კომლს უწევდა. 1 მნათეს უფლება ჰქონდა დაემუშავებინა მხოლოდ ერთი ხატის მამული. ერთდროულად რამდენიმე ხატის მამულის დამუშავება ერთ ოჯახს არ შეეძლო. მნათეს კვირეცხოვლობაზე 1 საკლავთან ერთად ევალებოდა 20 ლ. არაყის მიტანა.

ადგილის დედას ჰქონდა 2-3 დღის სახნავ-სათესი 2 უღლით. ამ მამულს ჰქვია „**გორგოთას ქედი**“. ყოველწლიურად მას მოიხმარდა თითო მნათე (თითო ოჯახი). ადგილის დედის სახელზე იხდიდნენ **ამალლებას** (დღეობაა). მნათეს ევალებოდა გამასპინძლება 1 საკლავით (ჭედილა ან ხბო), 20 ლ. არაყით და 40 ლ-მდე ლუდით.

სამხთოს იხდიდნენ იქ, სადაც სამხთოს ნიშია (ხატი). იმ ადგილს, სადაც ეს ნიში დგას ეწოდება „**კახურალი**“. ის 2-3 დღის სახნავ-სათესია 2 უღლით. ამ ადგილსაც მნათე ამუშავებდა. სამხთოს იხდიდნენ მაისში. მნათეს ევალებოდა 1 საკლავი (ხბო ან ჭედილა), 20 ლ. არაყი და 40 ლ-მდე ლუდი.

ლომისის ხატი არის **ლომისის ქედზე**. ლომისობას იხდიდნენ იმ დღეს, როდესაც მღვთაში იმართებოდა ლომისობის დიდი დღესასწაული. ლომისის სახელზე იყო 4 დღის სახნავ-სათესი ადგილი ორი უღლით. ლომისობას ჰქონდა აგრეთვე სათიბი 4-5 მთიბლისა. ერთი მნათე სათიბს აიღებდა, მეორე კი სახნავს. ორივეთი სარგებლობა ერთდროულად ოჯახს არ შეეძლო. რომელი მნათეც სახნავს აიღებდა, მას ევალებოდა სოფლისთვის 1 ქვაბი არაყი, 1 ქვაბი ლუდი და 1 საკლავი (ხბო ან ჭედილა). ასეთივე მოვალეობა ეკისრებოდა სათიბის ამღებ მნათეს. ე. ი. ლომისობას ხმარდებოდა 2 საკლავი, 2 ქვა-

ბი არაყი და 2 ქვაბი ლუდი. ამ დღეობაშიც მხოლოდ მელიქიშვილები და ზურაბაშვილები მონაწილეობდნენ.

წმინდა გიორგის ხატი მდებარეობს **ბზათაში** (ადგილის სახელწოდებაა). მის სახელზე იყო 2-3 დღის სახნავი ყვევართ (2 ულლით). გიორგობის დღეობა მოდიოდა ნოემბერში. მნათეს ეკისრებოდა 1 საკლავი და 20 ლ. არაყი. დღეობაში ხალხს მიჰქონდა თავთავისი ყველი, პური, ქადა. ასე იცოდნენ ყველა დღეობაში.

ხევის ანგელოზის სახელზე მამულები არ იყო. ხევის ანგელოზის ნიში ხევში მდებარეობს. აქ იხდიან პეტრეპავლობას. ნიშთან ანთებენ სანთლებს, გასერავენ კვერებს.

ზემოაღნიშნული ხატების სახელზე ოქრუაშვილებსაც ჰქონიათ მამულები; ისინი ამავე წესით ირიგებდნენ მნათეობას, მაგრამ მთხრობელმა არ იცის რამდენი დღის სახნავები ჰქონდათ ოქრუაშვილებს ხატის სახელზე.

მნათეობის (რიგობის) წესი დღეს

საკოლმეურნეო სისტემის შემოღების შემდეგ მამულების მორიგეობით მოხმარების წესი მოისპო, მაგრამ ხალხმა შეინარჩუნა მორიგეობის შემდეგი წესი: წელიწადში ერთხელ გამოყოფენ 2 ოჯახს მნათეებად. თითოეულ მათგანს ევალება 1 საკლავი და 2 ლ. არაყი. პეტრეპავლობაზე ეკლესიასთან გამართულ ხატობაში ეს მნათეები უმასპინძლებიან სოფლის მოსახლეობას. ამავე დღეობაში ზოგი „**შეხვენილიც**“ (ვისაც აღთქმა, პირობა აქვს დადებული, რომ ამ დღეობაში კურატს მოიყვანს) მოდიოდა კურატითურთ, ზოგიც ბალებს გაურევდა ხატში (ხატში გასარევად მიყვანილი ბავშვი აუცილებლად მონათლული უნდა ყოფილიყო. ამ ბავშვის მამას მოჰყავს საკლავი, მოაქვს სანთელი და ფული; დეკანოზი დალოცავს, ხატში მონაწილედ აქცევს ბავშვს). ხატში გარევა ნიშნავს შემ-

დეგს: დეკანოზი ბავშვს თმას შეაჭრიდა, რაც ამ ბავშვის ხატის წევრად ზიარებას ნიშნავდა.

ტყით სარგებლობის წესი

ტყე იყო სასოფლო. ოჯახს და გვარს ტყე საკუთრებაში არ ჰქონია. ვისაც შეშის მოჭრა სურდა, **სატყეოში** მიდიოდა და „**ლესნიჩისაგან**“ (მეტყევისაგან) ბილეთს (ნებართვას) აიღებდა. ბილეთით ის წარსდგებოდა „**აბეშჩიკის**“ წინაშე, რომელიც ხეებს დანომრავდა. მხოლოდ დაბერებული ხეების მოჭრა შეიძლებოდა.

სახნავ-სათესი ადგილების გაფართოების მიზნით იცოდნენ **ახოს აღებაც** (ტყის გაჩეხვა, ამოძირკვა, გადაწვა).

მამულების საძოვრებად გამოყენების წესი

საქონლის საძოვრად იყენებდნენ ყამირს. **ჩირდილი** (სოფლის ერთი მხარე) რომ მოიხვნებოდა, **ჯავიათი** (სოფლის მეორე მხარე) – მზვარე, ყამირად დარჩებოდა. მეორე წელს შებრუნებით მოიხმარებოდა და ასე მორიგეობით იხმარებოდა ყოველ წელს. მართალია ეს ადგილები კომლობრივ იყო დაყოფილი, მაგრამ ხალხი შეთანხმებული იყო იმაში, რომ მორიგეობით მოეხმარათ ეს ადგილები სახნავად და საძოვრად. ცხვარსაც აქ აძოვებდნენ. მთები ითიბებოდა. იქ ცხვარ-ძროხას არ გაუშვებდნენ, დაცული იყო, სათიბებს **მეველე** იცავდა. მეველეს ევალებოდა ყანების დაცვაც. სოფლიდან ერთი მეველე იყო გამოყოფილი. მას ჯამაგირს (კომლზე 1 ფუთ პურს) სოფელი აძლევდა. მეველედ გამოყოფილი კაცი თავის მოვალეობას ასრულებდა მაისის პირველიდან ნოემბრის დამდეგამდე – თივა-ძნის შემოტანამდე.

ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავდა, სხვაგან მიდიოდა, მთას ქირობდა, საბალახეს იხდიდა ცხვრით.

საფორაქო

საფორაქო ერქვა სხვაგან გადასახლებულის მამულს. სხვაგან წასული კაცი თავის მამულს ვერ გაყიდდა, ის რჩებოდა საფორაქოდ, რომელსაც გადასცემდნენ იმ პირს, ვისაც სახნავ-სათესი ადგილი არ გააჩნდა ან არ ჰყოფნიდა. უფრო ხშირად საფორაქოს აძლევენ ოჯახიდან გამოყოფილ ახალკომლს. ამრიგად, საფორაქო ეს არის სოფლის საფონდო მამული. სოფლიდან გადასახლებულ კაცს შეეძლო გაეყიდა მხოლოდ სახლი და მისი ეზო-ბაღი.

ნატიალევი და ბაითალმანი

იმ ადგილს, სადაც ოჯახი ამოწყდებოდა, **ნატიალევს** უწოდებდნენ. ამ ადგილს ბიძაშვილობა ხმარობდა მორიგეობით. ნატიალევის სინონიმია **ბაითალმანი**, რაც ნიშნავს უპატრონო, მიგდებულ ადგილს.

სოფ. ვეშაგურები 14. VII. 79 წ.

ვანო ზაქარიას ძე ვეშაგური (დაბად. 1908 წ.)

სოფ. ვეშაგურები მდებარეობს **მდ. ბალაანთჯევის** მარცხენა მხარეზე. სოფელს მარცხენა მხრიდანაც ჩამოუდის წყალი – **დობერნი**. ეს წყალი მოედინება მთა **ჩანჩხიანიდან** (მეორენაირად ეწოდება წყალთღელე, ბევრი წყაროების გამო). დობერნის მეორე სახელწოდებაა **დობრისჯევი**, ან **დობერთჯევი**, რომლის მარცხენა სანაპიროზე დგას ერთადერთი სახლი (საკუთრივ მთხრობლისაა). დობრისჯევის მარჯვენა მხარეზე გაშენებულია სოფ. ვეშაგურები, რომელსაც მარჯვნივ ჩამოუდის მდ. ბალაანთჯევი. ვეშაგურელები ბალაანთჯევს უწოდებენ მდ. ჯანდოს ჯევის იმ მონაკვეთს, რომელიც მათი სოფლის ტერიტორიაზე მოედინება.

სოფ. ვეშაგურის ტოპონიმები

სოფლის აღმოსავლეთ მხარეზეა მთა **დობერნი**. ამ მთის მაღლობები სათიბებს ეჭირა, ქვედა ნაწილი იხვნებოდა. ყანების მომკის შემდეგ ცხვარ-ძროხას აძოვებდნენ. ახლა სულ გაასაძოვრეს. არის ტყეც. დობერნის ერთ-ერთი ფერდობი – **წყალთკარი** საძოვრად და სახნავად გამოიყენება. არის ტყეც. წყალთკარი ეკუთვნოდა როგორც სოფ. ვეშაგურებს, ისე სოფ. წინამწარს – ახლა საძოვარია. წყალთკარი ეწოდება ბევრი წყაროების გამო. სოფლის სამხრეთით არის მთა **ბოჩეთი**. ამ მთის ქვედა მხარე სახნავ-სათესი იყო. ზედა მხარე სოფ. სოდევეს ეკუთვნოდა (ზედა მხარე სათიბი იყო). ქვედა ნაწილი – სახნავი და ტყე კი ვეშაგურებისა იყო.

ჩრდილოეთით აღმართულ მთას ეწოდება **კიბურნი**. ამ მთის ქვედა მხარე სახნავია, ზედა მხარე კი – სათიბი. **გორატყე** – ადგილი სადაც მდებარეობს ლომისის ნიში.

მთა დობერნის სახნავ-სათესი ადგილების სახლები:

ჩირდილნი, ნასვილარი, დიდახო, ახო, ზედვაკე, ბაისამთელე, კალო, ორმოანი, წყალთკარი (დობერნის ერთ-ერთი ფერდობია, რომლის ქვედა მხარე იხვნებოდა).

დობერნის სათიბების სახელები: ჩანჩხიანი, ტყიანი, გლუვი, სილიკნი, კალო.

მთა კიბურნის ადგილები: ნახიზნარი (სახნავი, საძოვარი), საკეფავი; ტყიანია და იმიტომ ეწოდებაო (სახნავი), წყალთელე (სათიბი), გლუვი (სათიბი იყო ახლა ცხვრის საძოვარია, გლუვი უტყეო ადგილია და ამიტომ ეძახიან გლუვს).

მთა ბოჩეთის ადგილები: გორგოცა (სახნავი იყო, ახლა ცხვრის საძოვარია), ნაყორნი (სახნავი იყო, ახლა საძოვარია), დიდველა (სახნავი იყო, ახლა საძოვარია), გვერდომინა.

ვეშაგურების კომობანი

სოფ. ვეშაგურებში მხოლოდ ერთი გვარი ცხოვრობს – ვეშაგურები. ამჟამად 8 კომლია. გადმოცემით მათი წინაპარი ყოფილა ქისტი (ინგუში). ინგუშეთში მას კაცი შემოკვდომია და აქ შემოხიზნულა. სოფლის თავში რომ ქვითკირის ნაშალი დგას, იქ მდგარა. მას სახელად რქმევია **შაგური**. ამაზე მოდიან **ვეშაგურები**. მეორე ვერსიით, **ბუჩეთში** არის ნამოსახლარები, რომელსაც ახლა ჰქვია **ნაყორი**. იქ დასახლებულა ძესიძედ მოსული ქისტი ცოლითა და შვიდი შვილით. შემდეგ გადმოსახლებულა ახლანდელი სოფ. ვეშაგურების თავში, სადაც ბოლომდე **ბერიანნი** მდგარან. ქისტები რომ შეხვდებოდნენ ვეშაგურებს, პატივს სცემდნენ – ჩვენები ხართო. ვეშაგურების კომობანია: **გიგოლიანი, გამახარიანი, მჭედლიანი, ხიზანიანი, ბერიანი, გვიზნაანი, მიხაანი, ფაცხვერიანი, ზალიკიანი**.

მჭედლიანთ ადრე ერქვათ ბალაანი. ისინი გალმა ცხოვრობდნენ და მათი სახელის მიხედვით ხანდოს წყლის ამ მონაკვეთს ეწოდა ბალაანთვევი.

ვეშაგურებს ერთმანეთში ქალი არ უთხოვიათ. ისინი მელიქიშვილებთანაც არ ქორწინდებოდნენ, ვინაიდან ორივე ამ გვარს ერთი საერთო სალოცავი – **მთავარანგელოზი** აქვთ. მას ეძახიან ხანდოს სალოცავს, ვინაიდან მთელ ხეობაში მხოლოდ ეს ერთი სალოცავია მთავარანგელოზის სახელწოდებით. სხვა მთავარანგელოზი ჯანდოს ხეობაში არ არის.

სოფ. ვეშაგურების მიდამოები

უბეთანა – ეწოდება მამულს, სადაც დასახლდა დავითური ალექსი, გამოსული სოფ. დავითურებიდან. ადრე კი უცხოვრიათ ფაცხვერიანთ.

ჭაობი ეწოდება იმ ადგილს, სადაც მჭედლიანი ცხოვრობენ.

რიყე ეწოდება იმ ადგილს, სადაც სახლს აშენებს იოსება დავითური.

ჯამარანთეული – ეს ადგილი მჭედლიანთ გიროდ აიღეს ჯამარიანთაგან (ჯამარიანები მელიქიშვილებია, ქალაში ცხოვრობენ წითლიანთკარს).

სოფ. ვეშაგურების რელიგიური დღესასწაულები და სალოცავები

სოფ. ვეშაგურების სალოცავებია: **ადგილის დედა** (წმ. გიორგი); **მთავარნგელოზი**; **ციხისათორმენამე**; **ლომისის ნიში**; **სამხთო**; **კვირია**; **ყალაზურთკარის წმ. გიორგი**.

მთავარანგელოზის გარდა, არც ერთ სხვა სალოცავს მამული არ გააჩნდა. მთავარნგელოზის სახელზე კი სოფელს მამული ჰქონდა წითლიანთკარში. დღეობები იმართებოდა შემდეგნაირად:

ადგილის დედაში მარიამობას იხდიდნენ (მარიამობისთვის 15-ში). მარიამობისათვის სოფელი შეაგროვებდა 3 ფუთ ქერს ან ქერსვილს. მას ჩააბარებდნენ 2 კაცს – **დასტურებს**, რომელთაც მორიგეობით უწევდათ ამ მოვალეობის შესრულება. დასტურები გამოხდიდნენ ამ მარცვლეულისაგან არაყს. ისინივე მოხარშავდნენ სოფლის მიერ ნაყიდი საკლავის ხორცს. პური, ქაღები, ყველი ოჯახებს თავ-თავისი მიჰქონდათ სალოცავში, სადაც სუფრა იმართებოდა. დეკანოზობდა უფროსი კაცი. ის სანთელს ანთებდა, საკლავს მარჯვენა ყურს შეუტრუსავდა, ხოლო თავს სხვა მოაჭრიდა. დეკანოზი ამ დღესასწაულის დროს გასამრჯელოს არ იღებდა. დღეობისას ხატში შემოსწრებული სტუმრებიც მონაწილეობდნენ. ქალები ცალკე სხდებოდნენ, ხატიდან დამორებით. ხატის სიახლოვეს ქალების მხრიდან უშვებდნენ მხოლოდ ბავშვებს და მოხუც ქალებს. (14-15 წლიდან ვიდრე ხანდაზმულობამდე ქალი უწმინდურად ითვლებოდა). მამაკაცების სუფრაზე ახალგაზ-

რდები სხდებოდნენ. სუფრის თავში დეკანოზი სანთელს აანთებდა და დაილოცებოდა.

ციხისათორმენამეში ამაღლებას იხდიდნენ (აღდგომის მე-5 კვირას). ამ დღეობისათვის ოჯახები მორიგეობდნენ. მორიგე ოჯახს უნდა მოეყვანა 1 ჭედილა ან ხბო. სასამელი ოჯახებს მიჰქონდათ, რასაც **კულუხი** ერქვა.

ლომისის ხატში იხდიდნენ **დიდლომისობას** (ამაღლების შემდეგ კვირანახევარი რომ გავიდოდა). საკლავი (ჭედილა ან ხბო) მიჰყავდა მორიგე ოჯახს, ხოლო სასამელი და ქადა-პურები ოჯახებს თავ-თავისი მიჰქონდათ.

სამხთოში აიტანდნენ არაყს, ქადას, სანთელს. ქადაზე ჯვარს გამოსახავდნენ, გასერავდნენ, ქადის გულს იქ დაყრიდნენ ცოტათი. სანამ სანთელი დაიწვებოდა იქ იყვნენ, მერე კი წამოვიდოდნენ. აქ ლოცულობდნენ, მაგრამ დღეობა აქ არ იყო დაწესებული.

კვირიაში იხდიდნენ **კვირეცხოვლობას** (აღდგომის სწორზე).

კვირეცხოვლობაში მორიგე საკლავს კლავდა, სასამელი და ქადა-პური კი ხალხს მოჰქონდა ისევე როგორც ლომისობის დროს.

ყალაზურთკარის წმ. გიორგიში ასევე მიდიოდნენ სალოცავად, როგორც სამხთოში.

მთავარანგელოზის ხატში იხდიდნენ **პეტრეპავლობას** (29 თიბათვეს ძველი სტილით). მთავარანგელოზის სახელზე ვემაგურებს წითლიანათკარში ჰქონდათ სასოფლო მამული (სახნავ-სათესი). აქ იდგა ერთი კაცი – პოვლია ვემაგური (ახლა იქნებოდა 90 წლისა). წითლიანთკარში ცხოვრობდნენ აგრეთვე მეჯილაურებიდან გვრიტიშვილები. ვემაგურების სახნავ-სათესი ადგილი იყო 3 დღისა ყევარი ხარით. ამ ადგილს ხნავდა პოვლია ვემაგური და სოფელს უხდიდა კულუხს – წელიწადში 1 ჭედილას და 3 თუნგ არაყს (1 თუნგი = 4 ლ.). პოვლიას შვილებმა აღარ შეასრულეს ეს მოვალეობა. კულუხი

ხმარდებოდა პეტრეპავლობის დღესასწაულს მთავარნგელოზის სალოცავში. ამ დღეობაში ერთი კაცი დეკანოზობდა. მოდიოდნენ სხვა სოფლებიდან ისინი, ვინც **შახვენილი** იყო (**შახვენილი** – კაცი რომელსაც პირობა აქვს დადებული, რომ სალოცავში მოვა დღესასწაულის დროს საკლავ-საწირით). აქვე მოჰყავდათ ბავშვები და პატარძლები **ხატში გასარევად** (ხატის ყმებად აქცევდნენ). ბანცურში ჩასახლებული ვეშაგურებიც აქ მოდიოდნენ სალოცავად.

ახლა შედარებით ცოტა რაოდენობის მხვენარი მოდის ხატში და ყველა ერთად ჯდება. ადრე კი ერთ სუფრას შემოუსხდებოდნენ მელიქიშვილები და ზურაბაშვილები, ცალკე სხდებოდნენ ოქრუაშვილები და ცალკე ვეშაგურები.

ხანდოს მთავარნგელოზი ითვლებოდა ხანდოს ხევის მთავარ სალოცავად.

ოჯახი

ვეშაგურებში ძველად ყოფილა გაუყრელი ოჯახები. ვეშაგურები (4 ძმა ერთად) ერთ კომად ყოფილან. მათი ოჯახის უფროსები იყვნენ **გიგოლა** (მთხრობლის მამის ძმა), **ზაქარია** (მამამისი), **ნინია** (მთხრობლის პაპა). გიგოლა და ნინია გაუყრელად ცხოვრობდნენ და შემდეგში გაყრილიყვნენ. გიგოლადან წამოვიდნენ გიგოლაანი. გიგოლა უფროსი იყო ნინიაზე და ამიტომ კომობას დარქვეს გიგოლაანი.

ვეშაგურებში მთხრობელს ახსოვს 10 კომლი.

ცხოვრების პირობები

მეურნეობა – მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ქერსვილი.

ერთ დღიურ მიწაზე მოჰყავდათ საშუალოდ ათი ფუთი მარცვლეული. თესლად ერთ დღიურზე საჭირო იყო ორი ან ფუთნახევარი. მოსავალი არც ერთ ოჯახს არ ჰყოფნიდა, ამი-

ტომ ბარიდან და ვლადიკავკაზიდან მოჰქონდათ სიმინდი. პურის მაგივრობას კი ადგილობრივი მოსავალი განეკვდა. სიმინდი წითლიანთკარამდე ურმებით მოჰქონდათ, ხეობაში კი შემოჰქონდათ ხარების მარხილებით და ცხენის საპალნით. ოჯახს ათ სულზე მეტი იშვიათად ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც ზამთარში აჭმევდნენ ჩალას, თივას, ბზეს. მთხრობლის ბავშვობაში ვეშაგურებში ცხვარი ცოტა ჰყოლიათ. მხოლოდ მჭედლიანთ ჰყოლიათ 100-200 სული. 100 სულამდე ჰყოლიათ ბერიანთაც. მჭედლიანთ და ბერიანთ ზამთრობით ყიზლარში გადაჰყავდათ ხვარი, ვინაიდან სოფელში ცხვარს საკვები არ ჰყოფნიდა.

მამულებით სარგებლობის შესახებ

ბანცურში განსახლებული ვეშაგურები თავიანთ მამა-პაპურ ადგილებს არ თმობდნენ. მას აქირავებდნენ ვეშაგურებზე.

კარის მამული=ახლომდებარე; მთის მამული=შორსმდებარე.

ამ სოფელს ბატონი არ ჰყოლია. მთხრობელს არაფერი გაუგონია ბატონობაზე.

გზა ქსნის ხეობისაკენ


I **მარშრუტი:** ვეშაგურებიდან მთა კუდეთის ავლით მგზავრი მოხვდება სოდევეს მთაზე, იქიდან თავქვე ჩადიან სოფ. მახიარეთში(სოფელი ქსნი ხეობაში). 3 სთ-ის სავალია.

II **მარშრუტი:** უკანამხრიდან **მზორეს** გავლით ავალთ მის სათავეში და იქიდან ჩავალთ ქსნის ხეობის სოფ. უკანუბანში. ესეც 3 სთ-ის სავალია.

სოფ. ვეშაგურები 14. VII. 79 წ.

სტეფანე ივანეს ძე ვეშაგური (დაბად. 1911 წ.)

ვეშაგურის კომოზანი



ქისტებიდან მოსულა ვეშაგუროვი და იმაზე მოდიან ვეშაგურები. ვეშაგუროვს 7 ბიჭი და 1 ქალი ჰყოლია. მას ქისტეთში შემოჰკვდომია კაცი და ხევსურეთში შემოხიზნულა ამანათად, იქაც შემოჰკვდომია ხევსური და დასახლებულა ბოჩეთს – ნაყორთ. მისი ცოლიც ქისტი ყოფილა. მის შვილებსაც ნაყორთ უცხოვრიათ, რამდენიმე მამა რომ გამოიცვალა, ჩამოსახლებულან დაბლა – ვეშაგურებში.

როცა ვეშაგურები აქ დასახლდნენ, ეს ადგილი ხანდოს საამანათო ყოფილა. ეს იყო მოსულეებისათვის სახიზარი, დასასახლებელი ადგილი. ე.ი. ძველად ვეშაგურებიც **ამანათები** ყოფილან.

ერთ-ერთ ვეშაგურს რქმევია **ბალა** და იმაზე მოდიან **ბალანი** – ვეშაგურების ერთ-ერთი კომობა.

ბალას შემდეგ იყო **ხიზანა**, რომელზედაც მოდიან **ხიზანიანი**. ხიზანა ბალას შვილი იყო თუ შვილიშვილი ეს არ ვიცით. ხიზანას შთამომავლობა კი ცნობილია. ხიზანას შვილს ერქვა **გიგოლა**, გიგოლას შვილს **ნასყიდა**, ნასყიდას შვილს **ივანე** და ივანეს შვილს კი **სტეფანე** (მთხრობელი). ამრიგად, ხიზანადან სტეფანემდე ხუთი მამა შეიცვალა. ხიზანიანი ახლა 6-7 კომია. ხიზანიანი კომის სახელია. კომი=ოჯახს. ხიზანიანთ განაყოფებია: **პავლიანი** (ნითლიანთკარში), **ანდრიანი** (ბანცურში), **სოსიანი** (ბანცურში). ვეშაგურებში ომამდე 18 კომლი ცხოვრობდა; ეხლა 7 კომლია.

მახიტაანთ შტოს შესახებ

ქსნიდან მოსულმა მახიტაშვილებმა ვეშაგურის გვარი მიიღეს. ძესიძედ მოსული ქსნელი დაინერა ვეშაგურად. ვეშაგურები და მახიტაშვილები წარმოშობით სხვადასხვანი არიან, მაგრამ ვეშაგურის გვარზე დაწერის შემდეგ მახიტაშვილები დანათესავდნენ. მათ შორის ქორწინება არ მომხდარა. ერთმანეთში ნათლიობას კი მისდევენ.

ლაზვიაშვილების კაცი ძესიძედ მოსულა ფაცხვერაანთას და მას ამიტომ შეარქვეს ფაცხვერაანთი. ეს კაცი უკანამხრიდან მოსულა.

ფაცხვერაანი გადასახლდნენ ბანცურში. მათი აქ დარჩენილი მამულების მოხმარების სამაგიეროდ სოფელი ქირას უხდიდა (წელინადში 16 თუმანს), რაკი ფაცხვერაანი დაობლებულან. როცა ფაცხვერაანთ ბიჭები დავაჟკაცდნენ, მათ ადგი-

ლები მიიღეს ბანცურში, ხოლო ვეშაგურებში დარჩენილი ზემოაღნიშნული ფაცხვერაანთ მინები გაინაწილეს კომლებზე ვეშაგურებმა.

ბანცურში გადასახლებულან ფაცხვერაანი, მჭედლიანი, ანდრიანი, სოსიანი და ნანაიძიანი.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები

ძმების შვილები: **ძმათაშვილები**=ალალი ბიძაშვილები. შემდეგი საფეხურია **ბიძაშვილები**.

სახლიკაცი = ძმა, ალალი ბიძაშვილი ან ბიძაშვილი.

ადგილების შესახებ

მთხრობლის აზრით წითლიანთკარი ხანდოა, ხამუშაც ხანდოა.

ხამუშას ციხე მაგარი იყო. აქ იცოდნენ მთიელებმა ჩასაფრება, როცა მტერი შევიდოდა არაგვზე. გზას იცავდა ეს ციხე და კიდევ სხვა ციხეები – კოზურთ კარს, მერეს, სონდისა, სიპის კარს, ციხისძირს. ხამუშას ციხიდან ლეკებს ტყვეებს აყრევინებდნენ მთიელები. როცა ლეკების მარბიელი ამოივლიდა, იქ მაგრდებოდა ხალხი და აქედან ეომებოდა ლეკებს.

ცნობები მთიულეთის შესახებ

თავიდან ხანდოელები თავის თავს არ უწოდებდნენ მთიულებს. ჩვენ მხოლოდ ბარის ხალხი გვინოდებს მთიულელებსო. ანანურს აქეთ მთიულებად თვლიანო. ჩვენ ვის ვეკუთვნით არ ვიცითო. არც ბარელები და არც მთიულებიო. ჭართალელებიც, მთიულებიც და გუდამაყრელებიც განსხვავდებიან ხანდოელებისაგანო. მთიულეთი იწყება ფასანაურს ზემოდან,

უღელტეხილამდე აღწევს. მთიულეთი იყოფა **ცხავატად** და **ჯადად**.

ცხავატში შედიან: **სეთურები, მლეთა, არახვეთი, ქვეშეთი, ჩირიკი, ზაქათკარი, ჯალმიანთ-კარი** (ე. ი. მისი საზღვრებია დიდველიდან ჩირიკამდე). **ხადაში** შედის: **ნკერე, მილურე, ბედონი** (ე. ი. ბედონიდან ნკერემდე).

ჩირიკის ქვემოთ, ფასანაურამდე მთიულეთი კია, მაგრამ ცხავატს კი არ ეკუთვნის.

სოფ. ვეშაგურების ისტორიული ადგილები

სოფლის თავში დგას **ხუციანთკრის ციხე**, რომელიც ეკუთვნის ვეშაგურების გვარს. ციხის ქვემო მხარეს ნასახლარებია, ხოლო ქედზე დაყოლებით არის აკლდამებიც.

საფიცარნი

საფიცარნი ენოდება ადგილს, სადაც ხანდოს ხევის თემის კაცები იკრიბებოდნენ და დამნაშავეებს ასამართლებდნენ.

ეს ადგილი მდებარეობს სოფ. ვეშაგურების ბოლოში, სადაც ამჟამად სკოლაა. გადმოცემის მიხედვით საფიცარნის ახლოს სამი კაცია ჩაქვავებული. საქოლავები აღარ ჩანს. ასე მკაცრად სჯიდნენ ცოდვის ჩამდენს (ვინც ნათესავთან ან ნათლიასთან შესცოდებდა). ვისაც თავის გამართლება სურდა, უნდა დაეფიცა, რომ არ იყო დამნაშავე. ამიტომ ჰქვია ამ ადგილს საფიცარნი. საფიცარნი სათემო იყო.

სხვა ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავეს ან თემიდან გააძევებდნენ, ან ხარს დააკვლევიებდნენ და შერიგდებოდნენ.

სოდევე – მეჯილაურნიც აქ მოდიოდნენ.

დღეობები

მთელი ხანდოს საერთო სალოცავია **მთავარანგელოზი**, სადაც **პეტრეპავლობას** იხდიან.

ამ სალოცავში ნილდებულები იყვნენ: წინამწარი, უკანამწარი და ვეშაგურები. ეკლესიას აქვს სამი კარი: დასავლეთი მხრიდან – ვეშაგურებისა, სამხრეთის კარი – წინამხრელებისა, ხოლო ჩრდ. კარი – უკანამწარელებისა. დროშას გამოაბრძანებდნენ მთავარანგელოზის ეკლესიიდან და მოაბრძანებდნენ უკანამწარის ეკლესიაში (**ათენგენობის ეკლესიაში**). 11-12 სთზე წავიდოდნენ და საღამოხანს ისევ უკან მობრუნდებოდნენ. დროშას წაიღებდა მელიქიშვილების გვარის დეკანოზი. მას უკან მიყვებოდნენ წინამწრელი, ვეშაგურელი და უკანამწრელი მლოცავები. მიჰქონდათ ბოვრაცი ხატის სურათის გამოსახულებით. ხატის გამოსვენებისას ხატის **სადიდებელს** დალევდნენ. დეკანოზი ბოვრაციით წინ გაუძღვებოდა (დროშაზე ჯვარი და მთავარანგელოზის სურათი იყო გამოსატყული). ზოგნი ემთხვეოდნენ დროშას, წყალობას შესთხოვდნენ. წამოიწყებდნენ **ფერხისულ სიმღერას**. დეკანოზი დაიწყებდა, მერე უფროსები მიაყოლებდნენ, შემდეგ კი ახალგაზრდები. ქალები დაბლა იყვნენ და შორიდან უყურებდნენ.

ხატიონი უკანამხრისაკენ ფეხით გაემართებოდა. გზად შეჩერდებოდნენ ფაცხვერიანთ წინ, **მთავარანგელოზის ნიშთან**. იქ ილოცებდნენ, პურს შეჭამდნენ, დალევდნენ და გაემართებოდნენ უკანამწარის ხატში. ხატში მათ დახვდებოდა ორი დეკანოზი და ადგილობრივი ხალხი (ე. ი. უკანამწრელები). მიტანილ ბოვრაცს ეკლესიის კარებზე მიაყუდებდნენ, საკლავს დაკლავდნენ, სუფრას გაშლიდნენ და საღამოს ისევ უკან წამოვიდოდნენ. ეს საკლავი იყო უკანამწრელებისა. უკანამწარში საკლავს კლავდა 2-3 ხატის ყმა. ეს მორიგეობით ხდებოდა (ე. ი. ხატის ყმებად მორიგეობით ადგენდნენ ამა თუ იმ ოჯახს).

დროშას უკანამჭრიდან უკან ნამოილებდა ის კაცი, ვინც მთავარანგელოზის ეკლესიიდან გამოაბრძანა ხატი და უკანამჭრამდე მოიტანა. მას უკან გამოყვებოდნენ უკანამჭრის დეკანოზები და ხალხი. მთავარი ქეიფი იმართებოდა მთავარანგელოზის ეკლესიასთან. საკლავს ვინც მორიგეობით კლავდა, იმას ერქვა **მნათე** ან **დასტური**. ქეიფი გრძელდებოდა ორ დღეს. ეს დღობა მოდის 29 ივნისის ძველზე. მაგრამ თუ კვირას არ დაემთხვა, მაშინ გადასწევდნენ კვირისათვის. ეს დღეობა ორშაბათს უნდა დამთავრებულიყო.

მთავარანგელოზის სალოცავში საკლავს კლავდნენ წინამჭრელები და ვემაგურელები.

ეკლესიის ის კარები, რომელიც უკანამხარს ეკუთვნოდა, დღეისათვის ამოქოლილია. უკანამჭრელები სტუმრად ეხლაც მოდიან, მაგრამ მონაწილეებად აღარ ითვლებიან. სტუმრად მოდიოდნენ სოდევე-მეჯილაურთიდანაც, მაგრამ მთავარანგელოზის მონაწილეებად არ ითვლებოდნენ.

ჯანდოში იყო მეორე მნიშვნელოვანი სალოცავიც – სოდევე-მეჯილაურთისა, სადაც წინამჭრელები, ვემაგურელები და უკანამჭრელები მონაწილეებად არ ითვლებოდნენ. თუ სტუმრად დაპატიჟებდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეწვეოდნენ.

ხატის მამულები

ხატის სახელზე იყო სათიბი **ხატის მთა**. ვინც მას გათიბავდა, მას ევალებოდა 1 ქვაბი არაყი (4-ნთუნგი) და 1 საკლავი (ჭედლია). ამ მამულს კარგი მთიბავი 5-6 დღეში გათიბავდა. წითლიანთკარში ხატის სახელზე სახნავი იყო. ვინც წითლიანთკარში მოხნავდა, მას სოფლისთვის ევალებოდა 1 საკლავი და 1 ქვაბი არაყი. ამ გადასახადებს ეწოდებოდა **ხატის კულუხი**.

ამასთან ერთად სოფელში იცოდნენ **დასტურების მო-რიგეობა**. ორ-ორი ოჯახი იყო დასტური. მათი მორიგეობა იყო დაწესებული. მთავარანგელოზში ყველაზე მეტი მისატა-ნი იყო. სხვა სალოცავებში უფრო ნაკლები საკლავი იკვლებო-და (1) და ნაკლები სასმელი ისმებოდა.

სოფ. ბანცური 16. VII.79 წ.

ნიკალა ანდრიას ძე ვეშაგური (დაბად. 1911 წ.)

განსახლება

ბანცურის ქალაში, არაგვის მარცხენა ნაპირზე, რომე-ლსაც ახლა **ქვემო ბანცური** ეწოდება, ბანცურიდან ჩამოსახ-ლდა ვეშაგურების 5 ოჯახი. ვეშაგურების 5 ოჯახი ჩამოსახ-ლდა აგრეთვე **კორუხში**. კორუხი მდებარეობს არაგვის მარც-ხენა ნაპირზე, ფასანაურის ახლოს. კორუხში ცხოვრობენ აგ-რეთვე **სოფ. ცხვედიეთიდან** ჩამოსახლებული **აფციაურები** (6 კომლი) და **ნიკლაურები** (2 კომლი). ცხვედიეთში კი ისინი ჩამოსახლებულან გუდამაყრის სოფლებიდან – **დუმაცხოდან** და **ათნოხიდან**.

ბანცურიდან კორუხში პირველად ჩამოსახლებულან **ვა-ნო** და **პავლე აფციაურები** (ბიძაშვილები). ეს მოხდა მთხრო-ბლის მამის დროს. ორივე ცოლ-შვილიანი ყოფილა. მათი ჩა-მოსახლებიდან უკვე მესამე თაობაა.

კორუხი თავიდანვე **ცხვედიეთის** ადგილი იყო, ცხვე-დიეთი კი გუდამაყრელებითა დასახლებული. იქ ახლაც მხო-ლოდ აფციაურები და ნიკლაურები ცხოვრობენ. მთხრობლის ახალგაზრდობაში 30 კომლი იყო, ახლა კი 14 კომლია.

ცხვედიეთი გუდამაყრის ხეობას ბილიკებით უკავშირ-დება. პირდაპირი გზა ხეობაში არ გადადის. ვისაც გუდამაყა-რში გადასვლა სურს, ჩამოივლის ცხვედიეთის ხევს, წყალ-წყალ, გავა კორუხში და იქიდან შებრუნდება გუდამაყარში.

ცხვედიეთიდან ბილიკიც ჩამოდის, რომელიც **გადის მზორეზე** და ჩადის კორუხში. ცხვედიეთი როგორც ჩანს გუდამაყარს ეკუთვნოდა.

ცხვედიეთის ხევს რომ ავუყვეთ, გავივლით **დიდქედს, ლეკთქედს, საჯოგარს, ფშავისყელს** და გადავალთ ფშავში – სოფ. **თაგოთში** და **გომენარში**, აქედან კი სოფ. **მალარო-სკარს**. ფშავში ცხენებიტაც გადადიოდნენ.

ფშავლებს კოდებით გადმოჰქონდათ კარაქი ფასანაურში გასაყიდად. ფასანაურიდან გომენარამდე არის სავალი დილიდან სადილობამდე (ე. ი. დილის 6 სთ-დან დილის 9-10 სთ-მდე). სადილი ერქვა დილის პურისჭამას.

ბანცურიდან გზა მიდის **ვაშლობშიაც, ჭართალისწევში**.

ბანცური მთიულეთს არ ეკუთვნის. მთიულეთს ეკუთვნის ფასანაურის ზეთობა.

ბანცური და ბანცურის ჭალა (ქვემო ბანცური)

ბანცურში 20-25 კომლი ვეშაგურები ცხოვრობდნენ (სხვა გვარი არ ყოფილა). ესენი გამოვიდნენ ხანდოს სოფ. ვეშაგურებიდან. არსებობს ასეთი გადმოცემა: ვეშაგურებში უცხოვრია ერთ გასანყლებულ კაცს, წვრილშვილს, რომელსაც ერქვა **ბანუა (ბანცო)**. ჯიმშერი ყოფილა ვილაც დიდი კაცი. ბანუას გაუგია, რომ ჯიმშერი ხადაში აპირებდა ქორწილში წასვლას. ბანუას ხარების მარხილში (**ჯინში**) ჩაუსვამს თავისი ცხრა შვილი და ჯიმშერს გზაზე დახვედრია. ბანუამ შესჩივლა მას - ადგილი არა მაქვს, გაჭირვება მახრჩობსო. ჯიმშერს უთქვამს მისთვის - მაშ აი იქ გადიო და მიუთითებია ბანცურზე, იქ დადექიო, ხიდსაც გაგიკეთებო და გახვალ და გამოხვალო. ჯიმშერი ხადაში რომ ასულა პატარძალთან დანოლა მოუნდომებია და ხადელებს მოუკლავთ. ამის შემდეგ ბანუა დასახლდა ამ ქედზე, ხიდიც გაიკეთა და აქედან წარმოსდგა სოფლის სახელონოდება ბანცური (ბანცორი). მთხრობლის ვა-

რაუდით, ბანუას ბიძაშვილი იყო **მამუკა** (მთხრობლის წინაპარი). მთხრობელი მამუკადან მეოთხე თაობას ეკუთვნის (მამუკა → ნინია → ანდრია → ნიკალა).

ბანცურის ქალაში პირველი ჩამოსახლდა მთხრობლის მამა ანდრია. მისი ყველა შვილი ბანცურში დაბადებულა. ქალაში ჩამოსახლების დროს ნიკალა 3-4 წლისა ყოფილა. მთხრობელი იგონებს: „მახსოვს, როცა აქ სასახლესა (საძირკველს) თხრიდნენ, ბანცურიდან ჯელით ჩამომიყვანიანკე და უკანაც ჯელით ამიყვანიანკე. აქ ამ დროს არავინ ჩასახლებულა. შემდეგ სხვებიც ჩამოვიდნენ დაგვიანებით, 5-6 წლის წინათ.

ვეშაგურების დანაყოფები

ხიზანიანი: ანდრიანი, ბერიანი, სოსიანი, თანდილიანი, მჭედლიანი; **ნანაძიანი:** გიგოლიანი, გამახარიანი, ზალიკიანი; **ფაცხვერიანი:** მიხაანი.

ბანცურში მცხოვრები ვეშაგურების დანაყოფები

ხიზანიანი: ანდრიანი, ბერიანი, სოსიანი, თანდილიანი მჭედლიანი; **ნანაძიანი:** ვასილიანი, გიგოანი, ბერი; **ფაცხვერიანი.**

გადმოცემის მიხედვით მთელი ვეშაგურები სამ ძმაზე მოდენილან, თავიდანვე კი ისინი სხვაგანიდან მოსულან. **ნაზრანში** არიან **ვეშაგუროვები**. მთხრობელმა არ იცის იქიდან მოვიდნენ, თუ საქართველოდან წავიდნენ იქ. მთხრობელს გაგონილი აქვს, რომ ვეშაგურები ხევსურეთშიც არიან. მან აღნიშნა: „ქისტებთან მიმოსვლა დღესაც გვაქვს, ყიზლარში რომ მივიღვართ, გვხვდებიან, გვპატიჟებენ, იმათაც ვეპატიჟებით“.

კომოზა

გვარი იყოფა **კომეზად**. თვით კომლთა გამაერთიანებელი ერთეულიც (მაგ. ხიზანანი) კომად იწოდება. **კომოზა** და **მამისშვილობა** მთხრობელმა არ იცის. ვეშაგურების შიგნით ქორწინება არ მომხდარა, არც ქისტ ვეშაგურებთან. ნიკლაურები კი სტეხენ გვარს.

მოსამპირაენი

მოსამპირაენი = განაყრები, მონათესავე მამისშვილობანი. მაგ. ხიზანანთ მოსამპირაენია მისგან გამოყოფილი პოვლიანი, ანდრიანი და სოსიანი.

ბანცურის ტოპონიმები

სახნავეები: მზორე, ჩილდირი (ჩირდილი), ზეითნაჭერი, ქოითნაჭერი.

ყველა ეს ადგილი ახოებია (ტყიდანაა გამოღებული). მთელმა სოფელმა საერთო ძალით გაჭრა ტყე, გააველეს (გამინდვრეს) და მერე კომლეურად დაყვეს.

სათიბები: ნაყვრიანი (ჩირდილი), ნყალთღელე (მზორე).

საძოვრები: მზორე და ჩილდირი.

მიწათსარგებლობის ფორმები

ბანცურს ცალკე საძოვრები არ ჰქონდა. საძოვრად სახნავეებს იყვენებდნენ. ერთ მხარეს (ჩირდილს) რომ მოხნავდნენ, იმ წელს მეორე მხარეს (მზორეს) საძოვრად იყვენებდნენ და პირიქით.

სათიბები უფრო მაღლა ჰქონდათ (მთის ზედა ნაწილში). მოთიბვის შემდეგაც იქ ცხვარ-ძროხას არ უშვებდნენ, რომ ფეხით არ გაეფუჭებინათ ეს ადგილები.

როგორც ძროხის, ისე ცხვრის საძოვრად სახნავეები იყო გამოყენებული ზემოაღნიშნული წესით.

ბანცურს **საჯოგე** და **საწველი** (სადაც ზაფხულობით მენველ საქონელს გადარეკავდნენ) ჰქონდა. „**საჯოგარი**“ ბანცურის მეზობელ სოფელში – ცხვედიეთში ჰქონია. ბანცურელებს ხარები იქ მიუდიოდათ. ხარებს ისინი მიაბარებდნენ ცხვედიეთის „**მეჯარეს**“. თითო ხარზე იხდიდნენ სამწყემსოს 1,5 ან 2 ფუთ ქერს ან ქერსვილს. ბანცურიდან ცხვედიეთში გარეკავდნენ 10-15 სულ ხარს, დანარჩენებს კი საჭიროების-დაგვარად სახლში იტოვებდნენ. ცხვედიეთს დიდი იალალები აქვს, ამიტომ ცხვედიეთი ბანცურს **საბალახეს** არ ახდევინებდა ხარების შენახვისათვის.

ბანცურსა და ცხვედიეთს საზიარო სათიბ-საძოვარი და ტყე არ ჰქონიათ. მათ შორის საზღარი იყო **ჩირდილის წყალი** და **უღელიქვა** (ტოლად არის ორი ქვა).

თუ ოჯახის გაყოფის დროს რომელიმე ნაკვეთი (სახნავი ან სათიბი) ვერ განაწილდებოდა, იმას იტოვებდნენ საძოვრად (სასოფლოდ).

სახატო მიწები

ბანცურს **კვირეცხოვლის** სახელზე ჰქონდა სახნავი ადგილი (2-3 დღისა ყევრით), რომელსაც მორიგეობით (ყოველწლიური მორიგეობა) ამუშავებდა ერთი ან ორი ოჯახი (უფრო მეტად ის, ვინც მიწის ნაკლებობას განიცდიდა). ყანას **ყალანი** ჰქონდა დადებული (1 ქვაბი არაყი; ე. ი. 3 თუნგი. 1 თუნგი = 4 ლ.). ამ სასმელს სოფელი იყენებდა კვირეცხოვლობაზე ან სხვა დღეობაზე. ყალანს ჩააბარებდნენ **დასტურებს** (წელიწადში 3 კაცი გამოიყოფა სოფლიდან დასტურად). სოფელში

შეკრებილი ფულით დასტურები საკლავსაც ყიდულობდნენ. ყველა ოჯახი დასტურებს ჩააბარებდა პურს, ყველს და ქადებს. დასტურები დღეობაზე სუფრას ემსახურებოდნენ. ერთი მათგანი პურსა და ხორცს დასჭრიდა, მეორე სუფრაზე ჩამოარიგებდა, მესამე კი სასმელს ჩამოუსხამდა სუფრასთან მჯდომ ხალხს. დასტურები ყველა დღეობას ემსახურებოდნენ.

ბანცურს ჰქონდა მამული **ფუთაჯორის** წმინდა გიორგის სახელზე (2 დღის სახნავი ყვერით). ამ მამულსაც ის ოჯახი ხნავდა, ვისაც მიწა აკლდა. ასეთი მორიგე ოჯახი იხდიდა **კულუხს** (2,5 თუნგი არაყი).

სხვა ხატების სახელზე სოფელს მამულები არ ჰქონია.

სხვა საერთო მამულები არ იყო ბანცურში, სასოფლოდ იყო საძოვარი და ტყე.

მიტოვებული სოფლის ადგილებით სარგებლობა

ბანცურში გადმოსახლებულ ვეშაგურებს სოფ. ვეშაგურებში კაკლის ხეები დარჩათ. მთხრობლის ცნობით, მისი მშობლები გადიოდნენ ურმით მიტოვებულ სოფელში, ბერტყავდნენ თავიანთ კაკლებს და ურმით გამოჰქონდათ.

სოფ. ბანცურის სიძველენი

ვეშაგურების აქ დასახლებამდე ყოფილა აშენებული **კვირეცხოვლის ეკლესია**. მის გარშემო შემორჩენილია ნასახლარები. ასევე ძველია **ცხვედიეთის ციხე** (სამსართულიანია). კვირეცხოვლის ეკლესია თათრიანობისა და ლეკიანობის დროს აუშენებიათ.

სასაფლაო ვეშაგურებს ერთი აქვს, მაგრამ ის დაყოფილი არის **თარგმან-თარგმან** (მხარე-მხარე): ერთი მხარე არის ნანაძიანთი, შუაში ხიზანანთი, ხოლო მეორე მხარე ფაცხვერიანთი. სალოცავები ასე დაყოფილი არ არის.

ბანცურის სალოცავები

კვირეცხოველი (ეკლესია), ფუთაჯორის წმინდა გიორგი და ადგილის დედა. ბანცურის ნიშები: ლოკოშნის წმ. გიორგი და მალალნათ წმ. გიორგი.

დღეობები

კვირეცხოველში კვირეცხოველობა იმართებოდა ალდგომის სწორზე. ფუთაჯორის წმინდა გიორგიში მარიამობა იმართებოდა (აგვისტოში). ადგილის დედაში ორჯერ იმართებოდა დღეობა: თიბათვის პირველ კვირას უქმი დგებოდა და ერთ თვემდე გრძელდებოდა. ამას ქარსეტყვის უქმი ერქვა. ეს იყო პირველი დღეობა, ამ დროს ხატში საკლავით მიდიოდნენ და შესთხოვდნენ – „ღმერთო გოშორე ქარ-სეტყვაო“. უქმის გათავების შემდეგ გავიდოდნენ სათიბად. ხატში ისევ იმართებოდა დღეობა, რომელსაც ერქვა ადგილისდედობა. ე. ი. ადგილის დედაში გამართულ მთელ დღეობას (რომელსაც ორი ეტაპი ჰქონდა), ადგილისდედობა ეწოდებოდა.

ლოკოშნის წმ. გიორგის ნიშში, სადაც შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთებიც, დღეობა არ იმართებოდა. იქ მხოლოდ სანთლებს ანთებდნენ, ქადებს დასერავდნენ და ხატს უჭირველობას, ჯანსაღობას შესთხოვდნენ.

მალალნათ წმ. გიორგის ნიშთან იმართებოდა მალალნობის (მალალნობის?) დღეობა. ამა წლის (13 ივლისს გადაუხდიათ).

სამეურნეო პირობები ბანცურში

ბანცურში მცხოვრები 25 ოჯახიდან ადგილობრივი მოსავალი ჰყოფნიდა 3-4 ოჯახს. ადრე ასეთი მდგომარეობა არ

ყოფილა, ოჯახების გამრავლებამ გამოიწვია სამეურნეო ნაკვეთების ფართობის შემცირება.

ბანცურში მოჰყავდათ ქერი, სვილი, ხორბალი. პურეული მოჰქონდათ ბარიდან და ვლადიკავკავიდან. ბარში მიდიოდნენ სამკლად და შრომის საზღაურად ღებულობდნენ პურეულს. ბოლოს ვლადიკავკავიდანაც მოჰქონდათ სიმინდი.

ძველად ცხვარიც ნაკლები ჰყოლიათ. 25 ოჯახიდან 3-4 ოჯახს თუ ეყოლებოდა ცხვარი. ცოტ-ცოტა ცხვარი ყველას ჰყავდა, მაგრამ 200-300 სული 3-4 ოჯახს მხოლოდ. ვისაც ცოტა ჰყავდა, ის ბაგურ კვებაზე ინახავდა ცხვარს, ხოლო ბევრი ცხვრის პატრონები ზამთრობით ხცვარს მიერეკებოდნენ შირაქის მხარეს. მოგვიანებით ყიზლარშიც გამოუყვეს ადგილები. ამის შემდეგ ცხვარიც უფრო მომრავლდა.

ქათამი ოჯახს საშუალოდ თითო-ოროლა ჰყავდა.

საშუალო შეძლების ოჯახს (მთხრობლის ოჯახი საშუალო ოჯახად ითვლებოდა) ჰყოლია 9-10 სული მსხვილფეხი, ერთი ცხენი და 200-300 სული ცხვარი. ღორს არ იჩენდნენ, ხატი არ უხდენდა.

საზიარო ქონება

ოჯახის გაყრის შემდეგ ზოგჯერ საზიაროდ რჩებოდა საარაყე ქვაბი, წისქვილი, ხეხილი და ა. შ. ბანცურში 2 წისქვილი იყო. ერთი ეკუთვნოდა ნანაძიანთ, მეორე კი ხიზანიანთ. ამ ორ წისქვილს ბანცურის მოსახლეობა მორიგეობით იყენებდა, ვისიც ჯერი იყო ის ფქვავდა.

მთა და ბარი

ბარი ისაა, სადაც ვენახი ხარობს, ბალ-ვენახებია, ღალიანი ადგილია და თბილი ხოდაბურებია ბლომად.

არავგზე ბარი დგნალიდანაა.

სოფ. უკანამჯარი 17/VII-79 წ.

გიგოლა მახარობლის ძე დავითური (დაბად. 1900 წ.)

(სოფელ დავითურებიდან ჩამოსახლებული)

სოფ. დავითურების წარსულიდან

ძმები ყოფილან დავითი და ამილახვარი. დავითზე მოდი-
ან **დავითურები**. ამილახვარის სახელის მიხედვით **მილახვ-
რიანთაც** გვეძახიანო, აღნიშნა მთხრობელმა. მილახვრიანები
შემდეგ დუშეთის გაღმა დასახლებულან. სოფ. დავითურები-
დან ქსნის ხეობაშიც გადასახლებულან. ერთი სოფელია უკა-
ნამჯრის კოლმეურნეობაში, ქსანზე, ხეობის სათავეში, რომე-
ლსაც უწინ ერქვა **უკანუბანი** (ახლა **შიუკაანთ** უძახიან). ეს
შიუკაანი, რომლებიც **შიუკაშვილებად** იწერებიან, დავითუ-
რებთან სახლიკაცობენ. ისინი დავითურების სალოცავში –
ადგილის დედაში გადმოდიოდნენ. შიუკაანთ გარდა აქ მოდი-
ან სხვა სოფლებიც – **ბაშარნი, მახიარეთი, მაჭარანი**. თან
კურატებიც მოჰყავდათ.

მთხრობელმა აღნიშნა – შიუკაანი კი ჩვენებია და დანა-
რჩენებს რა წილი ჰქონდათ ჩვენს ხატში, არ ვიციო.

დავითურებში მოსულნი ბინა-ბინად დგებოდნენ. ივლის-
ის 10-ში ძველი სტილით, ხუთშაბათს, მოდიოდნენ და პარას-
კევს გამაილოცავდნენ (ე. ი. დაამთავრებდნენ). ამ ხატში (ე. ი.
ადგილის დედაში) დეკანოზობდა ერთი დავითურებიდან, ერ-
თიც მახიარეთიდან (**ყველაშვილები**). ხატმა დაიჭირაო დეკა-
ნოზად ერთი დავითური და ერთიც ყველაშვილი – ამბობს
მთხრობელი.

ყველაშვილები დავითურების სახლიკაცები არ ყოფი-
ლან. დავითურები კიდევ სოფ. **ქურთაში** და სოფ. **საშაბურო-
ში** არიან. ქურთა ქსნის ხეობაში, ხოლო საშაბურო დუშეთის
მხარესაა.

დავითურების დღეობას, ყველაშვილების მონაწილეობით, ერქვა **თორმონმოზა (მთავარმონმოზა)**.

მთხრობელი 13-14 წლისა ყოფილა, როცა დავითურებში 15 კომლს უცხოვრია. მთხრობელი სოფ. უკანამჟარში გამოსახლდა 1931 წელს, როცა დავითურების მოსახლეობა 9 კომლს შეადგენდა. ამჟამად აქ ცხოვრობს მხოლოდ ერთი მოხუცი – იოსებ დავითური.

დავითურების გვარის დანაყოფები

ირემანნი, სიხაანი, ჭალარაანი (იგივე ფილიპაანი), **ნანიკაანი, მოსიკაანი, შატიანი, ბატარკაცაანი** (მთხრობელიც ბატარკაცაანთ ეკუთვნის); მთხრობელის ოჯახს ახლა **ჩუხურაანთ** ეძახიან.

ჩუხურაანი ეწოდება ადგილს, სადაც გიგოლა დასახლდა (ამიტომ დაუძახეს მას **ჩუხურაანთ გიგოლაი**).

განაყოფს ეწოდება **კომოზა** ან **მამიშვილობა**; უფრო კი **კომოზა**.

სახლიკაცი = ძმას, ბიძაშვილს. ბიძაშვილობა (სახლიკაცობა) 300 წლამდეა. 7 მამამდე **სახლიკაცობაო**, 12 მამამდე **ნათელმირნობაო**.

დავითურები და შიუკაშვილები სახლიკაცობენ, ამიტომ მათ შორის ქალის თხოვნა არ შეიძლება.

სოფ. დავითურების მდებარეობა და სიძველენი

დავითურების ძველ სამოსახლოს ეწოდება **ძველი ციხიქედი**, რომელიც მდებარეობს სოფლის თავში. იქ შემორჩენილია ციხისა და შენობის ნაშთები (**ნაშალობი**). იქ ქვევრებიც იდგა, რაშიაც შემოსევების დროს წყალს ინახავდნენ.

სოფ. დავითურების მარცხენა მხარეს მოედინება **მერი-სწყალი**, რომელიც გამოედინება **მთა საყანოდან**.

სოფლის მარჯვნივ მოედინება **სალინოჭევის წყალი**, რომელიც სათავეს იღებს **მთა სალინოჭევიდან** (ეს მთა არის სახნავი, სათიბი, საძოვარი).

დავითურების ძველ ნაციხვარს ეწოდება **საჯარე ქედი**, სალოცავს კი – **სამხთომალალი**. აქვე მდგარა კირით ნაშენები სახლიც.

სოფ. დავითურების სალოცავები

ციხისათორმენამე (ციხისათორმენამე ანუ მთავარმონამე ჰქვია ხატს, სადაც ციხე მდგარა; მის ბოლოში კიდევ ერთი ციხე ყოფილა გალავნით, სადაც ერთი ქვევრიც იდგა), **წვერის ანგელოზი**, **ადგილის დედა**, **კვირია**, **ბაიათნიში**, **სამხთომალალი**, **გძელასნიში**, **წმ. გიორგი**.

ყველაზე დიდი სალოცავი იყო ციხისათორმენამე და წვერის ანგელოზი.

დღეობები და ხატის მამულები

ციხისათორმენამეში იმართებოდა **თორმენამეობა**. თუ ივლისის 1 ძველი სტილით, პარასკევს ან შაბათს დაემთხვა, ის კვირა აღარ ჩაითვლება; გაითვლება ახალი კვირიდან. ერთი ხუთშაბათი უნდა გამოტოვონ და დღეობა მეორე ხუთშაბათს არ აცდებია.

ციხისათორმენამეს ჰქონდა მამული (ორი დღის სახნავი ყვერით). მისივე სახელზე იყო სათიბი – ორი მთა (ერთ მთას ეწოდებოდა – **სააღდგომო**, მეორეს – **გლუვი**). სოფელი ერთობლივად ერთ დღეს მოხნავდა და დათესავდა და ერთადვე მომკიდა და გალენავდა. პურს ინახავდნენ კალოზე (ბოლო დროს ინახავდნენ ანდრია დავითურის კალოზე, გოდორში).

ხატის მამულზე, რასაც ერქვა **ტოტივრის ჭალა**, მოჰყავდათ **ქერსვილი**, რისგანაც დღეობისათვის ხდიდნენ არაყს (30 ფუთამდე მოსავლიდან დგებოდა 10-მდე ქვაბი არაყი; თითო ქვაბი=6-8 თუნგს; ხოლო 1 თუნგი= 4 ჩარექას; 1 ჩარექა კი=1 ლიტრს). არაყს გამოხდიდნენ **მნათეები** (ხან ოთხნი და ხანაც ცხრანი). ეს სასმელი ხმარდებოდა ყველა ხატობას. სათიბზე გასვლის წინაც, სამხთოზე ეს სასმელი ისმებოდა.

თორმენამეობისათვის საკლავი იყო **სარიგო**. სოფელი ორად იყო გაყოფილი. ერთ წელს 4 კომლი 4 საკლავს დაკლავდა, მეორე წელს კი 3 კომლი დაკლავდა 3 საკლავს. როცა სოფელი 15 კომლისაგან შედგებოდა, მაშინ ერთ წელს 8 კომლი სოფელს 8 საკლავს დაუკლავდა, ხოლო მეორე წელს 7 კომლი 7 საკლავს.

წვერის ანგელოზში იგივე **თორმენამეობა** იმართებოდა. ციხისათორმენამე ჩამობრძანებულა წვერის ანგელოზიდან. ამ თორმენამეობაზე ჯერ ადიოდნენ წვერის ანგელოზში ხუთშაბათს, ერთ საკლავს დაუკლავდნენ, სანთლებს აანთებდნენ. იქიდან დაბრუნების შემდეგ ციხისათორმენამეში გააგრძელებდნენ ქეიფს პარასკევს საღამომდე. წვერის ანგელოზში დეკანოზი არ ადიოდა. ხუთშაბათს შუადღის დროს იმართებოდა **თოფოსნობა** (ნიშანში სროლა).

მკვდრის პატრონებს (ე. ი. იმათ, ვისაც ახლად გარდაცვლოდა ახლობელი) მოჰქონდათ **შაშანდობრები** (შესანდობარი): ქადა, წინდები, ფული, პაიჭები, პერანგი, ქუდი. ვინც რა ნიშანს მოარტყამდა, იმის მიხედვით მიიღებდა საჩუქარს.

ადგილის დედის სახელზე დღეობა არ იმართებოდა.

ციხისათორმენამე, წმინდა გიორგი და ადგილის დედა – ყველა ციხეშია (ე. ი. ძველი ნაციხარის ფარგლებში). ერთი დღეობაა მათ სახელზე, რის გამოც ერთ სალოცავად თვლიან მათ.

კვირიაში მოდიოდა **კვირეცხოვლობა** (აღდგომის სწორზე). ამ დღეობას ხმარდებოდა 1 ქვაბი არაყი ხატის მამული-

სა. სოფელი ყიდულობდა 1 საკლავს (ხბოს ან ჭედელას). კვირიას ხატში, იფნების ძირას დღეობა (ხატობა) ერთ დღეს გრძელდებოდა.

ბაიათნიშში ივნისში **ლომისობა** იმართებოდა. დღეობაზე მოჰქონდათ ქადები და სანთლები. უფრო ახალგაზრდობა ადიოდა ამ ხატში. მიჰქონდათ რამდენიმე ბოთლი არაყიც.

სამლთომალალში დღეობას არ იხდიდნენ, თუმცა ქადებს დასერავდნენ და სანთლებს აანთებდნენ. იგივე წსებს ასრულებდნენ **გძელას ნიშშიც** (აქ იხდიდნენ **ამალლებას** და **ლომისობას**). „წმინდა გიორგი ხომ თორმენამესთან ერთადაა და ერთი ხატობა იყო თორმენამობა“.

სააღდგომო (სარიგო მთა ხატისა)

ამ მთას ნახევარი სოფელი ერთ წელს გათიბავდა და ნახევარიც მეორე წელს. ვინც სააღდგომოს გათიბავდა (20 მთიბლისა ერთ დღეს), ის ვალდებული იყო აღდგომისათვის მიეტანა 6 ვედრო ღვინო და ქვევრი აევსო. ჩაასხამდა ერთი დღით ადრე (შაბათს ჩაასხამდა კვირისათვის). ქვევრი იდგა **ხატის მარანში**. ღვინო მოჰქონდა ბარიდან. ქვევრის ავსების შემდეგ ღვინო კიდევ უნდა დარჩენილიყო შაბათ ღამეს დასალევად დაახლ. 20 კაცისათვის. კვირა დღით ქვევრს მოხდიდა დეკანოზი, ნახევართუნგიანით გამოიტანდნენ და სვამდნენ. ქვევრს ვერ ცლიდნენ ბოლომდე. ეს იყო **ხატის ბეგარა** (კულუხი).

გლუვი

გლუვი – ეს არის ხატის სათიბი 15 მთიბლისა ერთ დღეს.

ნახევარი სოფელი ამასაც ერთ წელს მოთიბავდა და ნახევარიც მეორე წელს. ნახევარი სოფელი **გიორგობისთვის** (გიორგობისთვის 10-ში ძველი სტილით, ახლით 23 ნოემბერს)

1 ქედილას ყიდულობდა. სასმელი იყო ხატის მამულების პურისა, რაც სოფელმა გამოხადა.

მნათე და დასტური

მნათე ერქვა ოჯახს, რომელიც ხალხს ემსახურებოდა დღეობაში. ყოველწლიურად 2-3 მნათეს გამოყოფდნენ. **დასტური** აქ არ იყო. ხევსურეთსა და გუდამაყარში დასტური ერქვა ლუდის გამომხდელს.

ნატიალევი

თუ ოჯახი ამონყდებოდა ან გადასახლდებოდა და ადგილი უპატრონოდ დარჩებოდა, იმას ერქვა ნატიალევი. ასეთ მამულს მამიშვილობაზე იყოფდნენ. მაგ., ტიალად დარჩა **უძილანთ ბერას** ადგილი, რომელიც ბიძაშვილებმა გაიყვეს. ამ ადგილს ეწოდება **ჭალა და ყანაბირაჲ; წინიკაანთი** დარჩა ტიალად მამული – **წისქვილთანაჲ**, რომელსაც ხმაროდნენ მათი განაყრები **შატიანნი**.

არაგვის შესახებ

არაგვის ხეობად ითვლებოდა მთელი ხეობა რაცაა ისა ლუდიდან მცხეთამდე.

სოფ. დავითურების ტოპონიმები

სახნავეები: ბალიათი, ჯვარიმინა, ბერიმინა, გძელები, სალინოსვევი, ჯებაბურა, ტოტივრის ჭალა, საჯარე.

სათიბები: ქობნი, შავინწყლისღელე, გახვრეტილი კლდე, ხატიმთები, საწველნი, სააღდგომო, დიდმთა, სალორეკლდე,

ჩირდილა, ფიცარნი (ფიცართქედი), ჩანჩხნი, ყორიანთვევი, ჯორწინაანი, საყანო, გლუფი.

საძოვრები: ყორიანთვევი, ბალათქედი, სანაგვეთქედი, სახარეთქედი, ტოტიურთჭალა, ძველი ციხიქედი.

წყლები: მერისწყალი, სალინოწვევისწყალი, აღმასანყარო (წყაროა), ჭანჭახი (წყაროა), სამურეთწყარო (წყაროა).

სოფ. უკანამჯარი 17/VII-79 ნ.

შალვა ივანეს ძე მნათობაშვილი (დაბად. 1938 წ.)

სოფლის წარსულიდან

ნასოფლარი უკანამჯარი მოფენილია კოშკებით, გალავნით, ციხე-სახლებით. სოფელს მიღებით ჰქონია შემოტანილი ორი წყალი: **სხალთუკნის წყარო** (სხალთუკნიდან; სათავედან სოფლამდე მიღების სიგრძე დაახლ. 1,5 კმ-ია. სათავეში აუზიც ჰქონია. მიღების ნაშთები ეხლაც ჩნდება), **პატარა წყალთწყარო** (გამოყვანილია ჩუხურიანთ ტყიდან დაახლ. 1,5 კმ-ით). ერთ წყალს რომ მიაგნებდა მტერი და დაუწყვეტდა სოფელს, მეორეს აღარ მოუძებნიდა, სოფელს კი წყალი არ აკლდებოდა.

სოფელს გვერდზე კალოც ჰქონია. ამ ადგილას ახლაც **კალოს** ეძახიან.

სოფელში შემორჩენილი კოშკებისა და გალავნის ნანგრევები ქვითკირისაა. ნასახლართა ნაშთები ზოგან მშრალი წყობითაა ნაგები. მთელი სოფელი მოქცეული ყოფილა გალავნის შიგნით. გალავნის ოთხივე კუთხეში მდგარა კოშკები.

ეკლესია (პატარა ბაზილიკა), რომელიც ნასოფლართან დგას, აუშენებიათ ძველი სოფლის მოსახლეობის ქვემოთ ჩამოსახლების შემდეგ. ყველა ხანდოელი ამ ეკლესიაში იწერდა ჯვარს.

ძველ უკანამხარში მხოლოდ მნათობიშვილებს უცხოვ-
რიათ. ლაზვიაშვილებისა და ქურციკაშვილების ნასახლარები
აქ არ არის.

სოფელ უკანამჯრის ადგილ-მდებარეობა

ჩრდილოეთიდან სოფელს ადგას **მთა მართალთქედი** (ადრე სათიბი იყო, ახლა საძოვარია). ჩრდილო-დასავლეთით ამ მთის გაგრძელებაა **ჯუხარათ მთა** (სათიბი იყო, ახლა საძოვარია). მის ჩრდილო-დასავლეთით არის **მთა ყორიული** (ადრე სათიბი, ახლა საძოვარი). ამის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით არის **მთა ეფჩხნიეთი** (ადრე სათიბი, ახლა საძოვარი). ამის გაგრძელებაა დასავლეთით **ბადრიანთ მთა**. ამის დასავლეთით მდებარეობს **მზორეთ სერი** (ხანდო – ქსნის გამყოფი მთა). ამის შემდეგ მოდის **საყდარი** (ქსან-არაგვის სალოცავი), რომელიც მზორეთ სერის დასავლეთითაა აღმართული; გადასასვლელს ქსანში ეწოდება **ქსნის ყელი** (ქსნელებისათვის კი იგი ხანდოს ყელად არის ცნობილი). ამის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთით არის **ხატიმთა** (სათიბი), რომლის სამხრეთ-დასავლეთით **ღარძედის სერია** (სათიბი). მის სამხრეთ-დასავლეთის – **გრძელღელის სერი** (სათიბი), მის სამხრეთ-დასავლეთით – **დეკთსერი** (სათიბი), მის სამხრეთით – **მუზარადის სერი** და **კუდეთ სერი** (ორივე სათიბებია). მათ სამხრეთით არის **წყალიათის სერი** (საძოვარი). შემდეგ მოდის **ლესარი** (წითელი და თეთრი ლესარი, სალი კლდეა ჩამოშლილი სამხრეთ მხარეს). ლესარის გაგრძელებას სამხრეთით ეწოდება **იალანი** (საძოვარი). იალანის სამხრეთითაა **თხილათქედი** (საძოვარი). მის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა **ახო** (ადრე სახნავი იყო, ახლა საძოვარია). თხილათქედის აღმოსავლეთით კი ჩამოდის **ბოჩეთის ჭევი** (წყალი; ამ წყლის ერთი ნაწილი უკანამხრისაა; ხევს გაღმა კი ვეშაგურებისა და წინამჯრისაა).

ამის შემდეგ მთხრობელი ჩაუყვება მთელს ხანდოს ხეობას და ასახელებს შემდეგ ადგილებს: მთხრობლის თანახმად ბოჩეთი გრძელდება როგორც ხანდოს ჳევის საზღვარი აღმოსავლეთი მხრიდან სოდევე-მეჯილაურის ხევამდე. მეჯილაურის ხევის გაღმაა **ჩირდილი** (მარჯვენა ფერდი ხანდოს წყლის დაყოლებით); უფრო ქვევითაა **ფიჭვთქედი**. ამით მთავრდება ხანდოს წყლის მარჯვენა მხარე. ხანდოს ხევის მარცხენა მხარესაა: **ჯუხარათქედი, ხუციანთკარი, ვეშაგურები, წინამხარი და მთავარანგელოზი**.

ტოპონიმები:

მამულები: ახო, ჩორჭალა, ზღურთლი, ტყეთავი, ნაქერალა, მალრანი, პატარა საგულელების ქედი, დათვისნაყორი, ჭალა, ვაჩიმა, უღრული, ღორღნელი, კალოთანა, ლაშნიეთი, ლორო, ნაყანები, ნარუვანა, ლაჭიურა, დიდქედი.

სათიბები: კუდენი, მუზარადა, ბელთაშუა, დეკნი, გრძელღელე, დიდველი, ლარზედა, ხატიმთა, თივანითელი, გვერდიგვერდი, ლაჭიურა, არიულა, დიდიკლდისთავი, დიდიკლდისბოლო, ლოროსთავი, სალოცავი ქედი, ჯაჯაგუდა, ბადრიანთ მთა, მოჩეთარი.

საძოვრები: იალანი, ლომიმთა, კუდენი, ნაყანებნი, ლეკნი, ნარვანა (ნარუვანა), ლაჭიურა, მზორე, კონცხნი, ეფჩხნიანი, ყორიული, გამომლილი კლდისთავი, გამოქობილი კლდისთავი, ჯუხარამთა, მართალთქედი, საბოლოკენი, ველტყიანი, წვერის ანგელოზის ბოლო, ქვიშრობი, ჩორჭალა.

ტყეები: სამოცხრიანი, ფიჭვთქედი, უღრულისჳევი, მიწევი, ელიისქედი, ნაყანებთტყე, ლეკთტყე, მოჩეთრის ტყე.

გზები და ბილიკები: ზღურთლთგზა, ტყეთავის გზა, ლომთგზა, კუდეთგზა, ნაყანებთგზა, ლაჭიურას გზა, მზორეთგზა, მოჩეთრის გზა, ქუხარათმთის გზა.

წყლები: ქალისწყალი, კუდეთწყალი, ღარძედის წყალი, ნაყანებთწყალი, მოჩეთრის წყალი, ყორიულის წყალი, ლესრის წვეი, ბოჩეთის წვეი.

სალოცავები: საღმთომაღალი, ზემოჯორთ წმინდა გიორგი, ქომოჯორთ წმინდა გიორგი, მთავარი წმინდა გიორგი, კვირია, ადგილის დედა, ლომისის ნიში, ლომთ წმინდა გიორგი, ზღურთლთ სალოცავი, წმინდა სამება (მოთიაშვილებისა), წვერის ანგელოზი (გვრიტიშვილების, ჯუხრაშვილების სალოცავი).

ჯუხარაშვილებს ადრე უცხოვრიათ მალლა, წვერის ანგელოზის მიდამოებში, სადაც ნასახლარებიც არის შემორჩენილი. მერმე ჩამოსულან დაბლა **ჯუხარათ ქედზე**. ერთადერთი ოჯახი მიხა ჯუხარაშვილისა ჩამოსულა **ჩორჭალას** – უკანამხრის ბოლო უბანში. მისი ძმა შალიკო ქართალაში ჩასახლებულა.

წმინდა სამება მდებარეობს ლომისის წვერზე. ამ ადგილის სახელწოდებაა **იალანი**. ეს სალოცავი მოთიაშვილებისა იყო (სოფ. მეჯილაურები), მაგრამ იქ უკანამხრელებით ადიოდნენ.

ადგილს, სადაც ნიში დგას, ეწოდება **საყდარი**. ის მდებარეობს ქსნის ყელზე – ქსნისა და არაგვის სალოცავია. ქსნელები ამ ადგილს ეძახიან ჴანდოს ყელს. ჩხუბი მოსვლიათ – ეკლესიის კარები ვისკენ იქნებოდა. ჴანდო თავის მხარეზე – აღმოსავლეთიდან ითხოვდა. კარებს, ქსანი თავის მხარეზე – დასავლეთისაკენ. ბოლოს ჩხუბს მსხვერპლიც მოჰყოლია, ხოლო კარები სამხრეთი მხრიდან გააკეთეს, მაგრამ ჩხუბის შემდეგ ხანდოსხვევლებს იქ სიარული შეუწყვეტიათ.

სოფ. წითლიანთკარი 16/VII-79
ვანო პავლეს ძე მნათობიშვილი (დაბად. 1911 წ.)

წითლიანთკარის შესახებ

ადგილი, სადაც ახლა სოფელია გაშენებული, ხანდოს მამული იყო (ე. ი. სახნაურები). მას ხნავდა ხანდოს ყველა სოფელი. მოჰყავდათ წმინდა (იგულისხმება ხორბალი) ქერი, ქერსვილი და ფეტვი.

წითლიანთკარში პირველი დასახლდა ვანო გვრიტიშვილი (მეჯილაურთიდან). მეორე გამოსულა პავლე ვეშაგური (ვეშაგურებიდან), მესამე – ალექსი ჯანიაშვილი (სოდევედან), მეოთხე – მათე მოთიაშვილი (მეჯილაურთიდან), მეხუთე – პავლე ჯუხარაშვილი (ჯუხარაანთკარიდან), მეექვსე – თეკლე ბიბილაშვილი (იგი წინამჟრიდან გამოთხოვილა ბიბილიანთკარში. გვარად იყო მელიქიშვილი. ბიბლიანთკარიდან ჩამოსახლდა წითლიანთკარში), მეშვიდე – პავლე მნათობიშვილი (მთხრობლის მამა; უკანამხრიდან ჯერ შირაქში გადასულა საცხოვრებლად, იქიდან ჩაბრუნებულა უკანამხარში, აქედან კი ჩამოსახლდა წითლიანთკარში).

წითლიანთკარში ხალხს სამჯერ უცხოვრია. ორჯერ მცხოვრებნი დახოცილან ციებისაგან. ხეებიც ყოფილა ჭალაზე (მურყანი მდგარა), არაგვი ერთ ლელეში მომდინარა; ჭაობის კოლოს შეუწუხებია ხალხი. ვინც გადარჩა ისინიც წასულან. ეხლანდელი დასახლება არის მესამე დასახლება.

წითლიანთკარში მხოლოდ ამალლების დღეობა იცოდნენ. ეს დღეობა მოდის მაისში ან ივნისში. გადიოდნენ მინდორზე, ეხლანდელი ტურბაზის უკან. შეკრებილი ფულით ყიდულობდნენ საკლავს – ერთ ჭედილას. არაყის გამოსახდელად ფქვილს კრებდნენ სულზე 1 კგ-ს. არაყს გამოხდიდა მნათე. მნათეობა იყო მორიგეობით, ყოველწლიურად თითო ოჯ-

ახს გამოჰყოფდნენ. სოფელში შეკრებილი ფულით საკლავსაც მნათე ყიდულობდა. ხუთი წელია რაც ეს დღეობა მოიშალა.

სოფ. უკანამჯრის შესახებ

უკანამჯრის გვარები:

მნათობიშვილები, ლაზვიაშვილები, ქურციკაშვილები.

მნათობიშვილების დანაყოფები: პაპუჩიანი, დათუკანი, ჭიჭკიანი, თათრიანი.

მთხრობელი დანაყოფებს **კომებს** უწოდებს.

მნათობიშვილი ადგილობრივი გვარია. ამ გვარიდან ზოგი ჩასახლებულა წილკანში, წეროვანში, ბოდორნაში, ციხისძირში, ზემოქედში.

უკანამჯრის სალოცავები და დღეობები

მთავარი სალოცავია **წმ. გიორგის თეთრი ეკლესია**, სადაც ძველი სტილით 21 ივლისს იმართებოდა **ათენგენობა**. აქ წილდებული იყო სამივე გვარი. დღეობაში მოდიოდნენ აქედან წასულებიც (გადასახლებულებიც). ხანდოს ხევის სხვა სოფლები აქ წილდებულად არ ითვლებოდნენ. ჯუხარაშვილებიც არ მონაწილეობდნენ აქ.

ხატის მამულები და მნათეობა

წმინდა გიორგის სახელზე იყო 4 დღის სახნავი ყვერით, რასაც მორიგეობით თითო ოჯახი ხნავდა. მას ევალებოდა **კულუხის** გადახდა ხატისათვის. მთელი მოსავალი ამ მამულიდან ხმარდებოდა ათენგენობას და სხვა დღეობებს. სულ ცოტა 3 ქვაბი არაყი და 2 საკლავი ევალებოდა მორიგე ოჯახს ათენგენობისათვის. სხვა ხატებს მამული არ ჰქონდათ. გარდა

ათენგენობაზე სავალდებულო 2 საკლავისა მნათეს (ე. ი. მე-კულუხეს) სხვა დღეობებზეც უნდა დაეკლა საკლავი.

ხანდოს საზღვრები

ხანდოს სამხრეთი მიჯნა არის **ხამუშას ქალა** (სადაც „ტუნელიაო“). ხანდოს ხიდიდან იქამდე 3 კმ-ია. არაგვის დინების მარჯვნივ, სამხედრო გზის ახლოს არის ნასახლარები, დიდი ქვებით (დიდვაკის ზემოთ).

კაჭალობი – ეს არის ხამუშას ქალის პირდაპირ. ესეც არის სახანდოოს საზღვარი.

ჩრდილოეთიდან სახანდოოს საზღვარია **ცხვედიეთის ხევი**, რომლის პირდაპირ არის **გვრდიმი** (მთა). ეს მთა გადაწყურებს ცხვედიეთის ხევს და არის სახანდოოს საზღვარი ნითლიანთკართან.

მთავარანგელოზის ეკლესიიდან (სოფ. წინამწრიდან) ხანდოელებს წმ. გიორგის ხატი წამოუბრძანებიათ და დაუბრძანებიათ ცხვედიეთის ხევის პირდაპირ, მთა გვრდიმის დაბლა; ჩაუსვამთ ორი სამანი (ორი კოხი) და ამით დაუსაზღვრიათ. სამნების ადგილზე საკლავი დაუკლავთ და დაურისხებიათ ვინც ამ სამნებს ამოყრიდა. დარისხებისათვის ყური არ უთხოვებიათ ვასო და ილიკო ბიბილაშვილებს (ძმებს) და სამნები ამოყურიათ. 4-5 წლის შემდეგ ეს ძმები დახოცილან (ბიბილაშვილები – ბიბლიანი წარმოშობით ოსებია. ბიბილა ყოფილა მათი წინაპარი და მასზე მოდიან ბიბილაშვილები).

სოფ. უკანამწარი 17/VII-79 წ.

ვანო დარჩიას ძე მნათობიშვილი (დაბად. 1891 წ.)

სოფლის წარსულიდან

სოფელ უკანამწარის ნასახლარია წმ. გიორგის სალოცავი და მისი მიმდებარე ტერიტორია. აქ ცხოვრობენ **მნათობიშვი-**

ლები, აგრეთვე **ლაზვიაშვილები** და **ქურციკაშვილები**. სამივე გვარი ხატის (წმ. გიორგის) ყმანი ვართ და ამიტომ ქალის უთხოვრობა მოდისო. შემთხვევა არც ყოფილა დღემდე.

მთხრობლის თანახმად დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე ყოფილა ტყე, მერე გამოსულა ნამზღვევეი, რომელზედაც შემდეგში ჩამოსახლდა წმ. გიორგის სალოცავის ზემოაღნიშნული ტერიტორიიდან ხალხი. აქ ჩამოსულა მთხრობლის პაპა **მამუკა**. დარჩია (მამუკასძე) – მთხრობლის მამა აქ დაბადებულა.

უკანამჯრის გვარები

მნათობიშვილები (ამათი წინაპარი ხევსური ყოფილა. მას კაცი შემოჰკვდომია, აქ მოსულა და ადგილი უთხოვია).

ლაზვიაშვილები, ქურციკაშვილები – უფრო ძველნი არიან, ვიდრე მნათობიშვილები. ლაზვიაშვილები ფშავიდან არიან. ქურციკაშვილები საიდან არიან არ ვიცითო.

მნათობიშვილების დანაყოფები: ჭიჭიკაანი, დათუკაანი, თათარაანი, პოვჩაანი, ჩუხურიანი, ბერიკაანი;

ესენია **მამიშვილობანი** და იყოფიან **კომად-კომად**. ოჯახს აქ ეძახიან **კომლს**.

ლაზვიაშვილების დანაყოფები (მამიშვილობანი): ბაჭკაანი, ოთარაანი, მუსტარაანი, პეტრიანი, ფაცხვერიანი;

ქურციკაშვილების მამიშვილობანი: ქურციკაანი, სახლიანი, გივიანი.

ამანათი

თათარაანი თათარზე მოდიან. თათარი შემოჰკვდომია თათარს. გამოქცეულა, აქ შემოხიზნულა, მნათობიანობაზე დაიწერნენ. აქ დასახლება ითხოვა. ორი კომლია ახლა აქ.

ხატის ყმობა; ჯუხარაშვილების შესახებ

ჯუხარაანი უკანამართან საერთო ადგილები არ ჰქონიათ. ჯუხარაანი უკანამხრისაგან გამოყოფილია **ბაჭკაანთ** ჯვით.

ჯუხარაანი ადრე მალლა ცხოვრობდნენ; **წვერის ანგელოზი** ჰქვია ახლა იმ ადგილს (სალოცავია გვრიტიანებისა და ჯუხარაანთი). წვერის ანგელოზის ეს ხატი გუდამაყრიდან (ათნოხიდან) მოიპარეს ჯუხარაშვილებმა, რომელთაც მანამდე ხატი არ ჰქონიათ. ცხვარში მწყემსად ყოფილა ერთ-ერთი ჯუხარაშვილი, იგი ასულა მალლა ხატში, გუდით ჩამოუტანია ვერცხლის ჯვარი და დაუბზანებია თავის სოფელში. გუდამაყრელებმა რომ გაიგეს ხატის მოპარვის ამბავი, წამოსულან აქეთ ხატის წასაღებად, მაგრამ როცა მათ და „ხატის გამტაცებლებს“ ერთმანეთზე გაუწევიათ უკვე, ხატს ახლოს არ მიუშვია ერთმანეთთან. გუდამაყრელები და ჯუხარაშვილები ამის შემდეგ შერიგებულან, გადაუხდიათ **სამხდო** და გათავებულა მტრობა. მაგრამ ხატს დროდადრო წააბრძანებდნენ ხოლმე ათნოხში (ბავრაცს წააბრძანებდნენ დეკანოზები, თან საკლავს გააყოლებდნენ. ათნოხიდანაც გამოიყოლებდნენ საკლავს და ასე იხდიდნენ დღეობას). ეს იყო წვერობის დღეობისას.

გვრიტიშვილებმა მეჯილაურთიდან შესთხოვეს, რომ ჩვენც მიგვიღეთ ამ ხატის ყმადო. ისინი შეენიღნენ ყმად. გვრიტიშვილები და ჯუხარაშვილები აქ ერთად იხდიან **წვერობას** (წვერის ანგელოზის დღეობას, რომელიც ივლისის თვეში მოდის). გვრიტიშვილებმა მორეკეს საკლავები და დაუკლეს ხატს. ამრიგად ისინიც ხატის ყმები გახდნენ. მას შემდეგ, რაც ჯუხარაანი და გვრიტიშვილები ერთი ხატის ყმანი გახდნენ, ქორწინება (რაც ადრე მათ შორის წესად ყოფილა) აიკრძალა მათში.

სახატო მამულები და მნათეობა

წვერის ანგელოზს ჰქონდა მამულები. ეს მამულები ამ ხატს ჯუხარაანთ შესწირეს. ეს იყო 3-4 დღის მამული (ყვეარი ხარისა). 2 კომი მოხნავდა, ჩალა მათ დარჩებოდა, პური კი მარტო ხატს ხმარდებოდა. მისგან გამოხდიდნენ 4-5 ქვაბ არაყს სხვადასხვა ხატობისათვის. ამ მამულის დამუშავებაში გვრიტიშვილები არ მონაწილეობდნენ. შეიძლება ამ ხატის სახელზე გვრიტიშვილებს მამულები მეჯილაურთაში ჰქონდათ. ხოლო რაც შეეხება ჯუხარაანთ, მათ მეტი სახატო მამული არ ჰქონიათ.

თვით უკანამხარში წმინდა გიორგის სახელზე იყო მამული (5-6 დღის სახნავი). ამავე ხატის სახელზე შეწირული იყო **სათიბები** (20 კაცის გასათიბი, 3 ნაჭერი იყო: **ღარზედა, ხატიმთა, თივანითელი**). წმ. გიორგის სახელზე სახნავი ადგილები კი ინოდებოდა შემდეგნაირად: **მზორე და ზედავაკე** (ორივე 3-3 დღის სახნავი იყო).

ხატის მამულს მთელი სოფელი მოხნავდა, დათესავდა, მომკიდა. ამის შემდეგ **მნათეები** (5 კაცი ინიშნებოდა მნათედ წელიწადში) მოიტანდნენ ძნას **მნათობიანთ კალოზე**, გალენავდნენ და დიდ ფიცრის ბელელში (ეს ბელელიც ხატისა იყო) ჩაყრიდნენ (ქერსვილს, დიკაპურს). არაყს მნათეები გამოხდიდნენ და ეს არაყი ხმარდებოდა დღეობებს. ვინც ხატის სათიბს გასთიბდა, მას ბეგარა მოჰქონდა (სთიბავდა 3 კომლი თითო ნაჭერს). ვისაც სათიბი აკლდა, ის გათიბავდა. თითო ოჯახი მიიყვანდა თითო საკლავს და მიიტანდა 4 თურგ (1 თუნგი=4 ჩარექა) არაყს. ეს იყო ბეგარა.

მამულები და სათიბები სხვა ხატის სახელზე უკანამწარში არ იყო.

მთავარი სალოცავები

(ხანდოსი და საკუთრივ უკანამწრისა)

წმ. გიორგი, კვირეცხოველი, ადგილისდედა, ლომისა, ლომთ წმინდა გიორგი, წმინდა სანება (იგი დგას მთაზე, ეს არის ჯანიაშვილების სალოცავი, ჯანიაშვილები სოდევედან არიან. აქვე ლოცულობენ მოთიაშვილები მეჯილაურთიდან. თუ ვინმე შეუთქვამდა, უკანამწრიდანაც ადიოდნენ იქ. წმ. სანებას სოდევეს მთა ჰქონდა შანირული, ვინც გასთიბავდა, ის მიიტანდა ბეგარას. ეს მთა მეჯილაურს არ ეკუთვნოდა).

მთავარანგელოზი (ამ სალოცავში ხანდო და ქსანი ადიოდა. აქ ჩხუბი მოსვლიათ, მომხდარა მკვლევლობა და მოშალეს აქ სიარული. შემდეგ ეს მთავარანგელოზის სალოცავი გადაიტანეს წინამწარს, სადაც ეხლაც იხდიან პეტრეპავლობას. ადრე ეს დღეობა სცოდნიათ მთავარანგელოზის ზემოაღნიშნულ ძველ სალოცავში (გვერდი-გვერდ მდებარეობდა). იგი მთელი ხანდოს სალოცავი ყოფილა. როცა წინამწარში გადააბზანეს, იმასაც მთელი ხანდო ლოცულობს. ჯვრისწერა ადრე იცოდნენ მთავარანგელოზის ეკლესიაში, შემდეგ კი, დაიწყეს უკანამწრის ეკლესიაში).

სახატო დღეობები

ათანგენობას (მოდის ივლისის ბოლო შაბათს) იხდიდნენ წმ. გიორგის სალოცავში. სასმელი ხატის მამულისა იყო. საკლავი მორიგეობით ეკისრებოდა თითო ოჯახს. 1 საკლავი უნდა დაეკლა მორიგე ოჯახს (სარიგო მიერგოთ). საკლავი იყო ჭედილა ან დედალი ცხვარი. ეს დღეობა ხევსურეთშიც სცოდნიათ. რაკი მნათობიშვილები ხევსურეთიდან არიან, ამიტომ აქაც ათანგენობას იხდიდნენ.

კვირეცხოველობას (აღდგომის სწორზე) იხდიდნენ კვირეცხოველში. აქ სასმელი მნათეების მიერ ხატის მამულის პუ-

რიდან გამოხდელი არაყი იყო. საკლავი კი აქაც მორიგეობით იყო (ერთი საკლავი სოფლისთვის ერთი მორიგე ოჯახიდან).

ხალარჯობა (მოდიოდა მაისში) იმართებოდა ადგილის-დედაში. სასმელი იგივე. საკლავს კი სოფელი ყიდულობდა.

ლომისობაზე (მოდიოდა ხალარჯობის მეხუთე დღეს) საკლავი მორიგეობით იყო (როგორც ათანგენობაზე და კვირეცხოვლობაზე), არაყი კი ხატის მამულისა იყო.

ძროხების დღეობას იხდიდნენ ლომთწმინდაგიორგის ხატში (ნიშში). დედაკაცები აიტანდნენ ნიშში ქადა-პურს, სანთელს, არაყს (საკლავი არ იციან), არეკავდნენ მენველ ძროხებს ლესარს, ხატის გარშემო სამჯერ შამაავლევდნენ (შემოავლევდნენ) და დალოცავდნენ, იხვენნიდნენ გოგიმრავლე საქონელიო, ბარაქიანი წველა მოგვეციო. ადიოდნენ კაცებიც, მაგრამ ამ წესს ასრულებდნენ დედაკაცები. თუ დედაკაცი ვერ ავიდოდა, მაშინ ამ წესს კაციც ასრულებდა.

პეტრეპავლობა იმართებოდა მთავარანგელოზის ხატში.

ბავრაყი

ბავრაყი, რომელსაც დაატარებდნენ ხატობაზე, ინახებოდა უკანამჯრის წმ. გიორგის ეკლესიაში. აქედან გააბრძანებდნენ მთავარანგელოზის ეკლესიაში (წინამჯარს), ხოლო როცა დღეობა მორჩებოდა, ბავრაყს დეკანოზები ისევ წმ. გიორგის ეკლესიაში დააბრუნებდნენ შესანახად.

სოფ. სოდევე 18/VII-1979

ლადო პავლეს ძე გვრიტიშვილი (დაბად. 1924 წ.)

სოფ. სოდევე (ზოგადი ცნობები)

სოდევეს რაც ჩამოუდის, მას ეწოდება **სოდევის ჭევი ან ჭევი**. ამ ჭევს ერთვის **სამაღლებოს წყალი**. ამ ორ წყალს შუა

ქედზე – მთავარანგელოზის ქედზე არის **ნაციხვარები** (სამი ციხის ნანგრევია).

თითოეული ციხე 3-4 სართულიანი იყო, შემდეგ დაშალეს და კოლმეურნეობის გომური ააშენეს (თავმჯდომარე იყო პავლე გვრიტიშვილი) ეს ციხეები ლეკიანობის დროს აშენდაო. ციხის ადგილს ახლა მთავარანგელოზია.

სოდევეს ძველად უცხოვრია **ორბეგს** (სადაც შემორჩენილია ახლაც აკლდამები, ნანგრევები აღარაა). იქიდან შემდეგ აქ გადმოსულა სოფლის მოსახლეობა. ძველ სოდევეში 2-3 კომლი ყოფილა.

ხანდოს ხევს სოდევე-მეჯილაურთაგან გამოყოფს **ბოჩეთის ქედი** და **კვირიას** ქედი; დაბლა, საიდანაც შემოადგები სოდევე-მეჯილაურებს, არის კვირიას ქედი.

სოდევედან გადადის გზები ქსანში და ოსებში; ქართალსა და უკანამხარში.

1) **ქსანში** გზა გადადის შემდეგი პუნქტების (ადგილების) გავლით; გავივლით **გლუვზე**, **უკანაგლუვში** ავალო, გადავალთ **ქსნის ყელში**, იქიდან ჩავალთ **კვერიათში** (ქსანზე), აქედან კი გავალთ შარა გზაზე და ჩავალთ ქსნის სოფ. **მახიარეთში** (ან მეორე სოფელ **თოხთში**).

2) **ოსებშიც** გადადის გზა, სოფ. **საფერშეთში**. ამ სოფელში რომ ჩახვიდე, გაივლი **ორმოხნულს**, **ტბას**, **ბუათკარს**, გავივლით მთას – **მირმანანთ ნასახლარს** (ოსებია) და იქიდან ჩავალთ გასაველ ხევში, საიდანაც უკვე ჩავალთ სოფ. **საფერშეთში**.

3) **ქართალში მისასვლელი გზა** გადის შემდეგ სამარშრუტო პუნქტებს (ან ადგილებს): **ელიისქედი** → **ასხრეპილი** → **ხამუშა** → **ფშა** → **მუგუდა** (ქართლის სოფელია).

4) **გზა უკანამჟარში**: ხურსის გზა → **ბოჩეთი** → **პოვლიანთკარი** → **უკანამხარი**.

ტოპონიმები

სახნავეები: კუჭულა, ლორუა, ბინავეთი, არყი, უკანაგლუვი, ნორონალი, ვაკეები, ჯოფა, ხამლა, პირიქით ლუგული, ლუგული, გორანეთი, სამალღებო, საქერე, ფეტორბედი, ჭალათპირი, ვაკეები, წინაგარდა, მზორე, ორბეგი.

სათიბები: გლუვი, ნატბევი, შუბლა, ორმოხვილი.

საძოვრები: ხურსალი, ველკეთილი, ტირიფა, საქერე, საგუბარი, ნორონალი, აძიენი.

ტყეები: საქერე, მზორე, აბუა, ზურაბის ნაკაფი, დაცულტყე, შაკრული ტყე, ნაცრიანი.

გზა-ბილიკები: ხუსშლის (ხურშლის ?) გზა, გლუვის გზა, ხოფის გზა, საქერეს გზა, ორმოხვილის გზა, ნაცრიანთ გზა.

წყლები და წყაროები: ორმოხვილის წყალი (წყარო), სარნა (წყარო), ბოჩეთის წყალი (მდინარე), სამალღებოს წყალი (მდინარე), **საკუთრივ სოდევის ხევი**, სანილე წყალი, (წყარო), ჯოფის ჯევი (მდ.), ბებერას წყალი (წყარო), სოფლის წყარო (რასაც სასმელად იყენებენ).

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები

ბუდე (ერთი ბუდისანი ვართ) – ეს ნიშნავს, რომ ერთი მოდგმისანი ვართ, ერთი მოდგმა გვაქვს. მაგ. ბათირაანი და მათგან გამოყოფილი გაგაანი ერთი ბუდისანი არიან. ერთი **ძირისანი** ვართო, ესეც ითქმის.

ამდენად ბუდე=ძირს და=ერთ წარმომავლობას, მოდგმას.

მოსამპირავნი=ადრე გაყრილი ბიძაშვილობა. მაგ ბათირაანთ მოსამპირავნია გაბიდაურები (ე. ი. ადრე გაყრილები და წასულები).

მეჯილაურებშიც არიან მაგ. გვრიტიშვილების მოსამპირავნი (ასევე გვრიტიშვილები).

ძირითადი გვარები

სოდევემი ცხოვრობენ გვრიტიშვილები და ჯანიაშვილები.

გვრიტიშვილი ადგილობრივი გვარია. მთხრობელი ამბობს – იკოთში მითხრეს, რომ ლენინგორის მხარეს რაც გვრიტიშვილები არიან, სოდევედან გადასულანო.

გვრიტიშვილების სალოცავში – **წვერის ანგელოზში** (რომელიც მდებარეობს ჯუხარაანთ ზემოთ; მათ ძველ ნასოფლარში), ქსნის ხეობიდან მოდიოდნენ გვრიტიშვილები კურატი.

მანგლისშიც არიან გვრიტიშვილები და **გაბიდაურები** (წარმოშობით გვრიტიშვილები არიან). ისინი მანგლისიდან მოდიან საკლავით (კურატი, ჭედილა) და სასმელით.

სოდევედან წასულები შირაქშიც არიან. გვრიტიშვილების ერთი ნაწილი (კოფია გვრიტიშვილი – ბერიანთი და ვანო გვრიტიშვილი ბერიანთი) ნელადხანს გადასულან ხამუშაში. მათი იქ დასახლებამდე ხამუშაში არავის უცხოვრია. ხამუშას ჭალაზეც მეჯილაურელ გვრიტიშვილებსა და მოთიაშვილებს სახნავი და საძოვარიც ჰქონიათ. იქ ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ დროებით – შემოდომიდან გაზაფხულამდე. ცხოვრობდნენ ზოგი სახლში, ზოგიც ქოხში. საქონელს რომ გამოკვებავდნენ, უკან ბრუნდებოდნენ.

მეჯილაურებშიც არიან გვრიტიშვილები – 7 კომლი – ესენიც ჩვენი მოსამპირავნი არიან, თქვა მთხრობელმა. წითლიანთკარშიც არიან ჩვენი მოსამპირავნი.

მეჯილაურებში მცხოვრები გვრიტიშვილების დანაყოფებია: **კაციაანი, სეხნიაანი, ნადირაანი, დეკანოზიანი, ბერიანი**. ესენიც წვერის ანგელოზის ყმანი იყვნენ და წვერობა-

ზე გადიოდნენ. მეჯილაურების გვრიტიშვილებს თვით მეჯილაურებში ხატის მამული არ ჰქონიათ. ისინიც სოდევეში მორიგეობდნენ ხატის მამულების დამუშავებაში.

მეჯილაურებში გვრიტიშვილებს არა აქვთ ცალკე სალოცავები. თუმცა სოფლის სალოცავებში მონაწილეობდნენ. ყველა გვრიტიშვილის სალოცავია წვერის ანგელოზი ჯუხარაანთკარში.

ეხლა სოფელში გვრიტიშვილების 6 კომლია. სხვა დროს 17 კომლზე მეტი გვრიტიშვილი არ ყოფილა.

სოდევეში ცხოვრობენ **ჯანიაშვილებიც**. ისინიც ადგილობრივი გვარია. ახლა სოფელში მათი 3 კომლია (მთხრობლის ახალგაზრდობაში 10 კომლამდე იყო). ჯანიაშვილების სალოცავია **წმინდა სამება**, რომელიც მდებარეობს გლუვის წვერზე.

მოსული გვარები და ძესიძეობა

სოდევეში შიო ქავთარაძე ჯანიაშვილებთან ძესიძედ მოსულა. შიო ქავთარანიდან (მდებარეობს ფასანაურის ზემოთ) მოვიდა. იგი ჩაესიძა ჯანიაშვილებს. ძესიძეობა მიღებული იყო. ძესიძე ეპატრონებოდა ცოლის მამულს, ცალკე მას მამულს არ გამოუყოფდნენ.

შიოს შვილი იყო გიგო ქავთარაძე.

გვრიტიშვილების დანაყოფები (გაყრილობანი)

ბათირანი, ჯუხარანი, ელიზბარანი – ეს გაყრილობანი ახლაც სოდევეში არიან. სოფელში ახლა სულ სამი გაყრილობა ვართო – ამბობს მთხრობელი.

ბჟუიანი, კოფიაანი, ახალანი – ეს სამი გაყრილობა წასულა სოდევედან.

ბათირანთგან გამოიყო გაგაანი.

გაყრილობაში შედიან კომები (=ოჯახები).

ჯანიაშვილების გაყრილობანი: ჩიკრიკიანი, ბეჟანაანი, ნასყიდაანი.

მამულებით სარგებლობის წესი

სახნავეს შესვენებით იყენებდნენ: ერთი მხარე რომ ისვენებდა, მეორე საძოვრად გამოიყენებოდა და პირიქით.

სათიბები მალლა მთაში იყო. ცხვარ-ძროხა ერთად სძოვდა.

სოფლის უბნებად დაყოფის წესი

სოფელში არსებობდა უბნები გვარების მიხედვით: ადრე გვრიტიშვილები ერთ უბრად ცხოვრობდნენ სოფლის ქვედა ნაწილში, ხოლო ჯანიაშვილები ცხოვრობდნენ ცალკე უბნად სოფლის ზემოთ. უბნებს თავ-თავადი სახელები არ ჰქონიათ. ახლა შერეული დასახლებებია.

სოფლეს სალოცავები

საერთო სასოფლო: **წმინდა გიორგი** (მდებარეობს იმ ადგილას, რომელსაც **ხურსალს** ეძახიან), **მთავარანგელოზი** (მდებარეობს მთავარანგელოზის ქედზე, იმ ადგილას, სადაც ნაციხვარებია), **კვირეცხოველი** (მდებარეობს კვირიას ქედზე, იმ ადგილას, რომელსაც **ხატთას** უწოდებენ. აქ არის კვირიას ნიშოდარბაზის ეკლესია), **ლომისის ნიში** (მდებარეობს აძივთ), **ყველანწმინდა** (მთელი ხანდოს სალოცავია ყველანწმინდა მდებარეობს მეჯილაურის ქვემოთ, **ნახვრეტ კლდეებთან**), **ადგილის დედა, ელია, აბუა**.

სოფლის სალოცავებიდან ყველაზე ძლიერია კვირეცხოველი.

წვერის ანგელოზი და წმინდა სანება (მდებარეობს ჯუხარაანთკარში) საგვარეულო სალოცავებია. ისინი შესაბამისად გვრიტიშვილებისა და ჯანიაშვილების საგვარეულო სალოცავებია. ამ ხატების ყმები იყვნენ შესაბამისად **ჯუხარაშვილები** (წვერის ანგელოზის) და **მოთიაშვილები** (წმინდა სანებისა). წმინდა სანებაში დეკანოზად ძირითადად მოთიაშვილები იყვნენ.

სახატო დღეობები

კვირეცხოვლობა (იხდიან კვირეცხოვლის ხატში; იგი მოდის აღდგომიდან მე-7 დღეს; კვირა დღეს).

მთავარაგელოზობა (იხდიან მთავარანგელოზის სალოცავში, მოდის აღდგომის სწორზე, შაბათ დღეს).

გიორგობა (მოდის გიორგობის თვის 10-ში). იმართებოდა წმინდა გიორგის ხატში.

ლომისობას (მოდის 22 ივლისს, ან გვიან) იხდიდნენ ლომისის ნიშში.

ყველამწილობა იმართებოდა ყველანმინდის სალოცავში.

გვრიტიშვილებისა და ჯუხარაშვილების სალოცავში იმართებოდა **წვერობა**.

წმინდა სანებაში (ჯანიაშვილების ხატში) იხდიდნენ **მთავრობას** (10 აგვისტოს).

თუ როგორ გახდნენ ჯუხარაშვილები და გვრიტიშვილები წვერის ანგელოზის ხატის ყმები

ჯუხარაშვილებმა როცა ხატი მოიპარეს ათნოხიდან, მისი შენარჩუნებისათვის დახმარება სთხოვეს გვრიტიშვილებს. გვრიტიშვილებს მაშინ ხატი არ ჰქონიათ და მიუღიათ ეს თხოვნა. მათ საერთო ძალით ხატი აღარ დაანებეს ათნოხს. მერე

დაანესეს: ათნოხში მიდიოდა **ხატიონი** ბოვრაციით, საკლავით, სასმელით. ათნოხში ღამეს ათევდნენ, მეორე დღეს წამოვიდოდნენ. ათნოხელები გამოატანდნენ საკლავ-სასმელს. თავად ათნოხელები წვერობაზე არ მოდიოდნენ.

მამულები ხატის სახელზე

მთავარანგელოზს ჰქონდა მამული – **ციხესიქითი** (2 დღის სახნავი ყვერით). წმინდა გიორგის მამულს (დღენახევრის სახნავი) ერქვა **აძივთი**. ყველანმინდას მამული იყო **ვაკეები** (3 დღის სახნავი ყვერით). აქვე მეფილაურებისა იყო 1-2 დღის სახნავი – **ნაყორთძირი**. ვაკეებს ხმარობდნენ სოდეველები (გვრიტიშვილების განაყრები ელიზბარაანი).

გვრიტიშვილებს წვერის ანგელოზის სახელზე ჰქონდათ მამულები: **წინაგარდა** (2 დღის სახნავი), **გლუვი** (1 დღის სახნავი). ამავე ხატის სახელზე ჯუხარაშვილებს ჰქონდა. მამული ჯუხარაანთკარში.

ჯანიაშვილებს წმინდა სანების სახელზე ჰქონდათ მამული 3-4 დღისა – **მზორე**, სათიბიც – **ხატის მთა** (10-12 მთიბლისა), ტყეც – **მზორე**.

მორიგეობის (მნათეობის) წესი; მეკულუხეობა

ყველა სალოცავს თავისი მნათე ჰყავდა (2 ოჯახი ემსახურებოდა მნათედ). დღეობაში დაწესებული იყო **მორიგეობა** (ე. ი. მნათეობა). ორი ოჯახი რომ ერთი ხატის მნათე იყო, ორიც სხვა ხატს მოემსახურებოდა და ა. შ. მნათეს ევალებოდა **სარიგო** (3-4 ჭედილა და 20-30 ლ. სასმელი) დღეობისათვის.

მორიგეობა ოჯახობრი იყო. მაგალითად, ერთი კაცი მონაწილე მთავარანგელოზის მამულს. მას ედვა **კულუხი** (მთავარანგელოზის დღეობაში მოიყვანდა 1 საკლავს ან ჭედილას, ან ბატკანს, ან ხბოს და 2 თუნგ (8 ლ.) სასმელს; ამავე ხარჯით

იმართებოდა აგრეთვე კვირეცხოვლობა). იგი იყო **მეკულუხე, კულუხის გამლები**.

წმინდა გიორგის მამული სოდეველი ჯანიაშვილებისა და მეჯილაურელი მოთიაშვილებისა იყო. ისინი მორიგეობით მნათეობდნენ. ვინც მოხნავდა, ის გიორგობაზე მიიყვანდა ჭედილას და მიიტანდა 10 ლ. არაყს. მარტო ეს ორი გვარი მიდიოდა ხატში, სხვა გვარები კი მხოლოდ სტუმრად შეიძლებოდა მისულიყვნენ.

ყველანმინდის მამულს (ვაკეებს) ხმარობდნენ სოდეველები (გვრიტიშვილების განაყრები ელიზბარაანი). ელიზბარაანი ხმარობდნენ, ხოლო კულუხს სოფელს აძლევდნენ. ეს იყო ყველანმინდობისათვის. **მუდმივად ელიზბარაანი იყვნენ მეკულუხენი. იმათ ჰქონდათ ეს დაჩემებული**. ელიზბარაანი სოფელს აძლევდნენ საკლავს და სასმელს (15 ლ-მდე).

ამავე ხატის სახელზე მეჯილაურები მამულის დამუშავებაში იხდიდნენ კულუხს.

წვერის ანგელოზის მამულებს (გვრიტიშვილებს ეკუთვნოდა) – **წინაგარდას** და **გლუვს** ხნავდნენ შესაბამისად გვრიტიშვილების გაყრილობანი – **ელიზბარაანი** და **ბათარაანი**. ისინი მორიგეობით ხნავდნენ – 1 წელს ესენი, მეორე წელს მეორენი. ყოველწლიურად ხნავდნენ ამ მამულებს და მათ ევალებოდათ შესაბამისად **ბეგრის ცხვარი** (1 ცალი) და **ბეგრის ცხვარი ან სასმელი** (10-15 ლ.). ბეგრის ცხვარიც და სასმელიც მიდიოდა ჯუხარაანთკარში და წვერობაზე იხარჯებოდა.

წმ. გიორგის მამულს (მზორეს) ჯანიაშვილები ორ ნაწილად ხმარობდნენ, ეს იყო ორი ნაჭერი. ე. ი. ორი კაცი მორიგეობდა. ერთი ერთ ნაჭერს მოხნავდა, მეორე მეორეს. თითოეულ მათგანს ევალებოდა კულუხი (ერთი რომ ცხვარს მიიყვანდა, მეორე არაყს მოიტანდა. დეობას ერქვა **მთავრობა** (10 აგვისტოს)). ხატის მთას ვინც გათიბავდა, ის სანების სახელზე გაიღებდა 1 ჭედილას და 20 ლ. არაყს. ესეც მთავრობის დღეობაზე იხარჯებოდა. წილდებულად მარტო ჯანიაშვილები (სო-

დევედან) და მოთიაშვილები (მეჯილაურებიდან) ითვლებოდნენ.

დეკანოზობა

დეკანოზად იმას დააყენებდენ, ვინც მოხუცი იყო. წმ. სანებაში დეკანოზობა იყო მოთიაშვილებისა, ზოგჯერ კი ჯანიაშვილებისაც.

გვრიტიშვილებიდან სანების ყმად გახდომა ისურვა პავლე გვრიტიშვილმა, რომელიც ეხლა წმ. სანების დეკანოზია. ავადობამ შეანუხა, მუხლიდან ურტყამდა და მკითხავებმა უთხრეს, რომ წმ. სანებას დეკანოზად უნდისხარო. დადგა მას შემდეგ დეკანოზად. წინათ ასეთი რამ არ ხდებოდა. ეხლა მოხდა და სინამდვილეში ეგ ხატი ჩვენიაო (გვრიტიშვილებისა).

ხატის ყმობა

რაკი გვრიტიშვილები და ჯუხარაშვილები ერთი ხატის ყმანი ვართ, ერთმანეთში ქალის თხოვნა არ შეიძლებაო.

გვრიტიშვილები და ჯანიაშვილებიც არ ქორწინდებიან (დამირონებაა, ნათლიობა მათ შორის და გარდა ამისა კვირეცხოვლის ხატის ყმებიც არიან).

ჯანიაშვილებსა (სოდევე) და მოთიაშვილებს (მეჯილაურები) შორის ქორწინება ასევე არ იყო, რადგან ისინიც ერთი ხატის ყმანი არიან.

სოფ. მეჯილაურები. 18/VII-79 წ.

ალექსი აბრამის ძე გვრიტიშვილი (დაბად. 1894 წ.)

სოფლის წარსულიდან

ადრე ვერკეთილზე ცხოვრობდა ხალხი. ვერკეთილი — ეს არის ადგილი მალლა, მთის ქედზე. იქ არის ნასახლარები,

ციხეები, საყდრები; სამი ეკლესია, რომელნიც დანგრეულია. ეკლესიაში ლეკიანობის შემდეგ გაუკეთებიათ სათოფეები. მოგვიანებით ხალხი ვერკეთილიდან გადმოსულა მეჯილაურებში. გარდა ვერკეთილისა კიდევ არის ნასახლარები **წინათს** (**წინათი ელიის ქედზეა**).

ტოპონიმები

სახნავები: ასხრეპილი, ჯამუშა, ნარუანა, ნაჭრევი, წინათები, საგულები, ნაწილები, საქერე.

სათიბები: ქვიშიანი, ნარუანა, უკანამთა, ველები, სამკუდოღელე, კლდეთავი.

საძოვრები: ღრომი, ჩირდილები, ნანისქვილარი, ვაკეები, დათვისხლები, იალავანი, ჭანჭახო, კვირიის ქედი, წინათი.

ტყეები: ნაყორძირი, ჩირდილი, წინათის ტყეები, ნანისქვილარის ტყეები, ნაჭრის ტყეები, ასხაპის ტყეები, საგულების ტყეები, ნაროვანას ტყეები.

წყლები: ღრომი (წყარო), ვედრელის ჯევი (სოფლის გვერდზე ჩამოდის და უერთდება სოდევე-მეჯილაურის წყალს), საჩალე კლდის წყარო.

გზები: **ასხაპილი** (ან **ასხლაპირი?**) **გზა** (ჩადის ხამუშაში, გადის რა მეჯილაურზე), **ნაჭერ** (ან **ნაჭრი**) **გზა** (ჩადის წინამწარში).

ქსანზე მიდის საცალფეხო გზა, რომელიც გაივლის სოდევეზე, გლუვზე, ქსნის ყელზე და ჩადის ქსნის ხევში.

ძირითადი გვარები

მეჯილაურებში ორ გვარია: **გვრიტიშვილები** და **მოთიაშვილები**. უფრო ადრე აქ დასახლებულან მოთიაშვილები. გვრიტიშვილები კი ქსნიდან გადმოსულან როგორც სოდევე-

ში, ისე მეჯილაურებში. ქსანში სახნავები არ ვარგებულა და ამიტომ ხალხი აქედან წამოვიდა.

ალექსის (მთხრობლის) პაპას სეხნია ერქვა, მამას კი აბრამა.

გვრიტიშვილების დანაყოფებია: სეხნიანი, ბერიანი, ნადირანი, კაციანი, დეკანოზიანი.

მოთიაშვილების დანაყოფებია: ჟიჟაანი, ოქრუანი, ბერაანი, ფსიტიანი, არსენაანი.

სალოცავები

წმინდა სანება (მოთიაშვილების და ჯანიაშვილების საგვარეულო სალოცავი), **წვერის ანგელოზი** (ჯუხარაშვილები-სა და გვრიტიშვილების საგვარეულო სალოცავი), **კვირია** (საერთო სასოფლო სალოცავი), **ადგილისდედა** (საერთო სალოცავი), **ყველანმინდა** (საერთო სალოცავი), **ლომისა** (საერთო სალოცავი), **ელია** (საერთო სალოცავი), **კვირია** (იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ნასახლარია; მოთიანთ სალოცავია, გვრიტიშვილებს არ არქვთ წილი).

ხატის დღეობები და მორიგეობის წესი; ხატის მამულები

წვერობა ტარდებოდა წვერის ანგელოზში. დღეობას ერთად იხდიდნენ გვრიტიშვილები და ჯუხარაშვილები (ისინი ამ ხატის ყმები იყვნენ). მეჯილაურებში გვრიტიშვილებს წვერის ანგელოზის სახელზე მამული არა აქვს. ისე მოჰყავდათ დღეობაში საკლავი (3 ჭედილა, 5-6 თუნგი არაყი), რასაც მორიგეობით აკეთებდნენ. ამას ერქვა **ჯარის სარიგოები** (სამ ჭედილას ერქვა ჯარის სარიგო).

წმ. სანებაში დღეობას იხდიდნენ მოთიაშვილები და ჯანიაშვილები (ხალარჯობა).

კვირეცხოვლობა ტარდებოდა კვირიას ხატში 10 აპ-
რილს.

აღდგომას ყველანნმინდაში იხდიდნენ.

ხატის მამულები

კვირიას ჰქონდა მამული სოფლისა (1 დღიური). ვინც მოხნავდა, კვირეცხოვლობის დღეობაზე მას უნდა მიეტანა 4 თუნგი არაყი და მიეყვანა 1 ბოჩოლა (ან ბატკანი, ან ქედილა). ეს გადასახადი (იხდიდა ერთი კაცი) იწოდებოდა **სარიგოდ (კულუხად)**.

ყველანნმინდას ჰქონდა მამულები – **ვაკეები** (5 დღის სახნავი) და **ნასახლარები** (5 დღისა), რომელთაც მორიგეობით ხნავდა თითო-თითო ოჯახი. თითოეულ ოჯახს რომელიმე ამ მამულით საგრებლობისათვის ედვა **კულუხი** (5 თუნგი არაყი, 2 საკლავი). ეს ხორაგი ხმარდებოდა სოფლის აღდგომაზე.

მოთიანთ კვირიას სახელზე იყო 3 დღის სახნავი. ამ მამულს ხნავდნენ მოთიაშვილები და ზოგჯერ ჯანიაშვილებს (სოდეველი) აძლევდნენ მოსახნავად, ვინაიდან იმ ადგილიდან ძნის ჩამოტანა უჭირდათ მოთიაშვილებს (ჭირდა **მზორეზე** ჩამოტანა). ჯანიაშვილებს კი სერ-სერ შეეძლოთ ძნის წაღება. ამიტომ ჯანიაშვილებს აძლევდნენ სახნავად და ამის სამაგიეროდ ჯანიაშვილები მათიაშვილებს კვირაცხოვლობას **კულუხს** (15 თუნგი არაყი, 2 საკლავი) აძლევდნენ.

საერთო საგვარეულო მამულები

გვრიტიშვილებს ჰქონდათ საერთო საგვარეულო მამულები – **საქერე მამულები** (10 დღის სახნავი). ეს **საგვრიტიანო** მამული იყო და ვინც დაასწრებდა, ის ხნავდა.

მოთიაშვილებს არ ჰქონიათ ასეთი მამულები.

სოფ. წითლიანთკარი 19. VIII 1979 წ.

გიორგი ნასყიდას ძე ჯანიაშვილი
(მასწავლებელი, დაბად. 1920 წ. წარმოშობით სოდევედან)

ჯანიაშვილების გვარის შესახებ; სოდევეს წარსულიდან

ჯანიაშვილები წარმოშობით არიან ბოდბედან (სიღნაღის რაიონიდან). პირველი სოდევეში მოსულა ჩიკრიკი (შიკრიკი) – არაგვის ერისთავების სამსახურში შიკრიკად მყოფი კაცი (ძლიერი კაცი ყოფილა და რაკი აქ, ე. ი. სოდევეში, შემოიხიზნა, არაგვის ერისთავმა გამოიყენა შიკრიკად). ეს კაცი დასახლდა სოდევეში. ერისთავი მას ქსნის საერისთავოში აგზავნიდა. მერე შიკრიკს მოუკლავს კაცი, რის შესახებაც გიორგი მოგვითხრობს:

შიკრიკი მიმდინარა სოდევედან ქსანში არაგვის ერისთავის დავალებით. ქსნის ყელში მდგარან ქსნის ერისთავის ყარაულები; დასძინებიათ მათ. შიკრიკს ყარაულების თოფებისათვის ჩახმახები აუხსნია. როცა ჩასულა ქსნის ერისთავთან, მოუხსენებია, რომ, არაგვის ერისთავის კაცი მოვიდა – შიკრიკი მოვიდაო. მომიყვანეთო (უთქვამს ერისთავს – ვ. ი.) შესულა და უკითხავს – გზაში არავინ არ შეგხვედრიაო, როგორ გადმობხვედიო? შიკრიკს ჯერ გრაგნილი გადაუცია და მერე მოგახსენებთო; ჯერ ეს მიიღეთო. აუღია გრაგნილი ერისთავს; შიკრიკს დაულაგებია თოფის ჩახმახები – როგორ არ შემხვედნენო, აი ასე გადმოვიარეო. ქსნის ერისთავს გული მოსვლია. მას ჰყოლია 9 ძმა კარგი ბიჭები, შიკრიკის უკან გაბრუნებისას ისინი გამოუგზავნია და დაუვალებია – ცოცხალი არ გაუშვათო. დახვედრიან. თიბვის დრო ყოფილა – ივლისში. 9 ძმას თავისი უფროსი ძმა გამოუგზავნია და უთხოვია – დაგვიცადეო. როცა მოვიდა უფროსი ძმა შიკრიკთან ახლოს, მას (შიკრიკს – ვ. ი.) უთქვია, რითი ვიბრძოლოთო. შენ რითი გინდაო –

უთქვამს ქსნის წარმომადგენელს. შიკრიკს უთქვამს – თოფი რა ვაუკაცობაა, ხმალდახმალ გავიდეთო. შემდეგ დაუძახნია შიკრიკს დანარჩენი ძმებისათვის. თქვენც ჩამოდით, კენჭი გვიყარეთ – უნინ ხმალი რომელმა შემოუქნიოთო. კენჭი უყარეს და ძმას არგუნეს. მოუქნია ხმალი შიკრიკს, შიკრიკს შიგნით ფოლადის პერანგი სცმია (ჯაჭვის პერანგი – ვ. ი.), ხმალმა ვერ გაკვეთა. შემდეგ შიკრიკს მოუქნევია ხმალი, წელზე შემოჰკრა და შუაზე გადაჰკვეთა. ძმები შორიახლო უყურებდნენ. მერე უთქვამს შიკრიკს დაჭრილისათვის – გადააბიჯეო. გაკვეთილი კაცი ძირს დავარდა. შემდეგ ეს ძმები დასვეიან და შიკრიკი გამოჰქცევია.

ამის შემდეგ ქსნის ერისთავს გამოუგზავნია ხალხი შიკრიკის მოსაკლავად – **სისხლის ასაღებად**. მაშინ შიკრიკი ცხოვრობდა სოფ. სოდევეს სულ თავში. ერთი კვირა უყარაულიათ, რომ შიკრიკი მოეკლათ. შიკრიკი იმალებოდა (6 კაცი მიხდომია კარზე). ამ დროისათვის სოდევეში სტუმრად ყოფილან **მუგუდელები (ჭართლელები)**, რომლებიც თვალეზდათხრილი ყოფილან (ბატონს დაუთხრია თვალეზი, მუგუდელებს ბატონმა თვალეზი დათხარა ურჩობისათვის – ღონივრები იყვნენ და არ ემორჩილებოდნენ). მათ გაიგეს, რომ შიკრიკს ასეთი მდგმოარეობა აქვს. უთხოვიათ, მიეყვანათ ეს ბრმები ქსნელებთან, რომ შეერიგებინათ, თითო ძმას უთხოვიათ ქსნელებისათვის – მოდით თითო ძმას მხარში შეგვადექით და მიგვიყვანეთ შიკრიკთან შეგარიგებთო. მუგუდელებს (გვარად **ციხელაშვილებს**) ეს ქსნელები ერთიმეორისთვის შემოუჯახებიათ – ორი კაცი მოუკლავთ და დანარჩენები გაქცეულან. ამის შემდეგ შიკრიკისათვის მტრობა არავის აღარ გაუნევია.

ამ შიკრიკს მეხუთე ცოლისაგან (4 ცოლი დაეხოცა შავი ჭირისაგან) დარჩენია 1 ვაჟი, რომელიც გაზარდა მეჯილაურებში მცხოვრებმა ქვრივმა ქალმა (შიკრიკის ნათესავმა). ამ

ვაჟს დაარქვეს **მამისიმედი**. ამას ჰყოლია ორი ვაჟი და ქალე-
ბი. მის ვაჟებს ერქვათ **აბრამი** და **სიმონი**.

**1831 წ. სიაში (საეკლესიო წიგნებში) შეტანილია
აბრამ მამისიმედის ძე ჯანიაშვილი).**

ჯანიაშვილების შესახებ (სოდევეში)

ჯანიაშვილები: ჩიკრიკიანი (მათიანნი, ანდრიაანი, აბ-
რამაანი, ნასყიდაანი), **ჯანიანი** (მახაბაანი, ბეჟანაანი, ზარი-
ციანი).

ჯანიაშვილების ძველი გამონაყოფნი არიან **ჩამომავ-
ლობანი** (მაგ. ჩიკრიკანთან ჯანიანთ ჩამომავლობა), რომე-
ლშიც შედიან **კომები**.

მოთიაშვილები და ჯანიაშვილები

მოთიაშვილები და ჯანიაშვილები ერთი წარმოშობისანი
არიან. გადმოცემა არსებობს, რომ **მოთია** და **ჯანია** ძმები
იყვნენ და ეს გვარები იმათზე მოდიან. ნაწილი მოთიაშვილე-
ბისა ცხოვრობდა სოდევეში (ბერაანი), შემდეგ ისინიც მეჯი-
ლაურებში ჩასახლდნენ.

სოდევეში ყოფილან კიდევ **ნაქტენაშვილები**, და სად ნა-
ვიდნენ არ ვიცით. ეს გვარი საეკლესიო წიგნებშია.

სოდევეს სალოცავები

**კვირაცხოველი, მთავარანგელოზი, ადგილისდედა,
ყველანწმინდა** (მთელი ხანდოსია), **ელია, აბუა, ლომისის ნი-
ში, წმინდა გიორგი** (ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების),
წმინდა სანება (ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების), **დარ-
ბაის (დარბაზის) ეკლესია** (იქვეა კვირიას ნიში, ჯანიაშვილე-
ბის და მოთიაშვილების).

სახატო დღეობები და მნათობა სოდევში

ყველანმინდობა (ყოლანმინდობა) იმართებოდა ყველანმინდის ხატში, **აღდგომა დღეს**. ყველანმინდა მთელი ხანდოსია. ამ დღეობაზე ყველა სოფელი მიდიოდა, უფრო ახალგაზრდები. ყველა თავისას მოიტანდა.

კვირაცხოვლობა იმართებოდა კვირაცხოველში (აღდგომიდან მე-7 დღეს, კვირას). კვირაცხოველი სოფლის სალოცავი იყო, მაგრამ ამისი ნიში მეჯილაურებსაც აქვთ. ამ დღეობაში **მნათეები** მორიგეობდნენ: მსმელზე მოაგროვებდნენ 4 კგ. მარცვალს (ქერი ან ქერ-დიკა, ან ჭვავი), რადგანაც მნათეები ხდიდნენ არაყს. საკლავს იყიდდნენ მნათეები (მნათედ გამოყოფილი იყო 3 ოჯახი), ხოლო დანარჩენი ოჯახებიდან მოჰქონდათ ქადა-პური (ქადა და ჳმიადი) ყველი და ა. შ. ხალხი შაბათს გავიდოდა მთავარანგელოზში, იქ საკლავს დაკლავდნენ, პურს სჭამდნენ. ეს იყო კვირაცხოვლობის წინა დღე. კვირას კი კვირაცხოველში დაკლავდნენ საკლავს (2 საკლავს), ღამეს გაათევდნენ კვირაცხოველში.

კვირაცხოვლობაზე **ადგილის დედაში** მიჰქონდათ სანთელი და ქადა (სამთხვევი), ე. ი. **სანთელ-სამთხვევი**. სამთხვევს გასერავდნენ იქ და მერე კვირაცხოვლობაზე ჭამდნენ.

ელიაობა – თიბის ანუ მოსავლის დღეობა იმართებოდა **20 ივლისს** (ძვ. რიცხვით), ელიის ხატში (ნიშში). ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავდა, ის ვალდებული იყო დაეკლა თხაც – თხის ტყავს იქვე დაჰკიდებდნენ ხეზე – სეტყვა არ მოვიდესო. თუ კიდევ მეორე მეცხვარეც იყო, ის **საბალახოში** ცხვარს დაუკლავდა (ე. ი. საკლავი იყო საბალახოში აღებული). სასმელი ყველას თავისი მოჰქონდა. იქ ქალები არ მიდიოდნენ. მამაკაცები 20 ივლისს გადაიხდიდნენ ელიობას და მეორე დღეს თიბვას შეუდგებოდნენ.

აბუაში დღეობა არ იყო, ეს იყო საქონლის ხატი და აქ მოჰქონდათ სანთელ-სამთხვევი. იქ პატარა ნაჭერს დატოვებდნენ.

ლომისობა (22 ივლისს, ან გვიან) იმართებოდა ლომისის ნიშში. ამ დღეობაზე ხარჯი თავ-თავისი იყო. საკლავს ყიდულობდა სოფელი, ან საბალახოში ვინმე გაიღებდა. სასმელი თავ-თავისი მიჰქონდათ.

გიორგობა (გიორგობისთვის 10-ში) იმართებოდა წმ. გიორგის ხატში (ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილებისა).

ხალარჯობას იხდიდნენ წმინდა სანებაში (ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების სალოცავი).

მთავრობას იხდიდნენ ასევე წმინდა სანებაში (10 აგვისტოს).

მარიამობას იხდიდნენ დარბაზის ეკლესიასთან, ანუ კვირიას ნიშთან.

ბოლო ოთხ დღეობას ხმარდებოდა **კულუხი** (3 თუნგი არაყი ან ჭედლა, ანდა 4 თუნგი არაყი ან ერთი ყოჩი), რომელსაც იხდიდნენ მოთიაშვილები და ჯანიაშვილები წმ. გიორგის და წმ. სანების მამულებით სარგებლობისათვის.

ბავშვებისა და პატარძლების ხატში გარევა ხდებოდა ჯერ მთავარანგელოზში, შემდეგ წმ. სანებაში ხალარჯობას ან მთავრობას (უფრო მეტად მთავრობას).

ხატის მამულები

წმინდა გიორგისა და წმინდა სანების სახელზე იყო ხატის მამულები მოთიაშვილებისა და ჯანიაშვილებისა. ხატის მამულებს **მეჯილაურებში** – **მზვარეს** (ორი ნაკვეთი, 3-5 დღის სახნავი) და **ტაბელიანთ** (4 დღის მამული) ფლობდნენ მოთიაშვილები და ჯანიაშვილები.

მთხრობელი ამბობს – მეჯილაურებში იყო წმინდა სანების სახნავები (მამულები) – მზვარეს და ტაბლიანთ; სოდე-

ვეში კი ხატის მამული არ ჰქონიათ. ეს ალბათ შეცდომაა, რამეთუ სხვა ცნობით (ლადო პავლეს ძე გვრიტიშვილი; სოდევეში ცხოვრობს) სოდევეში წმ. სანების სახელზე ჯანიაშვილებს ჰქონიათ 3-4 დღის სახნავი (მზორეს) და სათიბიც (ხატის მთა, 10-12 მთიბავისა) და ტყეც (მზორე).

სოდევეში ხატის მამული არ ჰქონიათ, თანაბრად იყენებდნენ. საბოლოოდ მოთიაშვილებმა დაითავისეს. ვისაც ცოტა სახნავი ჰქონდა, ისინი იღებდნენ. მისწრებაზეც ყოფილა. ამუშავებდნენ ამ მიწებს როგორც მოთიაშვილები, ისე ჯანიაშვილები. **კულუხად** ედო მზორეს 3 თუნგი არაყი ან ჭედლია, ხოლო ტაბელიანთ – 4 თუნგი ან ერთი ყოჩი. ეს კულუხი ხმარდებოდა **გიორგობას** (წმინდა გიორგის ნიში), **ხალარჯობას** (წმინდა სანებაში), **მთავრობას** (წმ. სანებაში), **მარიამობას** (დარბაზის ეკლესიასთან ანუ კვირიას ნიშთან).

წმინდა სანებას მთაც ჰქონდა წინა გლუვეში – **ხატის მთა (სათიბი)**. ეს სათიბი ორად იყო განაწილებული. მორიგეობით თიბავდნენ. ვისაც ცოტა ჰქონდა (სათიბი), ის ქირაობდა. ერთ ნაწილს ერთი ოჯახი გათიბავდა, მეორე ნაწილს – მეორე ოჯახი. ოჯახი ნახევარში იხდიდა 1 ჭედილას ან 16 ლიტრა არაყს. მეორე ნაჭერი სათიბისა უკეთესი იყო და ის ღირდა 1 ყოჩი ან 20 ლიტრა არაყი. ეს გადასახადი ხმარდებოდა მოთიაშვილებისა და ჯანიაშვილების დღეობას. უფრო მეტად თიბავდნენ ჯანიაშვილები, ვინაიდან მამულებს უფრო ხშირად ხნავდნენ მოთიაშვილები. ასე იმიტომაც იყო განაწილებული, რომ მამულები ახლოს იყო მოთიაშვილებთან, სათიბები კი ჯანიაშვილებთან.

ზოგჯერ ამ სათიბ მთას აიღებდა ბევრი ცხვრის პატრონი და ის **საბალახოში** კულუხს იხდიდა დღეობისათვის (იხდიდა 1 ყოჩს და 1 ჭედილას, 36 ლ. არაყს).

საგვარო მამულები

ჭოხმათას (წინამწარში) ჯანიაშვილებს ჰქონდათ **საგვარო მიწები** (3 დღის სახნავი), რომელთაც ოჯახები მორიგეობით ხმარობდნენ. **წითლიანთკარშიც** ჯანიაშვილების (ჩიკრიკიანთ) ჰქონდათ **საგვარო მამულები** (3-4 დღისა). აქ ალექსი ჯანიაშვილი ხმარობდა, ვინაიდან იგი აქ ცხროვრობდა; გვარი უთმობდა.

ჯანიაშვილების მამული (1,5 დღისა) **გირაოში** აღებული ჰქონიათ მელიქიშვილებს (წითლიანთკარში), ობოლანთ. ჯანიაშვილებს 6 ფუთი ხორბალი (2 კოდი) გამოურთმევიათ, გირაოში მამული მიუციათ და მელიქიშვილები (ობლიანნი) ხმარობდნენ.

ჯანიაშვილებს **სამორიგეო** (საგვარო) სათიბებიც ჰქონიათ (**გლუვი, ნატბევი, ორმოხვილი**). გლუვი 10 კაცის სათიბი იყო, ნატბევი – 5 კაცისა, ორმოხვილი – 3 კაცისა, მერე კომლზე გაინაწილეს ეს მთებიც.

ხანდოს სოფლები და მათი დასახლების სტრუქტურა (უბნები)

უკანამწარი შედგება ორი უბნისაგან: 1. უკანამწარი (ძირითადი ნაწილი) და 2. **ლაზვიანთკარი** (ლაზვიაშვილების უბანი); **ჯუხარანთკარი** ერთ უბნადაა; **დავითურები** – ერთ სოფლად; **ვეშაგურები** – ერთ სოფლად; **წინამწარი** ახლა ორ უბნადაა, ადრე მხოლოდ წინამწარი ერქვა; ეხლა იწოდება ზემო და ქვემო წინამწარად; **სოდევე** – უბნებად დაყოფილი არ არის; **მეჯილაურები** – უბნებად დაყოფილი არ არის; **ხამუშაც** ხანდოში შედიოდა, საეკლესიო წიგნებშიც ცალკე სოფლად არ იხსენიება.

საეკლესიო წიგნებში აღრიცხულია **ბანცური** და **ცხვედიეთიც**.

ადრიდანვე ეს სოფლები ხანდოს თემში შედიოდა. ეს ტერიტორია (იგულისხმება წითლიანთკარის ტერიტორია) ხანდოსი იყო; რაკი აფციურები და ნიკლაურები დასახლდნენ ცხვედიეთში, ისიც ხანდოს მიაკუთვნეს. ასევე ხანდოს მიაკუთვნეს ბანცურიც, სადაც ვემაგურები დასახლდნენ.

ცხვედიეთი ბანცურზე ადრე დასახლებულა.

ხამუშას ციხე და მისი შემოგარენი

ხანდოს ხიდის ქვემოთ, მოსახვევში, **ხამუშას ქედზე, გამარჯვების წყლის** იქეთ დგას **ხამუშას ციხე**. ციხის ქვემოთ არის სოფელ **ხამუშას ქალა** (ხამუშა მალლა). ეხლა ორივე სოფელს ხამუშას ეძახიან. ხამუშას ქვემოთ, პირდაპირ, არაგვის გაღმა, მარცხენა მხარეს არის **ბურჩანთ კარი** (ჭართალის სათემო), თავისი ციხით.

სოფ. წითლიანთკარი 19. VII. 1979 წ.

მათე ალექსის ძე მოთიაშვილი (დაბად. 1912 წ.)

სოფ. მეჯილაურების მიდამოები, ნასოფლარები, სიძველენი

მარაკუთხე მამულებია, იქ აკლდამები იყო, ჩაიშალა. ნასახლარებიც ეტყობა. სოფელი იყო იქ, სადაც **ელისქედია**, სოფლის (ალბათ მეჯილაურთას?) მარჯვნივ. ამბობენ, რომ იქ ხევსურები ყოფილან. 15-მდე ნასახლარია. პური უსესხებია მეჯილაურებს; არ მოუხნავთ, შეუჭამიათ (ხევსურებს – ვ. ი.) და მერმე გაპარულან, ნასულან ხევსურეთს. ე. ი. მეჯილაურებიც იყო სოფლად და ეს მეორე სოფელიც მდგარა ელისქედზე. ნაკალოვრებიც ეტყობაო.

სოფელს ჰქონია ციხე, სადაც **კვირიას ხატია**, დაუშლია თევდორე გვრიტიშვილს და სახლი აუშენებია. მეჯილაურების

მარცხნივ, წმ. სანების ჩასწვრივ, **მზორექედზე** არის კიდევ ნა-
სახლარები და ნაკალოვრები.

მეჯილაურებისა და სოდევეს წარსულიდან

მთხრობლის ბავშვობაში მეჯილაურებში 30 კომლი ყო-
ფილა, სოდევეში კი 20 კომლი. ეხლა კი სოდევეში ცხოვრობს 7
კომლი, მეჯილაურებში კი 12 კომლი.

სოფ. მეჯილაურებში და სოფ. სოდევეში მცხოვრები გვარების შესახებ ცნობები

მეჯილაურებში ძირითადი გვარია **მოთიაშვილი**, აქ
ცხოვრობენ აგრეთვე **გვრიტიშვილები**. მოთიაშვილები მოსულ-
ლები არ არიან. ზოგიც ამბობს, რომ კახეთიდან არიანო.

მოთიაშვილების დანაყოფებია **ბერაანი** (ბერა → მახა-
რობელი → ალექსი → მათე → გოგი → ზვიადი; ბერას მამას
ადამი ერქვა; ერთმანეთის განაყრებია ადამის შვილის ბერას
და ბიჭკელას მონაგარი. **მონაგარი**, **მონაგრობა**=ჩამომავლო-
ბა, მოდგმა), **ბიჭკელიანი** (ადამი და ბიჭკელა ძმები თუ ბიძაშ-
ვილები ყოფილან), **ჟიჟიანი**, **ფსიტინი**, **ოქრუანი**. კომად
ასეაო – ამბობს მთხრობელი.

გვრიტიშვილების კომობანი: **კაციანი**, **ნადირაანი**, **და-
თვიანი**, **ბერიანი**.

სოდევეში ძირითადი გვარებია **ჯანიაშვილები** (სოდე-
ვეში ადრე ყოფილან დასახლებული) და **გვრიტიშვილები** (მე-
რე მოსულან). გრიტიშვილების წინაპარი ახალგორიდან მო-
სულა და პირველად სოდევეში დასახლებულა; იქიდან გვრი-
ტიშვილების ერთი ნაწილი მეჯილაურებში ჩამოსახლდა, ნაწი-
ლი კი ისევ ახალგორისაკენ წავიდა.

**გვრიტიშვილების გაყრილობანი: ჯუხარაანი, ბათი-
რაანი, კოფიაანი.** ამ ჯუხარანთ ჯუხიაშვილებთან არა აქვთ
კავშირი.

ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების წინაპრები ძმები
ყოფილან. ერთი ძმა დასახლებულა სოდევეში, მეორე მეჯი-
ლაურებში. ურთიერთში ქალი არ გვერგებოდაო. ერთმა ჯანი-
აშვილმა, შირაქში, **ვასილამ** შეირთო მოთიაშვილის ქალი. ამა-
ზე აღშფოთებულან ორივე გვარის ხალხი, **ჩვენ მთის ხალხი
ვართო**, ესეთი რამე როგორ უნდა გაკეთებულყო, ერთმა-
ნეთში მარტო ნათლიობა შეგვეძლოო.

სასაფლაოს დაყოფა გვარების მიხედვით

სასაფლაო ცალ-ცალკე აქვთ მოთიაშვილებსა და გვრი-
ტიშვილებს (მეჯილაურებში). მათი საფლავეები 300-400 მეტ-
რითაა ერთმანეთისაგან დაცილებული.

სოდევეში კი ჯანიაშვილებსა და გვრიტიშვილებს ერთი
სასაფლაო აქვთ, მაგრამ სასაფლაოს ერთი მხარე ერთი გვა-
რისაა, მეორე მხარე – მეორე გვარისა.

ხანდოს თემი

თემი იკრიბებოდა წინამწარს, სადაც სკოლაა. სამლდე-
ლოებაც იქ იყო (ვეშაგურების ქვემოთ).

300 არაგველი

სამასი არაგველი წითლიანთკართან შეკრებილა და აქ
დაუფიციათ. მოსულან ვაჟკაცები მთიულეთიდან, გუდამაყ-
რიდან, ხევიდან, ხანდოელები და ქართლელებიც შემოერთე-
ბიან და 300 კაციანი რაზმი წასულა თბილისისაკენ.

სახნავეებით სარგებლობა

სახნავეებს ერთ მხარეს ვხნავდით, მეორე ნაწილს ვასაძოვრებდით. რაც ვაკე იყო, ის სულ სახნავეი იყო. გვერდებს კი ვასაძოვრებდით. მაგ. ჩიბას ველს რომ მოვხნავდით, ელიის ქედს ვასაძოვრებდით და ა. შ.

მეჯილაურების ტოპონიმები

მამულეები (სახნავეები): მზორეები, ვაკემამულეები, ერისქედი, ჩიბასველი, ასხრეპილი, ნარუანი.

სათიბები: უნაგრული, ნარუანის მთა.

საძოვრები: საძოვრებად შიგადაშიგ იყო გამოყოფილი უვარგისი, რაც ვერ იხვენებოდა (გვერდოები). გვერდოს მორიგეობით ვხნავდით და ვასაძოვრებდით. მაგ. ჩიბას ველს რომ მოვხნავდით, ელიასქედს ვასაძოვრებდით და ასე შემდეგ.

ტყეები: ასხრეპილი ტყე, ნაჭრის ტყე, საქერისტყე.

წყლები: ასხრეპილთწყალი (წყარო), ღრუმის წყალი (წყარო), კოდასწყარო, კალიანთის წყალი (ერთვის სოდევეს წყალს), შაქარას წყარო.

გზა მეჯილაურებიდან ქსანში და ახალგორთან ურთიერთობა

გზა მეჯილაურებიდან ქსანში ასეთი მარშრუტით მიდის:

სოდევე → ტირიფა → ქსნის ყელი → მახიარეთი (ქსნის სოფელი). ეს სამი საათის გზაა ცხენით (ფეხით 4 სთ).

ახალგორი უფრო გადმოდიოდა, ფასანაურში ბაზრობას მოდიოდა; მოჰქონდათ ბატკანი, ციკანი, მატყლი, ყველი, ჭურჭელი; სოფ. საცხავატლოდან უფრო ჭურჭელი მოჰქონდათ (უფრო სადღობლები და წყლის ლიტრები, ერბოს ქილები).

ეხლა აღარ მოაქვთ, კარგი იყო მაგათი, მცხეთის ქურჭელი არ ვარგა წყლისათვის, სუნს აძლევს წყალსაც, ერბოსაც.

სალოცავები (მეჯილაურების) და დღეობები

ყოლანშინდის ხატი (ყველანშინდა – მთელი ჯანდოს სალოცავი) როცა იხსნებოდა აქ მთელი ჯანდო მოდიოდა **აღდგომას** სალოცავად. ყველას თავ-თავისი მოჰქონდა საჭმელი, სასმელი. ადრე აქ ყოფილა ქვევრები მთელი ხეობისათვის. საკლავიც საერთო ყოფილა.

კვირია – სოფლის სალოცავი. აქ **კვირესძლობას** ერთად იხდიდნენ გვრიტიშვილები და მოთიაშვილები. დღეობაზე წესისამებრ **მნათეობდნენ** ეს გვარები.

ხარჯი დღეობაზე ყველა ოჯახისა იყო. ერთი მნათე იყო მოთიაშვილი, მეორე გვრიტიშვილი. შეკრებდნენ პურს, გამოხდიდნენ არაყს, შეკრებილი ფულით საკლავს იყიდდნენ, ოჯახებს თავ-თავისი მოჰქონდათ ქადა-პური, ყველი.

ადგილიდედა – სოფლის სალოცავია. აქაც გაზაფხულზე (აპრილში) მიდიოდა ორივე გვარი (გვრიტიშვილები და მოთიაშვილები). მნათეები აქაც შენაგროვალი ფულით და პურით მოიტანდნენ სასმელ-საკლავს.

სოდევეში კვირიას ხატში მიდიოდნენ გვრიტიშვილები და ჯანიაშვილები.

საგვარეულო სალოცავები მეჯილაურებში

წმინდა სანება – ჯანიაშვილებისა და მოთიაშვილების სალოცავი. აქ იხდიდნენ **მთავრობას** (მოდიოდა 7 ივლისს ძვ. სტილით. შემდეგ მოდიოდა მარიანობა, რომელსაც სხვა ხატში იხდიდნენ). ამ დღეობაში **დეკანოზობა** უწევდა მოთიაშვილებს. (ჯერ **ბერი მოთიაშვილი** ყოფილა დეკანოზი, შემდეგ მისი შვილიშვილი **ივანე**. მერე იყო **ჟიჟიანთ გიორგი** (მოთიაშ-

ვილი), მერე ისევ **ბერიანთ დიმიტრი**, შემდეგ მთხრობლის მამა ალექსი (ეს რაც ახსოვს მთხრობელს). მთხრობლის ხსოვნაში და გადმოცემითაც ჯანიაშვილი არ ყოფილა დეკანოზად. ეხლა გვრიტიშვილია, რომელსაც არ ერგებოდა, მაგრამ ხატს მოუთხოვია, ავად გამხდარა და ხატმა დეკანოზად მოითხოვა).

წმინდა გიორგი – მოთიაშვილებისა და ჯანიაშვილების სალოცავი, სადაც იხდიდნენ **გიორგობას** (ოქტომბრის 10-ში ძვ. სტილით). აქ ერთი მნათე მოთიაშვილი იყო, მეორე ჯანიაშვილი. ამ ორ გვარში შეკრებდნენ პურს არაყისათვის და ფულს საკლავისათვის, რმოელიც დღეობას ხმარდებოდა.

ხატის მამულები

ყოლანწმინდას ჰქონდა მამულები, რომელნიც ორად იყო გაყოფილი. ვინც ნახევარს მოხნავდა, მოიყვანდა ხბოს და 20 ლ. არაყს. მეორე ნაწილს ვინც მოხნავდა, ისიც ამ რაოდენობის კულუხს იხდიდა.

კვირიას მამულები მეჯილაურებში არ ჰქონია.

ადგილისდედას მამულები ასევე არ ჰქონია.

წმ. სანებას ჰქონდა მამულები. ისინი ორად იყო გაყოფილი. იმ მამულებს, რომლებიც დაბლა იყო, მოთიაშვილები-სათვის მოსახერხებელ ადგილას, ხნავდნენ სწორედ მოთიაშვილები, ხოლო ჯანიაშვილები იყენებდნენ **მთას (სათიბებს)**, რომელიც ახლოს იყო სოდევესთან. ამრიგად, **წმ. სანებას ჰქონია სახნავებიც და სათიბებიც.**

მამული იყო 2 დღისა, ორი კაცი მოხნავდა: თითო მამულში **კულუხი** იყო 1 ჭედილა და 20 ლ. არაყი (1 ქობი). ვინც ამას არ გადაიხდიდა, სოფელი მოიკვეთდა.

სათიბი იყო ასევე ორად გაყოფილი, ორი კაცი ხმარობდა, თითო ნახევარი იყო 6 კაცის სათიბი. ნახევარზე (ე. ი. სათიბის ნახევარზე) იყო 1 ჭედილა და 1 ქვაბი არაყი.

წმ. გიორგის მამულები არ ჰქონია.

ხატის ტყეებიც არის, მაგრამ მოჭრა არ შეიძლება.

ქვემო წინამწარი 23. VII. 1979 წ.

მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილი (1914წ. დაბად.)

ქვემო წინამწარის წარსულიდან

აქაურობა ადრე სულ ტყით ყოფილა ისე, რომ თავისუფალი ადგილი არ მოინახებოდა. მდ. **უნაგრისჯევი** (ერთვის ხანდოს წყალს) მაშინ ტყეში და ველზე ისე პატარა თურმე მოდიოდა, რომ წყალს ჯამით (ხისა) ავსებდნენო. შემდეგში მთები დასკდა მალლა და მოიმატაო წყალმა.

ეხლა რაც თავისუფალი ადგილებია, მაშინ ტყე გაკაფეს, ახოებად გამოიღეს და მამულებად აქციეს.

სოფლის მდებარეობა და დასახლების სტურქტურა

სოფელი **ხანდოსჯევის** ორივე ნაპირზეა გაშენებული. სოფელს სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გვერდზე ჩამოუდის **უნაგრისჯევი** (ერთვის ხანდოსჯევს), სოფლის დაბლა კი ასევე სამხრეთიდან ჩრდილოეთით მოედინება და ხანდოს ერთვის **საჯუნდრისჯევი**.

ქვემო წინამწარი **ორ ნაწილად (ორ უბნად) იყოფა**: ჯანდოსჯევის მარჯვენა მხარეს, ძირითად სამოსახლოს ეწოდება **ჩირდილა**, ხოლო გაღმა მხარეს – **მზორე** (ან ნადირაანი).

ქვემო წინამწარის გვარები

ძირითადი გვარებია: **მელიქიშვილები** (11 კომლი), **ნიკლაურები** (2 კომლი), **მოთიაშვილები** (1 კომლი).

ყველაზე ადრე აქ ჩამოსახლდნენ მელიქიშვილები. **მელიქიშვილების დანაყოფებია: გზირიანი** (ამ კომობას ეკუთვნის მთხრობელი), **ოზლიანი, ჩაჩქანაანი** (იგივე ნადირაანი), **ხულიანი, გაგაანი**.

პირველი ჩამოსახლებულა **გზირიანთ ივანე** (მთხრობლის მამა). აქ გამოსულა ცოლით და 6 შვილით. სწორედ ჩამოსახლების წელს (1914 წ.) დაბადებულა მთხრობელი.

ნიკლაური ძესიძედ მოვიდა დუმაცხოდან (გუდამაყრიდან). **ნიკო ნიკლაური** ჩაესიდა მელიქიშვილების ოჯახს. ნიკო ეხლა მთხრობლის ასაკისაა. გუდამაყრიდან ნიკლაურის ჩამოსახლებიდან დაახლოვებით 50 წელი გავიდა.

მოთიაშვილები (**დავით მოთიაშვილი**) გამოვიდა მეჯილაურებიდან. დავითის შვილიშვილია ახლა აქ – ვახტანგ გიორგის ძე. დავითი უცოლშვილო გამოსახლდა აქ, 25 წლისა. ე. ი. მას შემდეგ დაახლოვებით 71 წელი გავიდა.

ტოპონიმები

მამულეები ქვემო წინამწარში: სათივისქედი (ამაში შედის სანახშირე, ბაბრისახო, მოცხრიანი (მოცხარი იცოდა) **ოქრუანთ ველები**), **თავნატეხარა, ჩირდილნი, სახუნდრისვევი**.

სათიბები: სათივისქედი ჰქვია სათიბებსაც. სათივისქედი ესაზღვრება მუგუდას (ჭართალის თემი); სათივისქედის გადაღმაა ხამუშა; **ჯავიათი** (სახნავ-სათიბი) – ეს არის როგორც ქემო, ისე ზემო წინამწრისა.

წყლები: ჯანდოსჯევი, უნაგრისჯევი, საჯუნდრისჯევი, რუსების წყალი (წყაროა ცივი). ფიქრობენ, რომ აქ რუსებს უცხოვრიათ.

ძირითადად კი ქვემო წინამწარი იყოფა მზორედ და ჩირდილადად. მდ. ხანდოს მარჯვენა მხარეა **ჩირდილი (ნიფლიანი)**, ხოლო მარცხენა მხარე – **მზორე (მუხნარი)**.

სალოცავები (დღესასწაულები)

ქვემო წინამწარში გააკეთეს ახალი სალოცავი – **წმინდა გიორგის ნიში** (დადგა ვახტანგ მოთიაშვილმა, ქედზე, თავისი სახლის თავზე). ეს არის ზემო წინამწარის წმ. გიორგის ხატის ნიში.

და მაინც ქვემო წინამწარი ძირითადად ძველ სალოცავებში დადის საკლავ-საწირით.

სათემო სალოცავი იყო **ყველანწმინდა** მეჯილაურებში (ეს არის დიდი ქვებით ნაგები ხატი, ნაკედლარებია, ციხესავითაა, მაღალი კი არ არის, ტყეშია). **აღდგომას** მოდიოდა ხალხი, როცა ეს სალოცავი **გაიხსნებოდა**. კვერებს წაიღებდნენ (ქადებს) და სასმელს. მასპინძლები მეჯილაურები იყვნენ.

მთავარანგელოზი სამი სოფლისა იყო: წინამწარის, ვეშაგურებისა და უკანამწარისა.

როცა სოფელს თავისი საქმე ჰქონდა გადასაწყვეტი (მეველის ამორჩევა, მწყემსის დაყენება), **ეს სოფლის ხატში ხდებოდა**.

თუ მეველეს არ დაემორჩილებოდა ვინმე, ის ოჯახიდან გამოიტანდა **გირაოს** (თუნგი, ქვაბი ან სხვა ნივთი).

მესაქონლეობა და მინათმოქმედება

მეწველ საქონელს **მწყემსი** არ ჰყავდა, თვითონ პატრონები უვლიდნენ. წინამწარს ჰყავდა **მეწარე**. ხარები ეყენათ ერთ ადგილზე – ან ჩირდილს ან ჯავიათს (მზვარეს). ერთი ადგილი რომ იხვნებოდა, მეორე ადგილზე ხარებს აყენებდნენ. მეხარეს რიგით აძლევდნენ პურს (საჭმელ-სასმელს კომზე მოყოლებით). თითო ხარზე ცალკე იყო ჯამაგირი – 1 პინა (8 კგ) პური. ასევე **მეველეს** კომზე აძლევდნენ თითო პინას. რო-

ცა ყანები მოიმკებოდა, მეველეს მოვალეობაც თავდებოდა. მეველეს უნევდა ყოფნა მაისის ბოლოდან 4 თვეს.

მეჯარეც ამ ხანში ათავებდა საქმეს.

ხვნა რომ დამთავრდებოდა და გუთნიდან გამოუშვებდნენ ხარებს, მათ საძოვარზე გაუშვებდნენ და იქ იმყოფებოდნენ მკის დამთავრებამდე.

საფიცარნი

თემის ცენტრი იყო **საფიცარნი**. (იგი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ახლა მ წლიანი სკოლაა). საფიცარნის ადგილი წინამწრისაა, მდებარეობს წინამწარ-ვეშაგურებს შორის. აქ უსამართლებიათ მტყუანი ხალხი, ნახშირითა წერდნენ. ნაცვალი და მღვდელიც მანდ მიდიოდა. თავ-თავისი **საფიცარი** ცალკე სოფლებს არ ჰქონიათ.

ქორწინება

მელიქიშვილების გვარში არ შეიძლება ქორწინება. არც ოქრუანთ ქალის შერთვა შეუძლია მელიქიშვილებს, ვინაიდან ოქრუაშვილებმა მელიქიშვილობა მიიღეს.

ერთი სოფლის შიგნითაც არ შეიძლება ქორწინება – ერთ ოჯახივითა ვართ მეზობლები, ერთი ხატის ყმანიო.



შინაარსი:

რედაქტორისაგან.....	3
წინასიტყვაობა.....	6
შესავალი (წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა).....	7
თავი პირველი ხანდოს მდებარეობა და საზღვრები.....	11
თავი მეორე განსახლების სტრუქტურა და მოსახლეობა.....	22
§. 1. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და განსახლება.....	22
§. 2. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა.....	38
თავი მესამე სამეურნეო პირობები.....	64
თავი მეოთხე მინათსარგებლობის ფორმები.....	72
დასკვნა.....	90
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	92
დანართი.....	95
ხანდოს ხევი (ეთნოგრაფიული მასალები).....	95



ძვირფასო მკითხველო,

გაუგონარმა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ფიზიკურად და სულიერად ლამაზი, ახალგაზრდა მეცნიერი ვახტანგ ითონიშვილი. საყვარელი მამის კვალზე აღზრდილმა ისტორიკოსმა და ეთნოლოგმა, სიცოცხლეშივე არაერთი სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაშრომი გამოაქვეყნა. მისი საქმიანობის ინტერესები მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო, სწორედ, ამიტომაც დარჩა უამრავი ნაშრომი თუ იდეა გამოსაცემი და შესასრულებელი...

ვახტანგ ითონიშვილის უნივერსიტეტელმა კოლეგებმა და მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ამ წიგნის გამოქვეყნებით ოდნავ მაინც შეგვევსო მეხსიერების სივრცე, რომელიც მას არ დაგვაცილებს — არ დაგვავიწყებს... ჩვენი უფროსი კოლეგის, ბატონ ვალერიან ითონიშვილის მიერ, მისი შვილის უკვდავსაყოფად, გამოსაცემად მომზადებული ნაშრომი გამომცემლობა „ნეკერის“ თანამშრომლებმა, ჩვენი უახლოესი მეგობრის, ბატონ პარმენ მარგველაშვილის მეთავეობით, წიგნდაქციეს, რათა ამით ვახტანგ ითონიშვილის ოჯახს, მის ახლობლებს ცოტათი მაინც შეუშუსუბუქდეს, მისი დაკარგვით გამონვეული დიდი მწუხარება.